ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ

უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ

უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2025

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანზიციის მხარდაჭერის პროგრამის (Transition Promotion Program) ფინანსური მხარდაჭერით. დონორი პასუხისმგებელი არ არის დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციასა და შეფასებებზე..

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: სალომე შუბლაძე
კვლევის ავტორი: ლინა ღვინიანიძე
რედაქტირება: ეკა ქევანიშვილი
ფოტო ყდაზე: Getty Images
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლინა ღვინიანიძე, „ხელისუფლების მიდგომები გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ – უგულებელყოფა, დისკრედიტაცია და რეპრესია“, 2025.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. შესავალი 7

2. კვლევის საგანი და მეთოდოლოგია 12
კვლევის შეზღუდვები 14

3. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნის სტრუქტურული მიზეზები და გარემოსდაცვითი პოლიტიკის სისტემური ჩავარდნა 15
გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების მონაწილეობის გამორიცხვა 17
გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დახურულობის მზარდი ტენდეცია 23
გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების უფლების სისტემური უგულებელყოფა 26
გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება სათანადო კვლევებისა და სამეცნიერო ცოდნის უგულებელყოფით 28

4. ხელისუფლების პასუხი გარემოსდაცვით წინააღმდეგობებზე: გარემოსდაცვითი პოლიტიკის საპოლიციო და უსაფრთხოების მზერით ჩანაცვლება 31

5. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების უგულებელყოფა, მოჩვენებითი მოლაპარაკებები და მანიპულაცია 39
პოტენციური გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის პრევენცია 39
წინააღმდეგობის უგულებელყოფა, როგორც მეთოდი 41
უგულებელყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაქრობით და კერძო კომპანიების მოპასუხედ მონიშვნით 45
წინააღმდეგობის აღიარება და მოლაპარაკებების ილუზია 47
საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია და პრობლემის აღმოფხვრის ილუზიის შექმნა 51
გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების ლოკალიზების სტრატეგია 54

6. საპოლიციო რეპრესია და სისხლისსამართლებრივი დევნა
გარემოსდამცველთა მიმართ 61
საპოლიციო რეპრესია და შეკრებისა და მანიფესტაციის
უფლების შეზღუდვა..... 63
გარემოსდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნა..... 69

7. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დისკრედიტაცია,
მარგინალიზაცია და გარემოსდამცველთა სოციალური იზოლაცია..... 76
გარემოსდამცველთა დისკრედიტაციის სახელისუფლებო ნარატივი..... 77
კოორდინირებული დისკრედიტაცია და მარგინალიზაცია 81

8. გარემოსდამცველთა შევიწროვება, ზეწოლა, თვალთვალი
და დევნა (უსაფრთხოების სამსახურის, კერძო კომპანიებისა
და არაფორმალური ძალაუფლების როლი) 88
ადგილობრივი საზოგადოებების სოციალური კონტროლი
და დაშინება წინააღმდეგობის შეკავების მიზნით..... 89
წინააღმდეგობების თუ თემის შიგნით დაპირისპირების გაჩენის
მცდელობები..... 93
გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მონაწილეების დევნა..... 94
კონტროლისა და დევნის ადგილობრივი ინფრასტრუქტურა..... 99

9. დასკვნა 102

დანართი #1: ინტერვიუები რესპონდენტებთან 103

1. შესავალი

საქართველოს უკანასკნელი ათწლეულის სოციალური პროტესტის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებრივი გარემოს დაცვის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით წარმოქმნილ გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს. ბოლო წლებში, ჩვენი საზოგადოება აკვირდება ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ბუნებრივი რესურსების მოპოვების თუ ათვისების, საჯარო, რეკრეაციული თუ კულტურული სივრცეების სამშენებლო თუ სხვადასხვა სახის ჩარევის არეალად გარდაქმნის აჩქარებულ პროცესს. ბუნებრივი და საარსებო გარემოს ინტენსიური და მტაცებლური ათვისების პრაქტიკას, თან სდევდა საპასუხო სოციალური წინააღმდეგობები, რომლებიც ურბანულ თუ რურალურ სივრცეებში წარმოიქმნებოდა და მიზნად ისახავდა ბუნებრივი რესურსების დატაცების პრაქტიკის შეკავებას და მის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებას. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობები ასევე გულისხმობდა ბრძოლას გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის სისტემური ცვლილებებისთვის, რადგან არსებული პოლიტიკა მუდმივად გამორიცხავდა საზოგადოების ჩართვას საარსებო გარემოს თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კერძოს საჯარო ინტერესზე დომინაციის შესაძლებლობას აძლევდა და არ ითვალისწინებდა მეცნიერულ ცოდნასა თუ ადგილობრივი მოსახლეობის წუხილებს და საჭიროებებს.

საქართველოში სოციალური პროტესტის შესწავლის სუსტი ტრადიციის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში მაინც მზადდებოდა მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი კვლევები სოციალური, მათ შორის, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნის, მათი განვითარების დინამიკის, მოძრაობების მიერ გამოყენებული სტრატეგიების, ტაქტიკებისა თუ მიღწეული შედეგების შესახებ. თუმცა, ჩვენს სივრცეში მწირია კვლევები იმის თაობაზე, თუ როგორია სახელმწიფოს მიმართება გარემოსდაცვითი წინააღმდეგობებისადმი და რა მთავარ პარადიგმებს, მეთოდებსა და ამოცანებს ემყარება სახელმწიფოს ხედვა გარემოსდაცვითი პროტესტის მიმართ. ეს კვლევა შეეცდება დასვას ეს საკითხი და პასუხი გასცეს კვლევის მთავარ შეკითხვას, თუ როგორ მიემართება სახელმწიფო გარემოსდაცვით საკითხებთან კავშირში წარმოქმნილ იმ სოციალურ უკმაყოფილებებს, რომლებიც გარემოსდაცვით წინააღმდეგობებად ჩამოყალიბდა.

უკანასკნელი წლების გარემოსდაცვითი პროტესტის გამოცდილება, მათი განსაკუთრებული სიმრავლისა და წუხილების მრავალფეროვნების გარდა, ასევე ხასიათდებოდა წინააღმდეგობის განფენილობით მთელი ქვეყნის მასშტაბით, წინააღმდეგობის სიმწვავით, კოლექტიური მობილიზაციის ხანგრძლივობითა და უწყვეტობით. პროტესტების მნიშვნელოვან საერთო მახასიათებელს ასევე წარმოადგენდა მათი ადგილობრივი და თვითორგანიზებული ბუნება. კვლევა აჩვენებს, რომ როგორც ურბანულ, ისე რურალურ სივრცეებში წარმოქმნილი წინააღმდეგობები, უმრავლეს შემთხვევაში, არა აქტივისტურ თუ პროფესიულ წრეებში, არამედ იმ ადგილობრივ საზოგადოებებში ჩნდებოდა, რომელთაც უშუალოდ შეეხებოდა მათი საცხოვრებელი გარემოსთვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილება თუ პროექტი. უკანასკნელი წლების გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა ასევე სოციალური მედიის გამოყენების გზით საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზაციის გამოკვეთილი პრაქტიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ გარემოსდაცვით პროტესტსა და კლიმატის აქტივიზმს. სოციალური პროტესტის ორივე ფორმა საზოგადობრივი უკმაყოფილების გამოხატვის გზით გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის იბრძვის. თუმცა, გარემოსდაცვით პროტესტად მოიაზრება ის წინააღმდეგობები, რომლებიც მიემართება გარემოს დამაზიანებელ კონკრეტულ პროექტებს, როგორიცაა, ბუნებრივი და წიაღისეული რესურსების მოპოვება, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურების მშენებლობა თუ ბუნებრივი და საარსებო გარემოს გარდამქმნელი ჩარევები. ხოლო კლიმატის აქტივიზმი, როგორც წესი, ურბანულ სივრცეებში წარმოიქმნება და ის კლიმატის კრიზისის შეკავების მიზნით, სახელმწიფოებსა და სხვა პასუხისმგებელ აქტორებზე ზეგავლენის გზით სამართლიანი და მდგრადი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შექმნას ისახავს მიზნად.[1] ჩვენს სინამდვილეში წარმოქმნილი კოლექტიური მობილიზაციის შემთხვევები მათი ბუნებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით წინააღმდეგობებად/პროტესტებად უნდა მივიჩნიოთ და სწორედ ამგვარი იქნება მათი საერთო სახელიც ამ კვლევის მიზნებისთვის.

გარემოსდაცვითი და კლიმატის კრიზისი, რომელიც გლობალურ პოლიტიკურ, სოციალურ და ეგზისტენციალურ გამოწვევას წარმოადგენს, მის შედეგად დამდგარი ზიანი და მისგან მომდინარე საფრთხეები[2] მთელ მსოფლიოში წარმოქმნის გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს. კვლევები აჩვენებს 2018-

1 Berglund, O., Franco Brotto, T., Pantazis, C. , Rossdale, C. and Pessoa Cavalcanti, R. (2024), Criminalisation and Repression of Climate and Environmental Protest, University of Bristol: Bristol. p.5.

2 Amnesty Internationl, (2022), Any Tidal Wave Could Drown Us, Stories from the Climate Crisis.

2019 წლებიდან გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დრამატული ზრდის ტენდენციას, მათ შორის, გამორჩეულად მზარდია კლიმატის კრიზისთან დაკავშირებული სოციალური პროტესტიც. ეს პროცესი აერთიანებს ინდივიდების, სოციალური ჯგუფებისა და ადგილობრივი საზოგადობების, პროფესიული თუ სამეცნიერო წრეების, პოლიტიკური ჯგუფების, საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების, სამოქალაქო ინიციატივების თუ გარემოსდამცველთა მნიშვნელოვან ძალისხმევას, შეამცირონ გარემოსადმი შეუქცევადი ზიანი და გარემოსდაცვითი კრიზისი გლობალური და ეროვნული პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხად აქციონ.[3]

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევებში აღწერილი გლობალური ტენდენცია აჩვენებს, რომ სახელმწიფოები მზარდ გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს უპირისპირდებიან საპასუხო რეპრესიით, დევნით, შევიწროვებით, პროტესტის კრიმინალიზებისა და დასჯის მიდგომებით, რაც, თავის მხრივ, არ ტოვებს საზოგადოებრივი პროტესტების სოციალური დიალოგის გზით გადაწყვეტის ადგილს და ამცირებს უკმაყოფილებების გამოხატვის დემოკრატიულ და სამოქალაქო სივრცეებს.[4] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების მიხედვით განსხვავდება გარემოსდაცვითი პროტესტის რეპრესირების მეთოდები, ის დიდწილად მოიცავს გარემოსდაცვითი პროტესტის შემზღუდავ ახალ საკანონმდებლო რეგულაციებსა და პოლიტიკას, პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლო სისტემის მხრიდან გარემოსდამცველთა რეპრესირების, დევნის, უკანონო დაკავების, დაპატიმრების, დაჯარიმების, საპოლიციო თვითნებობისა და ძალის გადამეტების პრაქტიკას.[5] არაერთი ქვეყნის გამოცდილებაში ასევე მზარდია უსაფრთხოების სამსახურების როლი გარემოსდამცველთა დევნისა და კონტროლის ამოცანებში, რაც თვალთვალის, შევიწროების, დაშინებისა და მოძრაობებში ინფილტრაციის მზარდ პრაქტიკებს მოიცავს. ეს უკანასკნელი ასევე მომდინარეობს რიგ ქვეყნებში (მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში) დამკვიდრებული პრაქტიკიდან, რომელიც გარემოსდამცველებს კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის რისკის წყაროდ და ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ მონიშნავს.[6] სულ უფრო მეტი ისეთი

3 Berglund, O., Franco Brotto, T., Pantazis, C. , Rossdale, C. and Pessoa Cavalcanti, R. (2024), Criminalisation and Repression of Climate and Environmental Protest, University of Bristol: Bristol. pp.17-22.

4 Crackdowns on Peaceful Environmental Protests Should Stop and Give Way to More Social Dialogue, Commissioner for Human Rights, 2023.

5 Hadjimatheou, K., (2023) Surveillance, Democracy, and Protest in a Time of Climate Crisis Hadjimatheou, Oxford University Press, pp.136-144.

6 Gordon, C. (2024): Criminalizing Care: Environmental Justice Under Political and Police Repression, Environmental Communication. pp. 2-4.

ლიტერატურა იქმნება, რომელიც მსჯელობს სოციალურ მოძრაობებში მედიის, მათ შორის, ციფრული მედიის განსაკუთრებულ როლზე. მკვლევართა ერთი ნაწილი სოციალური პროტესტების მიერ სამოქალაქო მობილიზაციის და საკუთარი პოზიციონირების პროცესში, ციფრული მედიის დადებითად გამოყენების გამოცდილებაზე საუბრობს.[7] თუმცა, კვლევების ნაწილი აღწერს მედიისა და სოციალური მედიის მზარდ უარყოფით გავლენას სოციალური პროტესტის დისკრედიტაციასა და მათ მიმართ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, რაც, მათ შორის, სახელმწიფოებისა და კორპორაციების მიერ მართული საინფორმაციო არხების შექმნასა და გამოყენებას შეესაძლოა უკავშირდებოდეს.[8]

სწორედ ამ ტენდენციებზე პასუხია, ერთი მხრივ, გაეროს გენერალური ასამბლეის 2022 წლის ისტორიული რეზოლუცია, რომელიც უფლებას სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე – ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს.[9] პარალელურად, სახელმწიფოების მხრიდან მომდინარე რეპრესიისგან გარემოსდამცველთა დასაცავად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) შესაბამისობის კომიტეტმა, 2021 წელს შექმნა სწრაფი რეაგირების სპეციალური მექანიზმი გარემოსდამცველთა შესახებ სპეციალური მომხსენებლის სახით. ამ ახალი ინსტრუმენტის მთავარ ამოცანა გარემოსდაცვით წინააღმდეგობებში ჩართული ადამიანების დევნის, დასჯისა და შევიწროებისაგან დაცვაა,[10] რაც წარმოადგენს ორჰუსის კონვენციით განსაზღვრულ მნიშვნელოვან მოთხოვნას, რომლის ხელმომწერ სახელმწიფოს საქართველოც წარმოადგენს.

ბოლო წლების გლობალური ტენდენციებისა და იმ საფრთხეების აღსაწერად, რომლის წინაშეც გარემოსდამცველები დგანან, მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გარემოსდამცველთა შესახებ სპეციალური მომხსენებლის

7 Savolainen S., Saarinen, V.P., Yun Chen, T.H., (2024), Social Media Affordances Sustain Social Movements Facing Repression: Evidence from Climate Activism, Center for Open Science.

8 Earl J. , Maher, T.V., and Pan, J., (2022), The Digital Repression of Social Movements, Protest, and Activism: A Synthetic Review. Science Advances 9 Mar 2022 Vol 8, Issue 10.

9 The Human Right to a Clean, Healthy and Sustainable Environment: Resolution / Adopted by the General Assembly, A/RES/76/300, 2022-07-28.

10 Decision VII/9 on a Rapid Response Mechanism to Deal With Cases Related to Article 3 (8) of the Aarhus Convention, Meeting of the Parties to the Convention on Access to Information, Public Participation in Decision-making and Access to Justice in Environmental Matters, Geneva, 18–20 October 2021.

2024 წლის ანგარიში. ანგარიში ევროპული სახელმწიფოების გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღწერს გარემოსდამცველთა მიმართ სახელმწიფოების მიერ გამოყენებულ საგანგაშო მიდგომებსა და ტენდენციებს. დოკუმენტი აჩვენებს გარემოსდამცველთა რეპუტაციის შემლახავი მედია და პოლიტიკური დისკურსის გაძლიერებას, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების შესაკავებლად შემუშავებულ ახალ კანონებსა და პოლიტიკის მაგალითებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ სტანდატებთან და სახიფათო პრაქტიკებს წარმოქმნის – მართლმსაჯულების სისტემებისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების არასათანადო, არაპროპორციულ, ხშირად უკანონო ჩარევას გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მართვის პროცესში, რაც გარემოსდამცველთა დევნაში, რეპრესირებასა და მათი საქმიანობის კრიმინალიზებაში გამოიხატება.[11]

ამ რთულ გლობალურ კონტექსტში, რომელიც, ერთის მხრივ, აჩენს და მეორეს მხრივ, დევნის საზოგადოებაში არსებულ მზარდ სოციალურ უკმაყოფილებას, საინტერესოა საქართველოს გამოცდილება, რომელიც ბოლო წლებია მმართველობითი სისტემის გარდაქმნის პროცესს გადის, რაც დემოკრატიის სწრაფი უკუსვლითა და მზარდი ავტორიტარიზმით ხასიათდება.[12] პოლიტიკური სისტემების ამ ტრანსფორმაციას და ღიად ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებას, წინ უსწრებდა სოციალური უკმაყოფილებების გაძლიერებული რეპრესიების პრაქტიკა, რაც შეეხო ყველა სამოქალაქო და სოციალური შინაარსის პროტესტს, მათ შორის, გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს.

11 Forst, M. (2024) UN Special Rapporteur on Environmental Defenders under the Aarhus Convention, Postion Paper, State Repression of Environmental Protest and Civil Disobedience: A Major Threat to Human Rights and Democracy. pp. 8-19.

12 European Parliament, JOINT MOTION FOR A RESOLUTION on the Further Deterioration of the Political Situation in Georgia, 12.2.2025 - (2025/2522(RSP)); https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-10-2025-0106_EN.html; (Accessed 24.03.2025)

2. კვლევის საგანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია შეისწავლოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული მიდგომები უკანასკნელ წლებში ქვეყნის მასშტაბით წარმოქმნილი იმ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ, რომლებიც მიემართებოდა ფიზიკური გარემოს, საცხოვრებელი და საჯარო სივრცეების დაცვასა და შენარჩუნებას და მიზნად ისახავდა, კითხვები დაესვა როგორც ცალკეული პროექტებისა თუ გადაწყვეტილების, ასევე ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ხელისუფლების მიერ არჩეული განვითარების ეკონომიკური მოდელის შესახებ. კვლევა ასევე შეისწავლის გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იმ ძირითად მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებმაც განსაზღვრა გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნა და გავლენა მოახდინა მათ შინაარსებზე, ფორმებსა და მოთხოვნებზე. კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ის გარემოსდაცვითი უკმაყოფილებები, რომელთაც სოციალური თვითორგანიზებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით შეძლეს დროში განგრძობადი და მდგრადი წინააღმდეგობის შენარჩუნება.

კვლევა 2020-2024 წლების განმავლობაში მიმდინარე გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს შეისწავლის და სხვადასხვა პროტესტის მონაწილეთა თუ მხარდამჭერთა მოსაზრებების, შეფასებებისა და დაკვირვებების მოხელთების გზით ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვას – როგორია ხელისუფლების სამოქმედო ჩარჩო კოლექტიური მობილიზების ფორმით გამოხატული უკმაყოფილებების მიმართ. კერძოდ, როგორ ხედავს და როგორია სახელმწიფოს დამოკიდებულება მშვიდობიანი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობებისადმი.

საკვლევი შემთხვევების მოძიებისა და შერჩევისთვის, პირველ ეტაპზე, დამუშავდა ბოლო წლების გარემოსდაცვითი პროტესტების შესახებ არსებული საჯარო წყაროები. დამატებით, გამოვიყენეთ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან, მეცნიერებთან და სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუები. კვლევამ მოიცვა 2020-2024 წლებში ქვეყანაში მიმდინარე 23 ხანგრძლივი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობა. კვლევაში ერთ ერთეულად მონიშნული წინააღმდეგობა თავის თავში, შესაძლოა, აერთიანებდეს ერთ რეგიონში სხვადასხვა ადგილზე გაშლილი წინააღმდეგობების რამდენიმე ლოკალურ ეპიზოდს, რომლებიც კვლევის მიზნებისთვის წინააღმდეგობის ერთ ჯაჭვად/აქტად არის მიჩნეული. კვლევისთვის საინტერესო წინააღმდეგობები, ზოგიერთ შემთხვევაში, 2020 წლამდე დაიწყო, თუმცა, ისი-

ნი კვლევაში იმ მიზეზით მოხვდა, რომ პროტესტთან დაკავშირებული მოვლენების ნაწილი საანგარიშო პერიოდშიც გრძელდებოდა. კვლევის ფარგლებში შესწავლილი არაერთი წინააღმდეგობა ქვეყნის სხვადასხვა წერტილში დღემდე გრძელდება.

კვლევა პირველადი და მეორადი წყაროების მოძიებასა და ანალიზს ეფუძნება. კვლევის მიზნებისთვის პირველად წყაროს წარმოადგენს რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუები, ხოლო მეორადი მონაცემები მოიცავს ადგილობრივი არასამთავრობო, გარემოსაცვითი ორგანიზაციების ანგარიშებს, კვლევებს, შეფასებებსა და მედიაწყაროებში საჯაროდ გამოქვეყნებულ მასალებს.

კვლევის ცენტრალური კომპონენტია საველე კვლევა, რომელიც თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით მომზადდა. ინტერვიუების ჩატარებისთვის შეირჩა სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი. საველე კვლევის ფარგლებში ჩატარდა 32 ინდივიდუალური ინტერვიუ. მათგან 24 ინტერვიუ – უშუალოდ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების ლიდერებთან, მის აქტიურ წევრებთან თუ მხარდამჭერებთან, ხოლო 8 ინტერვიუ ჩატარდა გარემოსდაცვით წინააღმდეგობებში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციების, გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და პროფესიული წრეების წარმომადგენლებთან.

ინტერვიუების დიდი ნაწილი (29 ინტერვიუ) 2024 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში ავიღეთ, მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ ჩატარდა 2025 წლის თებერვლის თვეში. ინტერვიუები პირისპირი შეხვედრების ან ონლაინ პლატფორმების გამოყენებით შედგა, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა 120 წუთს (დაახლ. 2 საათს) შეადგენდა. პირდაპირი შეხვედრის გზით ჩატარდა სულ 11 ინტერვიუ. ხოლო ინტერვიუს ჩატარების ადგილი იყო თბილისი, ფოთი, ქუთაისი, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი. კვლევაში მონაწილე პირთა ანონიმურობის დაცვისა და მათი უსაფრთხოების მიზნით, კვლევა არ იყენებს მასში მონაწილე რესპონდენტების სახელებს, გვარებს და სხვა მახასიათებლებს. საკვლევი საკითხების სენსიტიურობიდან გამომდინარე, კვლევაში მხოლოდ საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომი ინფორმაციაა მოცემული კონკრეტული ადამიანების იდენტიფიცირებადი ფორმით. ინტერვიუების პროცესში ყველა რესპონდენტი ანონიმურობის დაცვის გარეშე გვიზიარებდა ინფორმაციის დიდ ნაწილს, თუმცა, კვლევაში საჯაროობაზე მათი თანხმობის მიუხედავად, მათი იდენტიფიცირება მინიმუმამდეა დაყვანილი. კვლევის ტექსტში გამოყენებული ციტირებებისას, სრულად დაცულია რესპონდენტების თხრობის სტილი. კვლევის დასასრულს მოცემული დანართიც დეტალების გარეშე ასახავს მონაცემებს ჩატარებული ინტერვიუების შესახებ.

მონაცემების ანალიზის ეტაპზე, საველე კვლევის ფარგლებში მოძიებული ინფორმაციის დამუშავების მიზნით, ინტერვიუების აუდიოჩანაწერების გაშიფვრისა და თემატური კოდირების მეთოდი გამოვიყენეთ. ასევე, ანალიზის დროს გამოვიყენეთ სამაგიდე კვლევით მოძიებული მეორადი მონაცემები, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების, მათ შორის, კვლევების, ანგარიშების, შეფასებებისა თუ სტატიების სახით.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდული რესურსის გათვალისწინებით, ის არ მოიცავს უშუალოდ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების შინაარსის, მოთხოვნების, მათი სტრატეგიების, ტაქტიკებისა და რეპერტუარების ანალიზს, რაც არაერთ შემთხვევაში ზემოქმედებდა ხელისუფლების შემხვედრ ნაბიჯებსა და სტრატეგიებზე. ასევე კვლევა მიზნად არ ისახავს აღწეროს, თუ რა გავლენა მოახდინა სახელმწიფოს მიერ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ გამოყენებულმა მეთოდებმა თავად მოძრაობებზე, მის ლიდერებსა და მონაწილეებზე და კონკრეტულ შემთხვევებში, როგორ განსაზღვრა წინააღმდეგობების მობილიზებისა თუ დემობილიზების შესაძლებლობები. ასევე, კვლევა მიზნად არ ისახავს იკვლიოს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა თუ ძალაუფლების არსებული სტრუქტურები. მისი მიზანია მოიხელთოს წინააღმდეგობის მონაწილეების დაკვირვებები, გამოცდილებები და მათი გავლით აღწეროს წინააღმდეგობებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გამოყენებული მეთოდები და მიდგომები.

კვლევა არ შეეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ამ პერიოდში მიმდინარე წინააღმდეგობებს, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ მიმართული წინააღმდეგობები მნიშვნელოვნად იკვეთებოდა ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხებთან.

საკვლევი საკითხების ბუნებიდან და რიგ შემთხვევებში, მათი მგრძნობიარე შინაარსიდან გამომდინარე, კვლევა არსებითად ეფუძნება კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების საერთო გამოცდილებებს, რომელთა ნაწილი გამორიცხავდა მათი დამოუკიდებელი წყაროებით დადასტურების შესაძლებლობას, გარდა საჯარო მოვლენებისა და მათთან კავშირში საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებისა.

3. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნის სტრუქტურული მიზეზები და გარემოსდაცვითი პოლიტიკის სისტემური ჩავარდნა

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს, განსაკუთრებით კი, სოციალური პროტესტის გამოცდილებას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ის გარემოსდაცვითი მოძრაობები და წინააღმდეგობები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უპირისპირდებოდნენ საჯარო რესურსებისა და ბუნებრივი გარემოს ათვისებას და განკერძოებას, საცხოვრებელი გარემოს დეგრადაციას და განადგურებას, რეკრეაციული სივრცეებისა და კულტურული გარემოს შეუქცევად დაზიანებას და მოხმარებას, გარემოსდაცვითი პოლიტიკის არადემოკრატიულობასა და დახურულობას.

საქართველოში გარემოსდაცვითი პროტესტი ათწლეულებს ითვლის და ის სხვადასხვა დროს მოიცავდა როგორც დიდ სატრანსპორტო[13] და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან კავშირში გაჩენილ წინააღმდეგობებს,[14] ასევე პროტესტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა წიაღისეული და ჰიდრო რესურსების ათვისებით მიყენებულ ზიანს და ეჭვქვეშ აყენებდა საჯარო სივრცეების, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოსთვის საფრთხის შემქმნელ პოლიტიკებს, ინიციატივებსა და პროექტებს.[15] ცალკეული გამოცდილებების აღწერისა და დოკუმენტირების მიუხედავად, საქართველოში გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნის და განვითარების ისტორია სათანადოდ არ არის ნაკვლევი, რაც ართულებს სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში მიმდინარე პროტესტები შედარებითი პერსპექტივით დავინახოთ, გამოვკვეთოთ მათი მახასიათებლები თუ მიმართებები და ვიმსჯელოთ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის განვითარების, გარდაქმნის თუ ცვლილების დინამიკაზე. ეს საკითხი არც წინამდებარე კვლევის შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუმცა, ამ კვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია ხაზ-

13 თეონა რეხვიაშვილი, გაბრიელ ჩუბინიძე, ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზა და წინააღმდეგობა საბჭოთა საქართველოში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2024, თბილისი, საქართველო.

14 საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2013, თბილისი, საქართველო.

15 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები, შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები, 2017, თბილისი, საქართველო.

გასმით ითქვას, რომ საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის სოციალური წინააღმდეგობის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გარემოსდაცვითმა პროტესტმა, რაც პირდაპირ კავშირშია ბუნებრივი გარემოს, საჯარო რესურსებისა და საჯარო სივრცეების ათვისების პროცესის და მისი თანმდევი დამაზიანებული გავლენების განსაკუთრებულ გაძლიერებასთან. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ბუნებრივი და საარსებო გარემოს ათვისების მზარდი და აჩქარებული პროცესით ხასიათდება, უკანასკნელ წლებში ათეულობით საპასუხო გარემოსდაცვითი წინააღმდეგობა და სახალხო მობილიზაცია წარმოქმნა. მხოლოდ უკანასკნელ 5 წელიწადში (2020-2024), რაც უშუალოდ საკვლევ პერიოდს მოიცავს, კვლევამ 23 გრძელვადიანი და განგრძობადი გარემოსდაცვითი პროტესტი მოიხელთა, რომლებიც ქვეყნის არაერთ ქალაქსა თუ რეგიონში პარალელურად მიმდინარეობდა და ზოგიერთი მათგანი დღემდე გრძელდება.

კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარების ეკონომიკური მოდელის გარდა, გარემოსდაცვითი პროტესტების წარმოქმნა ასევე უკავშირდებოდა ქვეყნის პოლიტიკური და მმართველობითი სისტემის არადემოკრატიულ ბუნებას, რამაც არა მხოლოდ წარმოშვა ადგილობრივი ბრძოლები გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის, არამედ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ წინააღმდეგობების შინაარსი, მოთხოვნები და გამოხატვის ფორმები. საკვლევ პერიოდში შესწავლილი გარემოსდაცვითი პროტესტების პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში ამგვარი პროცესების წარმოქმნის მიზეზები უკავშირდება ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის სისტემურ ჩავარდნას, რაც გულისხმობდა გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებას, გაუმჭვირვალე და უკანონო პროცესებით, კვლევითი მონაცემებისა და სამეცნიერო ცოდნის გვერდის ავლითა და საზოგადოების მონაწილეობის გამორიცხვით. სწორედ ამგვარი არადემოკრატიული მმართველობითი ჩარჩო, რომელიც გარემოს საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების თვითნებურობაში გამოიხატებოდა, რასაც თან ახლდა მართლმსაჯულების სისტემის დემონსტრაციული უუნარობა, ხშირად სამოქალაქო მობილიზაციას, ფიზიკურ სივრცეში გამოხატულ კოლექტიურ პროტესტს და მშვიდობიან სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, ბუნებრივი გარემოს შეუქცევადი გარდაქმნის პროცესზე ზეგავლენის ერთადერთ შესაძლებლობად აქცევდა.

უკანასკნელი წლების გარემოსდაცვითი პროტესტების გამოცდილებაზე დაკვირვება, ასევე ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული ანგარიშები და შეფასებები აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი მმართველობითი სისტემა, არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა მუდმივად აჩენდა საზოგადოებრივ უნდობლობას,

ეჭვებს და გაუცხოებას მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, რაც შემდეგ გარემოსდაცვითი პროტესტების წარმოქმნას განაპირობებდა. საქართველოს სახალხო დამცველი (შემდგომში სახალხო დამცველი), რომელიც უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ განვითარების პროექტებს ადამიანის უფლებების შუქზე შეისწავლის, მიიჩნევს რომ „ადმინისტრაციული უწყებები გადაწყვეტილებებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების უგულებელყოფით იღებდნენ, რამაც თითქმის ყველა შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიმართ უნდობლობა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტივისტების წინააღმდეგობა გამოიწვია“.[16]

საკვლევ პერიოდში გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის მიმდინარე პროტესტები, როგორც წესი, მიმართული იყო (1) სახელმწიფოს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლების ფუნდამენტურ და სისტემურ უარყოფას, (2) გარემოსთან კავშირში მიღებული გადაწყვეტილებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მონაცემების დახურულობას, (3) გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების სისტემის არსებით ჩავარდნას და (4) სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან კავშირში გარემოსდაცვითი ზეგავლენის, უსაფრთხოების, ეკონომიკური და სხვა სახის რისკების არასათანადო შეფასებას ან ამგვარი შეფასების არარსებობას.

გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების მონაწილეობის გამორიცხვა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი შემთხვევები ადასტურებს, რომ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საერთო მახასიათებელი ამ პროცესებიდან საზოგადოების მონაწილეობის გამორიცხვაა. 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომლის ფარგლებშიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელოვანი მექანიზმები და გარანტიები შეიქმნა, საზოგადოების ჩართულობის და მონაწილეობის პრობლემა პრაქტიკაში არსებით გამოწვევად დარჩა. კვლევა აჩვენებს რომ საზოგადოების მონაწილეობის უფლების შეზღუდვა ცალკეულ შემთხვევებში კანონმ-

16 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (The Danish Institute for Human Rights) მიერ მომზადებული კვლევა, ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა, თბილისი, 2022. გვ. 8. https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf; (ბოლოს ნანახია 10.05.2025)

დებლობის მოთხოვნების პირდაპირი უგულებელყოფის ან კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციითა და მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულისგან თავის არიდების გზით ხდებოდა. საზოგადოების მონაწილეობის პრინციპის უგულებელყოფაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმგვარი საქმიანობები, რომელთა მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩო გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისას, ცხადად არ ადგენს საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობას.

გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები საზოგადოების მონაწილეობის უფლების ღია და აშკარა დარღვევის გარდა, ასევე იყენებდნენ საზოგადოების მონაწილეობის ილუზიის შექმნის სტრატეგიას, რაც გულისხმობს ფორმალური ხასიათის შეხვედრებსა და საზოგადოების მონაწილეობის პროცესის თეატრალიზებას. ხელისუფლების ეს მიდგომა იმთავითვე გამორიცხავდა საზოგადოების რეალური ჩართულობისა და მათ საარსებო გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მინიმალურ შესაძლებლობასაც კი. შედეგად, იმ შემთხვევებშიც კი, სადაც თუნდაც ფორმალურად არსებობდა საზოგადოების მონაწილეობის სივრცე, ხელისუფლება ვერ იცავდა ორჰუსის კონვენციით დადგენილ უფლებრივ სტანდარტს. ორჰუსის კონვენცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლების განხორციელებას მთელ რიგ წინაპირობებს უკავშირებს და მონაწილეობის პროცესის იმგვარად წარმართვის სტანდარტს ადგენს, რაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე საზოგადოების ეფექტიანი ზეგავლენის რეალურ შესაძლებლობებს ქმნის.

სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ათეულობით პროექტს აფასებს და მოიცავს დიდი ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, საავტომობილო გზებისა და მრავალფუნქციური კომპლექსების მშენებლობის პროცესების ანალიზს, მიუთითებს: „ყველა პროექტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოდ არ ყოფილა უზრუნველყოფილი საზოგადოების ადრეულ ეტაპზე ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მისი ჩართულობის ვალდებულება, რაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გარემოს დაცვის უფლების განუყოფელი ნაწილია; ამ უფლების რეალიზაცია ასევე უკავშირდება გარემოს დაცვის უფლების სხვა ასპექტების დაცვასაც, რაც ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას, ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლებას გულისხმობს“.[17]

17 იქვე. გვ. 10.

გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების გაუკუღმართებულ და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სისტემურად შემზღუდავ პრაქტიკას ადასტურებს კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების და წინააღმდეგობის მონაწილეების გამოცდილებაც. მეტიც, კვლევის მონაწილეები უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი მონაწილეობის დრამატული გაუარესების ტენდენციაზე მიუთითებენ. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების გამორიცხვის ან მისი მონაწილეობის დასუსტების მიზნით ხელისუფლება განსხვავებულ მეთოდებს იყენებს. თუმცა, ყველა შემთხვევაში ის ცხადს ხდის ხელისუფლების განზრახვას – მინიმუმამდე და ხშირად ფორმალობამდე დაიყვანოს მოთხოვნა საზოგადოების ჩართულობაზე და პროცესში მათი მოსაზრებების, წუხილის და პოზიციების გათვალისწინებაზე.

შესწავლილი შემთხვევების ნაწილში, მონაწილეობის უფლების უგულებელყოფა გულისხმობდა სრულად დახურულ და არასაჯარო პროცესს, საჯარო შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობას ან იმგვარ გამოქვეყნებას, რაც ართულებდა ინფორმაციის ადრესატამდე მისვლას, საჯარო შეხვედრის მალულად გამართვას ან დაგეგმილი საჯარო შეხვედრის ადგილის ფარულად და მოულოდნელად შეცვლას.

საჯარო განხილვებში საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდვის ტაქტიკა ასევე მოიცავდა შეხვედრის ადგილის ისე შერჩევას, რაც გაართულებდა მასში დაინტერესებული საზოგადოების რეალურ მონაწილეობას; კერძოდ, შეხვედრის სივრცის წინასწარ მობილიზებული მოქალაქეებით თუ საჯარო მოხელეებით შევსებას, რაც შეუძლებელს ხდიდა ნამდვილად დაინტერებული მოქალაქეების შესვლას შეხვედრის დარბაზში; შეხვედრაზე შესვლისას მოქალაქეებისთვის ფიზიკური ბარიერების შექმნას ამ ამოცანით საგანგებოდ შეკრებილი ადამიანების შესასვლელთან ჩაყენებით; შეხვედრაზე მტრული გარემოს შექმნას, რაც გაართულებდა კრიტიკული შეკითხვების დასმას და მათზე პასუხის მიღებას; შეხვედრის ჩაშლის ან ვერდასრულების მიუხედავად, მის ჩატარებულად/დასრულებულად გამოცხადებას. ასევე, საჯარო შეხვედრების ჩატარებას ონლაინ ფორმატში (კოვიდპანდემიის დროს), რაც ხშირად საერთოდ გამორიცხავდა კითხვის დასმის და მასზე პასუხის მიღების შესაძლებლობას და სხვა.

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე სწორედ ასე იხსენებს საჯარო შეხვედრებში მისი და მისი თანამოაზრეების მონაწილეობის გამოცდილებას: *„ჩვენ ამას [შეხვედრას] შემთხვევით ვიგებდით, სხვადასხვა წყაროსგან ან ვინმე კეთილმოსურნისგან...შემთხვევით გავიგეთ და წავედით. სულ ასეთი სიტუაცია იყო,*

სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან მოყვანილი ხალხი...და ამით იყო [დარბაზში] ხალხი შევსებული. დარბაზში სულ, ალბათ, 50 ადამიანი ეტეოდა და ამას 30 კაცი ჰყავდა მოყვანილი...იქ შესვლაზე პრობლემა, კარებში ჩაყენებული ორი მძიმეწონიანი პიროვნება, რომელიც გეუბნება, რომ ადგილი არ არის, თან ამას გეუბნება ცივი გამომეტყველებით, ატყობ, რომ ეს ვიღაც სპეციალურად დაყენებული არის".

ამგვარად აღწერს თავის გამოცდილებას სხვა გარემოსდაცვითი პროტესტის მონაწილე: *„სკოპინგის ეტაპი უკვე 2020 წელს იყო. ჩაინიშნა განხილვა. უკვე კოვიდი იყო. ჩათვალეს, რომ კარგად გაიტანდნენ. თან ახალი იყო ეს ფორმა, ზუმის ფორმა..[ჩათვალეს], რომ საკმარისი იყო ესე მოეწყოთ განხილვა ამ მასშტაბის პროექტის. მუნიციპალიტეტში შეიკრიბა პირველივე განხილვაზე ხალხი, თემის სხვადასხვა სოფლებიდან. პროტესტი იყო ამ ფორმაზე და არ დაესწრნენ ამას".*

სახალხო დამცველის წარმომადგენელი, რომელიც კვლევის ფარგლებში გამოიკითხა, უთითებს რომ *„თითქმის ყველა პროექტთან მიმართებაში, მოსახლეობა ვისაც შეიძლება უშუალოდ შეხებოდა ეს პროექტები, იმიტომ რომ იქვე ცხოვრობენ და მათ გარემოს ეხება, არც დაწყების და დაპროექტების ეტაპზე და არც შემდეგ ეტპაზე, არც ჩართულები იყვნენ ამ პროექტების მომზადებაში ან განხორციელების პროცესში და არც ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ. თუ რამე ტარდებოდა ზოგ შემთხვევაში, ძალიან ფორმალური სახის იყო და საბოლოო ჯამში სადღაც შეიძლება გამოკრული ყოფილიყო, რომ...რაღაცა განხილვა იგეგმება, მაგრამ რეალურად იმ მოსახლეობას, ვისაც უშუალოდ ეხებოდა არ ჰქონდა პრაქტიკული ჩართულობის შესაძლებლობა".*

კვლევის მონაწილეთა ნაწილი აღწერს, რომ რესურსების მოპოვების, მშენებლობის თუ საჯარო სივრცეების გასხვისების პროცესის შესახებ მხოლოდ მოპოვებითი, მოსამზადებელი და სამშენებელო სამუშაოების დაწყების ფაქტით შეიტყვეს, მას შემდეგ, რაც მათ საცხოვრებელ გარემოში მძიმე ტექნიკა გამოჩნდა და დაიწყო სატვირთო მანქანების და უცხო ადამიანების გადაადგილება. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ასე აღწერს მის სოფელში მოპოვების პროცესის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებას: *„აღმოვაჩინე შემთხვევით, რომ იმ ადგილზე, თურმე სადაც კომპანიას განზრახული ჰქონდა მომავალში მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვება, აღმოვაჩინე ორმო… მივხვდი რაშიც არის საქმე და გამიკვირდა, ერთი რამ, სოფელში ამის შესახებ არ საუბრობდნენ".*

მსგავს გამოცდილებას აღწერს სოფელ ბალდის კანიონის შენარჩუნებისთვის მიმდინარე პროტესტის მონაწილეც: *„იქ საბანაოდ ჩასულ ბიჭებს [ეუბნებიან],*

რომ ტერიტორია უნდა დატოვონ, რადგან აქ ცურაობა არ შეიძლება. ამაზე, რა თქმა უნდა, ცოტა გაკვირვებულები იყვნენ – რას ქვია ტერიტორია დავტოვოთ, რატომ უნდა დავტოვოთ?!.. მერე მოვიდა უკვე დაცული ტერიტორიების თანამშრომელი და ...ხსნიდა, რომ ეს ტერიტორია გაიჯარებულია, ჩასვლა იქნება ფასიანი და ახლა უნდა დავტოვოთ ტერიტორია".

ანალოგიურია გამოცდილება ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროცესებთან დაკავშირებული წინააღმდეგობებისას: *„წიაღის ლიცენზირება საერთოდ განსხვავებულია. აქ არის აუქციონი მხოლოდ და მხოლოდ და აუქციონზე დაინტერესებული კომპანიები იღებენ მონაწილეობას..საზოგადოება როგორ იგებს ამის შესახებ? ვერანაირადაც ვერ იგებს...ის რომ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის ჩაკეტილი და გაუგებარი, ეს არის კონფლიქტის პირველი წყარო. ადამიანები იგებენ მას მერე, რაც ლიცენზია უკვე გაცემულია და იწყება კონკრეტული ტექნიკის გადაადგილება, ან ამოთხრა ან გადათხრა..".* (სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი).

მსგავსია იმ ურბანული წინააღმდეგობების მონაწილეთა გამოცდილებაც, რომლებიც ქალაქ თბილისში საჯარო სივრცეების დაცვისთვის და გადარჩენისთვის იბრძვიან: *„[წინააღმდეგობის მონაწილე (ასახლებს მას)] დილას რომ დგება, ჩადის ეზოში რომ დაათვალიეროს ახალი კომპანია ხომ არ შემოვიდა [ტერიტორიაზე] მიუხედავად იმისა, რომ 15 სასამართლო პროცესშია მერიასთან ჩართული და...ყველანაირად, სასამართლო დონეზე აქვს ინტერესი დაფიქსირებული ამ ტერიტორიაზე, უბრალოდ არაფერს არ ატყობინებს [მერია]".*

ასე იგებს კვლევის სხვა მონაწილე მის საცხოვრებელ სივრცესთან დაგეგმილი პროექტის შესახებ: *„თვითონ პროექტის შესახებ გავიგე პირდაპირი ეთერიდან. კახა კალაძეს ჰქონდა პრეზენტაცია ამ ცენტრალ პარკის პროექტის და შემთხვევით ვუყურებდი ტელევიზორში ამ პირდაპირ ეთერს…უცნაური ეგ იყო, რომ მეორე დღეს იპოდრომის ტერიტორიაზე დაიწყეს სამშენებლო სამუშაოების მომზადება".*

გარემოსდამცველები საზოგადოების მონაწილეობის შემზღუდავ ბარიერად მიიჩნევენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაციფრულების პრაქტიკას, რომელმაც არათუ გაზარდა, მეტიც გაართულა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების რეალური ჩართულობა და საზოგადოების მონაწილეობის უფლება ფორმალობად აქცია. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თუ გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოების საინფორმაციო პორტალები, რომლებზეც ქვეყნდება ინფორმაცია მიმ-

დინარე ადმინისტრაციული წარმოებების შესახებ, რეალურად მიუწვდომელია რიგითი მოქალაქეებისთვის: სპეციალისტის დახმარების გარეშე, მათთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია რთულ ონლაინ პლატფორმებზე ნავიგაცია და საჭირო ინფორმაციის მოძიება. ინფორმაციის მოძიების შემთხვევაში კი თითქმის შეუძლებელია ერთი შეხედვით საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების აღქმა და გააზრება მათი ტექნიკური ხასიათის და დიდი მოცულობის გამო.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული გარემოსდამცველი თავის დაკვირვებას ამგვარად აჯამებს: *„დიგიტალიზება რაღაც მომენტში კარგია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესების დიგიტალიზება არის კატასტროფა.. განსაკუთრებით ჩვენს მსგავს ქვეყნებში, როდესაც ყველაფერი გადატანილია ინტერნეტ სივრცეში, მაშინ როდესაც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ადამიანების ვიცით როგორია...როგორია სამასი და ხუთასი გვერდის „სმარტფონში“ წაკითხვა და გაცნობა..[მოქალაქეს] შეუძლია თუ არა ზუმის და ვებექსის საშუალებით საჯარო განხილვაში მონაწილეობა“ .*

თავის გამოცდილებას აღწერს კვლევაში ჩართული ურბანისტიც: *„მონაწილეობის და ინფორმირების კუთხით ძალიან გართულებულია. ვითომ გამჭვირვალეა. თუმცა, თუ სპეციალური ცოდნა არ გაქვს ვერ მოძებნი განაცხადს. ბოლო პერიოდში ვიტყვი რომ ბევრი ადამიანი მოგვმართავს, სულ სხვა ადამიანების დახმარება გჭირდება. ინფორმაცია ისე დევს რომ ტექნიკურად უნდა იცოდე რა როგორ მოიძიო და როგორ წაიკითხო ეს ინფორმაცია, რას ნიშნავს ის რაც წერია, თუ სპეციფიკური ცოდნა არ გაქვს რთულია გაიგო“.*

ზემოთ აღწერილი სტრატეგიების და ტაქტიკების გარდა, საზოგადოების მონაწილეობის დასუსტების ტენდენციის ნაწილია იმ მინიმალური ფორმატების/ორგანოების გაუქმება და სათათბირო ორგანოებიდან კრიტიკული მოსაზრებების მქონე წევრების გარიცხვა, რაც მანამდე მონაწილეობის მინიმალურ შესაძლებლობას მაინც ქმნიდა. 2021 წელს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრობიდან გაათავისუფლების საბჭოს წევრები შოთა გუჯაბიძე და ნინო ინაიშვილი, რომლებიც საბჭოს საქმიანობის ფარგლებში არაერთ კრიტიკულ პროექტს უწევდნენ წინააღმდეგობას. საბჭოს შემადგენლობის შეცვლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის თუ შეკითხვების დასმის და საზოგადოების ინფორმირების ეს მინიმალური შესაძლებლობაც კი.[18] თბილისის მერიასთან დაკავშირებულ გამოცდილებას ამგვარად აფასებს ერთ-

18 რატომ გაათავისუფლეს აქტივისტი შოთა გუჯაბიძე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოდან, პუბლიკა, იანვარი. 2021.

-ერთი გარემოსდამცველი: *„ჩართულობა საზოგადოების აბსოლუტურად შეზღუდულია. დაიხურა ყველა ალტერნატიული ფორმატი კალაძის დროს, რომლის ფაგლებშიც თუნდაც ხარვეზულად შეეძლოთ მონაწილეობა ურბანულ მოძრაობებს. მაგალითად ზონალური საბჭო...საშინელ კორუფციაში ჩაბმული ორგანო იყო. [თუმცა] იყო ერთადერთი ფორმატი, სადაც შეგეძლო პროტესტი დაგეფიქსირებინა, მონაწილეობა მიგეღო..ეგ დახურეს კორუფციის საბაბით, მაგრამ არ შეიქმნა არაფერი ალეტრანტიული. ანუ დაიხურა ყველა ფორმატი და დავრჩით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების იმედად“ .*

ამ წერტილოვანმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე მიმდინარე პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის და ინფორმირების გამოცდილებაზე და მინიმუმამდე დაიყვანა ისედაც სუსტი მონაწილეობის ფორმები და შესაძლებლობები. თბილისის მერიის პრაქტიკაში ასევე მონაწილეობის შეზღუდვის მექანიზმად ჩამოყალიბდა, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის (მოქალაქის/აქტივისტის) მიმართ საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის მოთხოვნა, რაც გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმდინარე წარმოების პროცესში, მოქალაქეების მონაწილეობის ფაქტობრივ წინაპირობად განისაზღვრა. ამგვარი პრაქტიკა მოქალაქეებს არაპროპორციულ და შეუძლებელ ტვირთს აკისრებს და მათი განხილვის პროცესში მონაწილეობის ხელოვნურ ბარიერს ქმნის.

გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დახურულობის მზარდი ტენდეცია

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები, მიმართული იყო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომის უკანონო შეზღუდვის წინააღმდეგ, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია, გადაწყვეტილებები, კვლევები, ნებართვები, დასკვნები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები ფაქტობრივად დახურული იყო. მეტიც, კვლევა აჩვენებს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ღიაობისა და გამჭვირვალობის რადიკალურად გაუარესების ტენდენციას. კვლევის მონაწილეები სხვადასხვაგვარად მონიშნავენ ხელისუფლების მიერ გაცხადებული დახურულობის პოლიტიკის საწყის პერიოდს, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოებთან მათი კომუნიკაცია კონკრეტულ საკითხს და დროის სხვადასხვა პერიოდს უკავშირდებოდა. თუმცა, კვლევა ცხადყოფს, რომ ამგვარი ტენდენცია, მეტწილად, 2020 წლიდან იწყება და 2022 წელს, საერთო, გაზიარებული პოლიტი-

კის ფორმას იღებს.

კვლევის მონაწილეების უმრავლესობა შენიშნავს, რომ უკანასკნელი წლებია ადმინისტრაციული ორგანოებიდან ვეღარ იღებენ იმ საჯარო ინფორმაციასაც კი, რომელზე წვდომაც წლების წინ სირთულეს არ წარმოადგენდა. გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად კი შაბლონურ და ფორმალურ პასუხს იღებენ და ასეთი შემთხვევები სულ უფრო ხშირია: მიღებული ინფორმაცია უბრალოდ არ პასუხობს მათ მიერ დასმულ საკითხებს.

„ინფორმაცია, რომელიც საჯარო ინფორმაციის სახით მოდის, არის არაფრისმთქმელი, დამაბნეველი, პასუხის არგაცემა, კანონის ციტირება მხოლოდ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

„ბოლო პერიოდში ნელ-ნელა ხო ძაან შეამცირეს ამ ინფორმაციის მოცულობა, რასაც გვაძლევენ და...ეხლა ფაქტიურად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებს აღარ ვაგზავნი, იმიტომ, რომ უბრალოდ არ გვაძლევენ, უბრალოდ არეგისტრირებენ წერილებს და არ გვაძლევენ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

„არაფერ ინფორმაციას ჩვენ ისინი არ გვაწვდიან, ბოლო წლებია. როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური შესაბამისი ინსტანციები ჩვენ უკვე აღარ გვაწვდიან არანაირ საჯარო ინფორმაციას. ფაქტიურად, ჩვენ როცა კარიერებზე ჩავდივართ, არ ვიცით რამდენად კანონიერია, არ ვიცით ლიცენზია რამდენხნიანია, თუ თვითონ არ ინება კომპანიის წარმომადგენელმა [ინფორმაციის მოცემა]“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ინფორმაციაზე წვდომის უკანონოდ შეზღუდვის შემთხვევებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი 2020 წლიდან ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტების მომართვიანობის გაზრდილ მაჩვენებელსა და ინფორმაციის დახურულობის ახალ ტენდენციას აღწერს. დამატებით, ომბუდსმენი

მის მიერ შესწავლილი საქმეებიდან გამოყოფს, გარემოს დაცვის საკითხებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის დაუსაბუთებელი შეზღუდვის შემთხვევებს.[19] სახალხო დამცველის წარმომადგენლის თქმით, ბოლო წლებში გაიზარდა საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პროექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის სახალხო დამცველისადმი მიმართვიანობის შემთხვევები, რაც უკავშირდება მათ მცდელობას ადმინისტრაციული ორგანოებში დაცული საჯარო ინფორმაცია ომბუდსმენის გავლით მიიღონ. უწყებების მიერ სახალხო დამცველისადმი მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი (ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში), რომელიც, თავის მხრივ, მოქალაქეებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის თუ მედიისთვის უკანონოდ არ გახდა ხელმისაწვდომი, ცხადყოფს, რომ ის არ შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს თუ საიდუმლო ინფორმაციას. ამდენად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომისთვის შექმნილ უკანონო, დაუსაბუთებელ და დემონსტრაციულ შეზღუდვას გულისხმობდა.

ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის და ამდენად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროექტებთან მიმართებით, საჯარო ინფორმაციის უკანონო და დაუსაბუთებელი შეზღუდვის მაგალითია ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებული არაერთი დოკუმენტის, მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს დასკვნის დახურულობის პრობლემა,[20] რომელიც თვეების მანძილზე სახალხო დამცველისთვისაც კი მიუწდომელი დარჩა. ომბუდსმენი მიუთითებს, რომ მისი მოთხოვნის საპასუხოდ, ასეთი დასკვნის არარსებობის შესახებ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროსგან მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია ინვესტორის მიერ მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ომბუდსმენის შეფასებით, ეს თავად დასკვნის არარსებობის საკითხის პრობლემურობის გარდა, „კიდევ ერთხელ ადასტურებს განსახილველ პროექტთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროობისა და საზოგადოების ინფორმირების უგულებელყოფას, რაც, თავისთავად ეწინააღმდეგება ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს“.[21]

19 საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 157. https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf; (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

20 სოციალური სამართლიანობის ცენტრი ნამახვანი ჰესზე იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროს დასკვნების გასაჯაროებაზე უარს ასაჩივრებს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. მაისი.

21 საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 202. https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf, (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების უფლების სისტემური უგულებელყოფა

სისტემურ ჩავარდნას აჩვენებს გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების უფლების რეალიზების პრაქტიკაც. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვის არაგონივრულად ხანგრძლივი დრო, გარემოსდაცვით საქმეებში გასაჩივრებული აქტის დროებითი შეჩერების (უზრუნველყოფის ღონისძიებების) თაობაზე გადაწყვეტილების დაბალი მაჩვენებელი და სხვა სისტემური ბარიერები,[22] თითქმის შეუძლებელს ხდის გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების უფლების რეალიზებას. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლების და წინააღმდეგობების მონაწილეების გამოცდილება ერთნაირია და გარემოსდაცვით დავებში მართლმსაჯულების სისტემის დემონსტრაციულ არაეფექტიანობაზე მიუთითებს. კვლევის მონაწილეების მიერ სასამართლო სისტემა დანახულია როგორც არსებული პოლიტიკის დანამატი, რომელიც პროცესების გაჭიანურებით, სხდომების არდანიშვნით, შუალედური გადაწყვეტილებების მიღებაზე უარის თქმით, ფაქტობრივად, უარს ამბობს მართლმსაჯულების ფუნქციის შესრულებაზე.

გარემოსდამცველები, რომელთაც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას საჯარო სივრცეებში/ქუჩაში გამოხატული სამოქალაქო მობილიზაციის პრაქტიკის მნიშვნელოვად მიზეზად მიიჩნევენ, რამდენადაც სასამართლო სისტემა იმთავითვე გამორიცხავს გარემოსდავით საკითხებზე დავების სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში გადაწყვეტას. გარემოსდამცველთა ნაწილი, ეროვნული მექანიზმების გამოყენების პარალელურად და მათი არაეფექტიანობის გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების, მათ შორის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმების გამოყენებას ირჩევს, რაც არაერთხელ გამხდარა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი განვითარების პროექტის გადახედვის საფუძველი, მექანიზმის მიერ პროექტის შესწავლის ფარგლებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ჩავარდების გათვალისწინებით.

კვლევა აჩვენებს, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში წინააღმდეგობაში ჩართული მოქალაქეები იყენებენ გარემოსდაცვით საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებებისა და უმოქმე-

22 ქეთევან ვარდოსანიძე, ჩაბა ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, საბაზისო შეფასება, ოქტომბერი 2023. გვ. 5. https://www.undp.org/ka/georgia/publications/environmental-justice; (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

დობის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში გასაჩივრების მექანიზმს. ასევე, მიმდინარე უკანონო სამშენებლო თუ მოპოვებითი სამუშაოებისა და სხვა საქმიანობის შემთხვევებში, დავების ფარგლებში სარჩელის უზუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის გზით, ცდილობენ მათ საცხოვრებელ გარემოში მიმდინარე უკანონო პროცესების შეჩერებას. თუმცა, გარემოსდამცველების მიერ შიდა გასაჩივრების მექანიზმების გამოყენება, როგორც წესი, არ უკავშირდება სამართლიანი გადაწყვეტილების დადგომის ან სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღების მოლოდინს, რადგან წლების გამოცდილება ამგვარი მოლოდინის საფუძველს არ ქმნის.

ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საერთო სასამართლოებში სხვადასხვა შინაარსის დავებს აწარმოებენ, გარემოსდაცვით დავებთან კავშირში მართლმსაჯულების უფლების განხორციელების განსაკუთრებულ პრობლემურობაზე მიუთითებენ. გარემოს საკითხებზე გარემოსდამცველთა მიერ წარმოებული სამართლებრივი დავების სიმრავლის მიუხედავად, კვლევის მხოლოდ ერთი მონაწილე იხსენებს, რომ სასამართლომ გარემოსადმი ზიანის გამომწვევი უკანონო საქმიანობა შეაჩერა, რამდენიმე შემთხვევაში კი ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა უწყებამ საქმიანობის განმახორციელებლი დააჯარიმა.

„[სასამართლოს არაეფექტიანობის] მაგალითია შუახევიჰესი. ღურტამ [სოფელი] შეიტანა სარჩელი, სოფელს გვინგრევსო, გააჩერეთ მშენებლობის ნებართვა, სანამ შესწავლა მოხდებაო..2014 წელს. დღემდე საბოლოო განაჩენი გამოტანილი არ არის. [ჰესი] 2017-ში დაინგრა, თავიდან აშენდა, ახლაც ტექნიკური პრობლემები აქვს. რა სასამართლოს იმედი უნდა გქონდეს. აი, სულ რომ დავანებოთ ობიექტურ განაჩენს თავი, ამდენ წელს რომ ჭიმავს სასამართლოს სპეციალურად და არ ნიშნავს სხდომას და არ იხილავს. 2024 წელია, 10 წლის შემდეგ რა აზრი აქვს მშენებლობის ნებართვის გაუქმების მოთხოვნას თუ ჰესი უკვე აშენებულია, დაინგრა, თავიდან აშენდა და მუშაობს. ორჯერ აშენდა“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

„[გზის პროექტზე საქმე] გვაქვს სასამართლოზე წარდგენილი, ყველაზე ძველი დავებია...2018 იყო თუ 2019. არცერთი სხდომა არ ჩატარებულა. გასაჩივრებული გვაქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, მშენებლობაც გასაჩივრებული გაქვს ადგილობრივებთან ერთად...არცერთი სხდომა არ ჩატარებულა, ერთიც კი“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

„არ გვაქვს [სასამართლოს] მოლოდინი იმიტომ რომ წარსული საქმეები და ის ტემპი რა ტემპითაც ინიშნება ხო საქმეები, როცა უკვე მშენებლობა თითქმის დასრულებულია და სასამართლო [მისი ბერკეტების გამოყენებას] არასდროს არ აკეთებს ჩვენი დაკვირვებით და პირიქით ცდილობს რომ მეორე მხარის სასარგებლოდ გადაწყვიტოს“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

კვლევა აჩვენებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის მიერ საკუთარი ფუნქციის შესრულებაზე დემონსტრაციული უარი და სასამართლოს სისტემის, როგორც უფლების აღდგენის მექანიზმის უუნარობა, თავადაა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა, რამაც ჩვენს რეალობაში გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების წარმოქმნასა და მისი გამოხატვის ფორმებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება სათანადო კვლევებისა და სამეცნიერო ცოდნის უგულებელყოფით

უკანასკნელი წლების გარემოსდაცვითი წინააღმდეგობები ასევე მიემართებოდა და აკრიტიკებდა იმგვარ გარემოსდაცვით პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომელიც შესაძლებელს ხდიდა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, განვითარების დიდ პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, არსებითი კვლევების, შესწავლისა და შეფასებების გარეშე მიეღოთ. ეს გულისხმობს დამკვიდრებულ პრაქტიკას, როდესაც სახელმწიფო უწყებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იკვლევენ ან არასათანადოდ იკვლევენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტი-

ლებების ზეგავლენას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ასევე მოიცავს უსაფრთხოების, სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა რისკების არასათანადო შეფასებას.

კვლევის მონაწილეთა გამოცდილება ამ აზრითაც ერთნაირია. მათი დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედების თუ სხვა გავლენების შესახებ შეფასებების მომზადება კანონმდებლობის მკაფიო მოთხოვნას წარმოადგენდა, გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებები მიიღებოდა კვლევებისა და შესწავლის გარეშე ან არასათანადოდ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომლებიც რეალურად გამოტოვებდა ხოლმე პროექტთან დაკავშირებულ არსებით საკითხებს. ამგვარია დამკვიდრებული პრაქტიკა დიდი ზეგავლენის მქონე სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის შემთხვევებშიც. საანგარიშო პერიოდში ამას შესწავლილი არაერთი გამოცდილება ადასტურებს, მათ შორის, ნამახვანჰესის პროექტი, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი და სხვა. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში ჩატარებული კვლევების სრულყოფილებასთან, გაკეთებულ დასკვნებთან და მთლიანად გზშ-ს დოკუმენტების მიმართ საზოგადოებაში არსებული უნდობლობა“[23] მათ მიერ შესწავლილ თითქმის ყველა პროექტს მიემართებოდა. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების გამოცდილება, ასევე, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები, ცხადს ხდის, რომ პროექტების სათანადო შესწავლის, კვლევის, მათი განხორცილების საჭიროებისა თუ სარგებლიანობის დასაბუთებულობის არარსებობა, ადგილობრივი მოსახლეობის, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების, გარემოს მეცნიერების და სხვადასხვა პროფესიული წრეების კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო.

გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს, დემონსტრაციებს, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფორმით გამოხატულ პროტესტებს საფუძვლად სტრუქტურული მიზეზები უდევს. ის არსებითად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებულ მოდელსა და ქვეყნის პოლიტიკური და მმართველობითი სისტემის არადემოკრატიულ ბუნებას, რაც ადგილობრივ საზოგადოებებს, ერთის მხრივ, აქცევდა მნიშვნელოვანი ზეგავლენის სამიზნედ თუ ობიექტად და მეორე მხრივ,

23 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (The Danish Institute for Human Rights) მიერ მომზადებული კვლევა, ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა, თბილისი, 2022. გვ. 11. https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

გამიზნულად გამორიცხავდა მათ, საკუთარ საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან, რაც სრულად უგულებელყოფდა მათ ფუნდამენტურ უფლებებს.

კვლევა ადასტურებს, რომ გარემოსდაცვით პროტესტებში ჩართული მოქალაქეების, აქტივისტური ჯგუფებისა და პროფესიული წრეების მთავარ მოთხოვნას დარღვეული უფლებების აღდგენა, უკანონოდ დახურულ ინფორმაციაზე წვდომის დაბრუნება, მონაწილეობის, დიალოგის ფორმატების შექმნა და დელიბერაციულ და დემოკრატულ სივრცეში საკითხის გადაწყვეტის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. უკანასკნელი წლების გამოცდილებაში, ამგვარი მონაწილეობითი და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი დიალოგის სივრცეების მიზანმიმართული გაქრობა და გათიშვა, გარემოსაცვითი სამართლიანობისთვის ბრძოლის ერთადერთ ინსტრუმენტად სახალხო მობილიზაციას, შეკრების და გამოხატვის თავისუფლებას ტოვებდა.

4. ხელისუფლების პასუხი გარემოსდაცვით წინააღმდეგობებზე: გარემოსდაცვითი პოლიტიკის საპოლიციო და უსაფრთხოების მზერით ჩანაცვლება

ადგილობრივ საზოგადოებებში გარემოსდაცვითი პროტესტების წარმოქმნა, რაც სახალხო მობილიზაციის, დემონსტრაციების, აქციების, მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, ხანგრძლივი და განგრძობადი საპროტესტო კერების გაჩენის გზით გამოხატავდა საკუთარ უკმაყოფილებას, ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხია, რომელიც ადგილობრივი საზოგადოებების ჩაგვრაზე, გარემოს მტაცებლურ ათვისებასა და საზოგადოებისგან ფარულად, მისი პროცესებიდან გამოთიშვით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების განზრახულობაზე დგას.

ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, მმართველობითი და მართლმსაჯულების სისტემების მოქმედების ლოგიკა, რაც პროექტების შემუშავების, მომზადებისა და მათი განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესებს შეეხება (და როგორც წესი, კოლექტიური მობილიზიციების წარმოქმნამდე პერიოდს გულისხმობს) და მეორე მხრივ, საზოგადოების უგულებელყოფის ამ მიდგომას ასევე ცხადად აჩვენებს ხელისუფლების მიერ უშუალოდ პროტესტის წარმოქმნის შემდეგ გამოყენებული მიდგომები და სტრატეგიები.

საკვლევ პერიოდში, კერძოდ, 2020-2024 წლების გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დროს, თითქმის ყველა შემთხვევაში, გარემოსდაცვით პროტესტებს, პროტესტის მოთხოვნების რეალური ადრესატების ნაცვლად (რომლებიც გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, მის აღსრულებასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი უწყებები/თანამდებობის პირები არიან) ხელისუფლება საპოლიციო და უსაფრთხოების მიდგომებით პასუხობს. პროტესტის უშუალო ადრესატები სრულიად გამქრალნი არიან საჯარო და პოლიტიკური ველიდან და არ პასუხობენ პროტესტის მოთხოვნებს, რომლებიც მათი უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების წინააღმდეგაა მიმართული. მეტიც, გარემოსდაცვითი პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნით, პროტესტში ჩართულ საზოგადოებას პროექტის განმახორციელებელი კერძო კომპანი(ებ)

ის, საბოლოოდ კი, საპოლიციო რეპრესიისა და უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის პირისპირ ტოვებენ.

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ ხელისუფლების მიდგომის ცვლილება, სავარაუდოდ, 2018-2019 წლების პერიოდს უკავშირდება. ამ დროიდან გარემოსდაცვით პროტესტებთან გამკლავებაზე პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებების ნაცვლად საპოლიციო და უსაფრთხოების სისტემები იღებენ. ეს მიდგომა 2020 წლიდან მონოლითური და კონსოლიდირებული ფორმით იწყებს ფუნქციონირებას, რასაც ადასტურებს კვლევის საანგარიშო პერიოდში პროტესტებზე სახელმწიფოს რეაგირების მეთოდები და ლოგიკა.

საქართველოში სოციალური პროტესტების შესახებ ერთ-ერთი უახლესი კვლევა, რომელიც 2010-2016 (ნაწილობრივ 2017 წელსაც) წლების პერიოდს მოიცავს, შეისწავლის ამ წლებში კულტურული და ბუნებრივი გარემოს დასაცავად გაჩენილი მობილიზაციის შემთხვევებს. კვლევა უშუალოდ გარემოსდაცვით საკითხებზე წარმოქმნილი წინააღმდეგობების განვითარების დინამიკის, წინააღმდეგობის ტაქტიკების, სტრატეგიებისა და რეპერტუარების ანალიზს მოიცავს და ის უშუალოდ არ იკვლევს ხელისუფლებისა და ქვეყნის პოლიტიკურ სისტემის პროტესტებთან მიმართების სტრუქტურას. თუმცა, კვლევა ამ პერიოდის გარემოსდაცვითი პროტესტების საერთო სურათს აღწერს და მოიხელთებს იმ გამოწვევებს, რომელთაც გარემოს დასაცავად გაჩენილი სოციალური მოძრაობები აწყდებიან. კვლევა ირიბად აჩვენებს, რომ გარემოს საკითხებზე წარმოქმნილ სოციალურ პროტესტს, გარემოსა თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებები პასუხობენ და პროტესტების გამოცდილებებში ნაკლებად ჩანს საპოლიციო და უსაფრთხოების სამსახურების როლი და გავლენა. მეტიც, 2012 წლიდან მშრომელთა ორგანიზებისა და პროფკავშირული მობილიზების მზარდი შესაძლებლობა, რეპრესიული და საპოლიციო რეჟიმის შესუსტებას და საჯარო პოლიტიკური სივრცის გახსნის პოლიტიკურ შესაძლებლობას მიეწერება.[24] ამ პერიოდის სოციალური მოძრაობებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას დემოკრატიული და მონაწილეობითი პროცესების გარეშე მიღებული გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებები და სუსტი, არაეფექტიანი მმართველობითი სისტემა ქმნიდა. ასევე ჩანს, რომ ამავე პერიოდში სუსტად, მაგრამ ფეხს იკიდებს, უკვე მოგვიანებით უსაფრთხოების სამსახურების მიერ პროტესტების გასანეიტრალებულად გამოყენებული წამყვანი მეთოდი, რაც კოლექტიური მობილიზაციების დისკრედიტაციას, მარგინალიზაციას, საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დაპირის-

24 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები, შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები, 2017, გვ. 92. თბილისი, საქართველო.

პირების შექმნას თუ ამგვარი დაპირისპირების ინსცენირებას გულისხმობს. თუმცა, არსებითად, ამ პერიოდის სოციალური პროტესტის მთავარი გარე გამოწვევები, არადემოკრატიულ და სუსტ მმართველობით სისტემას და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მოდელისა და დისკურსის უნივერსალიზებას უკავშირდება.[25]

როგორც აღვნიშნეთ, სოციალურ პროტესტებთან, მათ შორის, გარემოსდაცვით მოძრაობებთან ხელისუფლების მიმართება 2018 წლიდან იცვლება. ამ პერიოდს უკავშირდება, ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ დიდი, საშუალო თუ მცირე ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტების ხელახლა წამოწყება და მათი განხორციელების პროცესის დაჩქარება. გადაწყვეტილების მიღების დახურულ და არამონაწილეობით პროცესებს, მძლავრი ადგილობრივი წინააღმდეგობები მოჰყვა ზემო-სვანეთსა და პანკისის ხეობაში. ეს შემთხვევები და მათთან მიმართებით ხელისუფლების მიერ გამოყენებული სტრატეგიები, პროტესტებზე ხელისუფლების პასუხის ახალი მოდელის ფორმირების ნიშნებს აჩვენებს.

ორივე წინააღმდეგობის შემთხვევაში, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა, ღიად ჩანს საპოლიციო რეპრესიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც წამყვანი აქტორის როლი. ზემო-სვანეთში, კერძოდ, დაბა მესტიაში 2018 წელს მესტიაჭალაჰესის პროექტის ირგვლივ განვითარებული წინააღმდეგობისას, ჰესის სამშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად მძიმე, სამშენებლო ტექნიკის შეყვანა სპეცდანიშნულების რაზმების თანხლებით სცადეს, რასაც ადგილობრივების წინააღმდეგობა მოჰყვა.[26] ჰესის სამშენებლო სამუშაოები მოგვიანებით ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების საფუძველზე განახლდა (წინააღმდეგობაში ჩართული მოსახლეობის ნაწილი უთითებდა, რომ არ იცოდა მოლაპარაკებისა და შეთანხმების პროცესის შესახებ), რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობდა და მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობდა.[27] 2018 წელს, ზემო-სვანეთის სოფელ ხაიშსა და ჭუბერში ხე-ტყის უკანონო ჭრის საბაბით, დიდი რაოდენობის სპეცდანიშნულების რაზმები შევიდნენ ამ სოფლებში მიმდინარე მძლავრი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის პარალელურად,[28] რაც ადგილობრივების

25 იქვე, გვ. 149-221.

26 მესტიაში ქალები ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გზაზე დაწვნენ და ტექნიკას არ უშვებენ. Reg info. მარტი, 2018.

27 ორად გახლეჩილი თემი – რის სანაცვლოდ დათანხმდნენ სვანეთში ჰესების მშენებლობას, მთის ამბები. მაისი, 2018.

28 სპეცრაზმი არ გადის და გზა კვლავ გადაკეტილია – ვითარება ხაიშში 18:00 საათისთვის.

აღქმაში მათი პროტესტის საპასუხო სადამსჯელო ღონისძიებას წარმოადგენდა. 2019 წლის აპრილში პანკისის ხეობის მოსახლეობამ ხადორი 3 ჰესის სამშენებლო სამუშაოების განახლების შესახებ ხეობაში ტრაქტორის შესვლით შეიტყო. სამშენებლო ტექნიკის შესვლის პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხეობაში დიდი რაოდენობის საპოლიციო ძალა, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმები შეიყვანა, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოჰყვა.[29]

2018-2019 წლების ეს შემთხვევები გარდამტეხი პერიოდია ხელისუფლების მიერ პროტესტთან გამკლავების ახალი მიდგომების ჩამოყალიბებაში. საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფა, მის საპასუხოდ წარმოქმნილი მძლავრი წინააღმდეგობები და ხელისუფლების ხისტი განზრახვა – აღსრულდეს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები თუ მის მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები, გარემოსდაცვით პროტესტებთან ხელისუფლების მიმართებას ახალ ფორმებს სძენს. ამ დროიდან მმართველი პოლიტიკური სისტემა გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყებების როლის გაქრობას, დასუსტებას, ჩანაცვლებას იწყებს და დიდწილად ეყრდნობა საპოლიციო რეპრესიას. გარემოსდაცვით პროტესტებზე საპოლიციო და უსაფრთხოების მიდგომების პრიმატი კიდევ უფრო მკვეთრი 2020 წლიდან ხდება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი უკანასკნელი 5 წლის (2020-2024 წლები) გამოცდილება აჩვენებს ხელისუფლების მთავარ მიდგომას გარემოსდაცვითი პროტესტების მიმართ, რაც პროტესტებთან დიალოგში შესვლის ნაცვლად, მიზნად ისახავს მათ სრულ განეიტრალებას. მეტიც, ხელისუფლების მიერ წინააღმდეგობის მოთხოვნების უგულებელყოფა და ამ მიდგომის სისტემური გამოყენება ათეულობით პროტესტთან მიმართებაში, მიანიშნებს სახელმწიფოს განზრახულობასა და გამოკვეთილ სტარტეგიაზე, გარემოსდამცველთა მოთხოვნას, გავლენა მოახდინონ გარემოსდაცვით პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე, სწორედ საპოლიციო არენაზე უპასუხოს. ამდენად, სახელმწიფო გარემოსდამცველთა წინააღმდეგობას იმთავითვე კონტროლის, მოთვინიერების და მენეჯმენტის ობიექტად ხედავს.

ხელისუფლების მიერ გამოყენებული მეთოდები, რომლებიც გარემოდაცვითი პროტესტის უგულებელყოფაზე, დისკრედიტაციაზე და საპოლიციო რეპრესიაზე/დევნაზე დგას, ერთმანეთს ანაცვლებს და ხშირად ერთმანეთის პარალე-

ნეტგაზეთი. ივლისი, 2018.

29 რას ეწინააღმდეგებიან პანკისში — ყველაფერი მოკლედ. On.ge. აპრილი, 2019.

ლურად გამოიყენება. თუმცა, მათ შორის რიგითობის გარკვეული ლოგიკაც არსებობს. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხელისუფლება საწყის ეტაპზე უმეტესად პროტესტის მიმართ დუმილის ან მისი დახურულ და ილუზორულ მოლაპარაკებებში შეყვანის სტრატეგიას არჩევს, რომლის წარუმატებლობის შემთხვევაში, ის, როგორც წესი, პროტესტის მონაწილეების რეპრესიით, დასჯით, დისკრედიტაციითა და დევნით გრძელდება.

უგულებელყოფის სტრატეგია ხელისუფლების მიერ პროტესტის არაღიარებას, მის შემჩნევაზე უარის თქმას გულისხმობს. წინააღმდეგობების მონაწილეები ამ მეთოდს, დუმილის, იგნორირების, პროტესტის არსებობის მიმართ თვალის დახუჭვის სახელით აღწერენ. ამ მიდგომის გამოყენებისას ხელისუფლება იმედოვნებს, რომ წინააღმდეგობა თავისთავად გაქრება, რადგან ის ვერ მოახერხებს ხელისუფლების მიმართ განგრძობადი წნეხის შექმნასა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის შენარჩუნებას. ამ სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს წინააღმდეგობის ლოკალიზება და ამ ფორმით მისი „ჩაკეტვა“ კონკრეტულ გეოგრაფიულ და საინფორმაციო ველში. ხელისუფლება ამ შემთხვევაში ემყარება დაშვებას, რომ პროტესტთან ნებისმიერი ფორმით კონტაქტი, მისი აღიარება, მოლაპარაკების მცდელობა და მათ მიმართ საპოლიცო ღონისძიებების გამოყენებაც კი, გაზრდის პროტესტისა და მისი მოთხოვნების ხილვადობას. კვლევის მონაწილეთა გამოცდილებების და დაკვირვებების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობა აჩვენებს მედეგობას და შეძლებს საზოგადოებრივი მხარდაჭერის საკმარისი მასშტაბის და განგრძნობად მობილიზაციას, ხელისუფლება იძულებული ხდება, სრული იგნორირების სტრატეგია ჩაანაცვლოს ცრუ, ყალბი და ილუზორული მოპარაკებებით, რაც, კვლევის რესპონდეტების აღწერით, უმეტესად გულისხმობს წინააღმდეგობების მონაწილეების შეყვანის მცდელობას დახურული მოლაპარაკებების ფორმატებში, პროტესტის დარწმუნებას, მის მოტყუებას ან მოლაპარაკებების შედეგების საზოგადოებისთვის დამაბნეველი ფორმით წარდგენას, რათა პრობლემის აღმოფხვრის იმიტაციის შექმნის გზით გაანეიტრალოს მისი საჯარო მხარდაჭერა.

უგულებელყოფა ასევე გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, სოციალურ კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სუბიექტის სრულად გაქრობას. ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფოს გაქრობა პროტესტის საპირწონედ კერძო სუბიექტების – პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კერძო კომპანიების წინააღმდეგობის ველში აქტიურ შემოსვლას გულისხმობს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი თავი პროტესტის ადრესატად, მთავარ მოპასუხედ მონიშნონ და კონფლიქტი სა-

ხელმწიფოს პასუხისმგებლობის გამოთიშვით, ადგილობრივ საზოგადოებასთან უთანასწორო დაპირისპირებაში შეყვანით გადაწყვიტონ. ამ მიდგომას ხშირად ეფექტიანად უპირისპირდებიან თავად პროტესტები და მათი მოთხოვნები, რომლებიც ცხადად და პრინციპულად უსვამენ კითხვებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ცდილობენ უთანხმოება საჯარო პოლიტიკის საკითხად დატოვონ და საკუთარ მოპასუხედ არ მიიჩნიონ კერძო ინტერესის მქონე კომპანია. ცალკეულ გამოცდილებებში, განსაკუთრებით, ინდუსტრიული ქალაქების შემთხვევაში, სახელმწიფოს როლი არათუ გამქრალია, არამედ პირდაპირ ჩანაცვლებულია კერძო კომპანიით, რომელიც საუბრობს სახელმწიფოს ნაცვლად, ხშირად ღიად შეზრდილია მასთან ან სრულად იქვემდებარებს და მის ინტერესში აყენებს პოლიტიკურ ძალაუფლებას თუ მართლმსაჯულების სისტემას.

ამ თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლი, რომლებიც უმეტესად არ არიან ის გადაწყვეტილების მიმღებები, რომელთაც პროტესტი მიემართება. თუმცა, ადგილზე პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობას ცენტრალური ხელისუფლება, როგორც წესი, სწორედ მათ აკისრებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ რეალურად არ აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ კონკრეტული გადაწყვეტილება, პასუხი გასცენ არსებულ შეკითხვებს და გავლენა მოახდინონ კონკრეტული გადაწყვეტილების შეცვლაზე. ამდენად, მათი როლი მოლაპარაკების მოჩვენებითი პროცესის შექმნითა და ნებისმიერ ფასად წინააღმდეგობასთან გამკლავებით, მათი განეიტრალებით შემოიფარგლება.

ხელისუფლების მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სტრატეგიაა საპოლიციო რეპრესიაც, რაც, უმეტესად, გარემოსდაცვითი დემონსტრაციების, აქციების, უწყვეტი საპროტესტო კერებისა და მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტების მიმართ გამოიყენებოდა. ეს, ერთი მხრივ, მოიცავდა საპროტესტო გამოსვლების არაპროპორციული საპოლიციო ძალის გამოყენებით დაშლას, პროტესტის ადგილის და ფორმის კონტროლს მისი უკანონო შეზღუდვის გზით, პროტესტის მონაწილეების გადაადგილების შეზღუდვას ან არაპროპორციული საპოლიციო ძალების ადგილზე დემონსტრირებას პროტესტის მონაწილეების დაშინების მიზნით. საკვლევ პერიოდში საპოლიციო რეპრესიის ფორმას ასევე წარმოადგენდა გარემოსდაცვითი პროტესტის მონაწილეების ადმინისტრაციული დაკავებების, ადმინისტრაციული დაჯარიმებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი, ცალკეულ შემთხვევებში, პირდაპირ უკავშირდებოდა მოქალაქეების პროტესტში მონაწილეობის ფაქტს, ხოლო უმეტესად, სისხლისამართლებრივი დევნა, როგორც ინსტრუმენტი, გამოიყენებოდა პროტესტის

ლიდერების ან მონაწილეების მიმართ პროტესტთან უშუალოდ დაუკავშირებელ საქმეებზე. თუმცა, მართლმსაჯულების სისტემის სამიზნეები მათ მიმართ დაწყებულ საქმეებს, მათი დაშინების და დევნის მიზანს უკავშირებენ.

კვლევა ხელისუფლების მიერ გამოყენებულ წამყვან მეთოდად გამოკვეთს პროტესტისა და მისი მონაწილეების დისკრედიტაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიას, რაც მათ რეგრესულ, ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისთვის დამაზიანებელ და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქნელ ჯგუფებად მიიჩნევდა, რომლებიც, თითქოს, სხვა სახელმწიფოების ინტერესების გატარების მიზნით ებრძოდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა თუ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. მარგინალიზაციის სტრატეგია მიემართებოდა როგორც მოძრაობების მოთხოვნებსა და ამოცანებს, ასევე მოძრაობების ლიდერებს, წინააღმდეგობაში ჩართულ გარემოსდამცველებს, ექსპერტებს, მეცნიერებსა და აქტივისტებს, რაც მათი პერსონალური თუ პროფესიული მარგინალიზაციის გზით ხორციელდებოდა. ამ მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენებოდა ე.წ. პროპაგანდისტული სატელევიზიო მედია, ონლაინ გამოცემები და სოციალური მედია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის მუშაობას კვლევის ყველა მონაწილე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უკავშირებს.

პროტესტების მონაწილეებისათვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა ასევე ღიად ჩანდა იმ ადგილობრივ სოციალურ სივრცეებში, სადაც გარემოსდაცვითი პროტესტი მიმდინარეობდა. კვლევაში ჩართული რესპოდენტების მიერ აღწერილი მუშაობის მეთოდები, გულისხმობდა წინააღმდეგობის მონაწილეების დევნას, დაშინებასა და შევიწროებას. კვლევა აიდენტიფიცირებს ამგვარი დევნის, შევიწროების, თვალთვალის, მუქარის, წინააღმდეგობის მონაწილეების თუ მათი ოჯახის წევრების დაშინების, საპროტესტო კერებზე ზეგავლენის მოხდენისა თუ ინფილტრაციის, ასევე პროტესტის მონაწილეებს შორის უნდობლობის გაჩენისა და მოსყიდვის მცდელობის არაერთ შემთხვევას. კვლევის მონაწილეთა დაკვირვებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა ამით არ შემოიფარგლებოდა და ის ასევე მოიცავდა ადგილობრივ სივრცეებში, სოფლებსა თუ დასახლებებში მოსახლეობაზე ზეგავლენას მათი მოსყიდვის, დაშინებისა თუ ბენეფიტების შეთავაზების ან შენარჩუნების დაპირების გზით, ასევე მოსახლეობას შორის დაპირისპირებისა და დაძაბულობის შექმნის მცდელობებით. კვლევის მიზნებისთვის ასევე საინტერესოა გამოცდილებები, სადაც უსაფრთხოების სამსახურების ღია და ირიბი მუშაობის პარალელურად, პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ ცალკეული სასულიერო პირები თუ არაფორმალური ძალაუფლებრივი ჯგუფების, ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლები.

საინტერესოა, რომ ხელისუფლების მიერ კონკრეტული წინააღმდეგობის მიმართ შერჩეული მეთოდები შემთხვევითი არ არის, რაც გარკვეული დასკვნებისა და ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა. 2020 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, მიმდინარე გარემოსდაცვით წინააღმდეგობებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხელისუფლება პროტესტთან ურთიერთობაში კონკრეტული მეთოდ(ებ)ის შერჩევისას ითვალისწინებს პროტესტის წარმოშობის ადგილს, იმ სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ კონტექსტს, რომელშიც კონკრეტული წინააღმდეგობა იბადება. ასევე ჩანს, რომ გათვალისწინებულია პროტესტის ადგილის, სივრცის თუ სოციალური ჯგუფის მახასიათებლები, ადგილზე არსებული ძალაუფლებრივი ველი, ადგილობრივი გავლენის აქტორების ქსელი, ადგილობრივი საზოგადოებების სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის სისუსტეები, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს ხელისუფლების მოქმედების ტაქტიკას. ადგილობრივი სოციალური ქსოვილის გათვალისწინებით შერჩეული სპეციფიკური მეთოდები, რომელიც ხშირად პერსონალურ და დეტალიზებულ მიზნობრიობას მოიცავს, შესაძლოა, მიუთითებდეს უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის ინტენსივობაზე, აჩვენებდეს ადგილობრივ სოციუმებში მისი ჩარევის, შეჭრის ხარისხსა და სოციალური კონტროლის ადგილობრივი ინფრასტრუქტურების არსებობას.

კვლევა ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალური პროტესტების მიმართ ხელისუფლების მიდგომები ურბანულ და რურალურ სივრცეებში. თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ფოთსა და ქუთაისში ურბანულ პროტესტში ჩართული მოქალაქეების გამოცდილების თანახმად, მათთან კავშირში წამყვანი სტრატეგია პროტესტის მიმართ დუმილი და იგნორირებაა. ამას ასევე თან ახლავს მმართველობითი სისტემების მიერ კვაზი-განხილვების, ფორმალური დისკუსიების თუ მოლაპარაკებების მცდელობები. ურბანული მოძრაობების გამოცდილებაში, განსხვავებით ქვეყნის რეგიონებში გაჩენილი პროტესტებისა, მცირეა საპოლიციო რეპრესიისა და უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის პრაქტიკა. დასახელებულ ქალაქებში ასევე ნაკლებად ჩანს არაფორმალური ძალაუფლებრივი ჯგუფების მიერ პროტესტზე ზეგავლენის მოხდენის პროტესტის მონაწილეებისთვის თვალსაჩინო მცდელობები.

თუმცა, ასიმეტრიულად განსხვავებულია იმ მოქალაქეების გამოცდილება, რომლებიც გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს ურბანული სივრცეებიდან მოშორებით, საკუთარ სოფლებსა და რურალურ დასახლებებში აწარმოებენ. ამ ადგილებში უგულებელყოფის პარალელურად, განსაკუთრებულად ინტენსიურად ჩანს ზემოქმედების, სოციალური კონტროლის, დევნის, შევიწროვებისა და რეპრესირების პრაქტიკა, უსაფრთხოების სამსახურების გამოკვეთილი და წამყვანი როლით.

5. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების უგულებელყოფა, მოჩვენებითი მოლაპარაკებები და მანიპულაცია

კვლევის ფარგლებში შესწავლილი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების ანალიზი აჩვენებს, რომ არაერთ პროტესტთან მიმართებით, ხელისუფლების მიერ არჩეული წამყვანი სტრატეგია გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების სრული უგულებელყოფაა. წინამდებარე თავი მიმოიხილავს ხელისუფლების მიერ პოტენციური წინააღმდეგობების პრევენციის, უგულებელყოფის, მისი საჯარო პასუხისმგებლობის გაქრობის, მოლაპარაკებების მოდელირებისა და ილუზიის, საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციისა და პროტესტის ლოკალიზების პრაქტიკებს, რაც წინააღმდეგობების მიმართ სხვადასხვა ფორმით და ინტენსივობით გამოიყენება, სრული შეუმჩნევლობის სტრატეგიის წარუმატებლობის შემთხვევებში ან მის პარალელურად.

ამდენად, ცხადია, რომ საზოგადოების არად ჩაგდება, როგორც ხელისუფლების მიდგომების ცენტრალური მახასიათებელი, სახეზეა როგორც გადაწყვეტილებების მიღებამდე პროცესებში, ისე გადაწყვეტილებების აღსრულებისა და გარემოსდაცვით წინააღმდეგობებთან მიმართების დროსაც.

პოტენციური გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის პრევენცია

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლება, როგორც წესი, კერძო კომპანიებთან ერთად, პროექტის განხორციელებამდე, პოტენციური წინააღმდეგობის შეკავების მიზნით, ადგილზე მუშაობას იწყებს. პროექტის განხორციელების პროცესის დაწყებას, განსაკუთრებით კი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში, წინ უძღვის შესაძლო წინააღმდეგობის ველის წინასწარი „მოსუფთავება“ სხვადასხვა ფორმებით, რაც გულისხმობს დასაქმების შეთავაზების, მოსყიდვის, ფინანსური გარიგების სანაცვლოდ მიწის ან ინტერესის დათმობის, დაშინების თუ სხვადასხვა დამატებითი სიკეთეების დაპირების პრაქტიკებს, რაც ერთგულების, „ვალში ყოფნის“ ან უძლურებისა და შიშის დათესვის მიზანს ატარებს.

წინააღმდეგობის მონაწილეების გამოცდილებით, საზოგადოების ინფორმირების გარეშე მათ საცხოვრებელ სივრცეებთან ტექნიკის შესვლა და სამშენებლო თუ მოპოვებითი სამუშაობის დაწყება, ერთის მხრივ, წინააღმდეგობის

სტიქიური წარმოქმნის პოტენციალს ატარებს. თუმცა, არაერთ შემთხვევაში, ის უძლურების და უიმედობის გაჩენასაც ახერხებს და ქმნის მიმდინარე პროცესების შეუქცევადობის და შეკავების შეუძლებელობის განცდას. მეტიც, წინააღმდეგობების მონაწილეები აღწერენ ადგილზე პროექტის განმახორციელებელი პირებისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლების ღია მუშაობას საზოგადოებაში ამ უძლურების და უიმედობის გასაღვივებლად.

„მაგაზე მუშაობენ, რომ მაინც ამოთხრიან, ასე ეუბნებიან ხალხს, ამას ვინ დატოვებს მიწის ქვეშ…ოქროს ვინ ტოვებს მიწის ქვეშ, ბზარი გაჩნდეს რომ ხალხმა თქვას რომ….ამას როდესღაც მაინც [ამოთხრიან]".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ადგილობრივი საზოგადობების გამოთიშვა, ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა და ბიუროკრატიული ბარიერების ხელოვნურად შექმნა, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინააღმდეგობის პრევენციის თვალსაზრისით და მის წარმოქმნას ადგილობრივ საზოგადოებაში ცალკეული ინდივიდების გამძლეობაზე, სიჯიუტეზე და მედეგობაზე დამოკიდებულს ხდის. წინააღმდეგობის მონაწილეები საუბრობენ ინფორმაციის მოძიებისა და ყოველდღიური ბარიერების დაძლევის დამთრგუნველ და გამომფიტავ გამოცდილებაზე.

„მთელი ზაფხული ვრეკავდი, დარეკვა რას ნიშნავს ანუ, ერთხელ დავრეკე და არ მიპასუხეს კი არა, ელოდები ლამის ნახევარი საათი ცხელ ხაზზე როდის გიპასუხებს და ეს ზარის მოლოდინი... მერე გამოვითხოვე, ცხელ ხაზზე 22-ჯერ მქონდა დარეკილი მთელი თვის განმავლობაში..ისე ბრაზდები, ისეთი იმედგამაცრუებელია, რაღაც მომენტში შეიძლება დანებდე. აი, ეგ არის, ისეთი რთული უნდა იყოს რომ დანებდე. ჩემი პრინციპი იყო ის, რომ კარგი, აი დავუთმობ დროს, დავუთმობ რესურსებს, დავრეკავ, დიდი ხანი დაველოდები, აი მე თუ ვერ ვიპოვე სამართალი ამ ქვეყანაში, დედაჩემმა როგორ უნდა იპოვოს სამართალი..გამოდის, რომ სხვა ჩვეულებრივი ადამიანები, ვინც პირველ ნაბიჯს დგამენ და იმაზეც ფიქრობენ დავრეკო თუ არ დავრეკო, ისინი ვერასდროს ვერ მიაღწევენ წარმატებას და ვერასდროს ვერ დადგება სახელმწიფო მათ გვერდზე".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„როგორც წესი, ცდილობენ სახელმწიფო უწყებები, რომ გააბუნდოვანონ ეს პასუხისმგებლობა ან სხვაზე გადაიტანონ ან ხელები დაიბანონ. ადმინისტრაციულ ლაბირინთებში უწევს ამ ხალხს სიარული..ეძებ ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე, როგორც წესი, იმალება ეს სახელმწიფო სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს და სხვადასხვა სამართლებრივი უფლებამოსილების უკან იმალება...ხელოვნურად აბრკოლებენ მათ მისაწვდომობას ამ ყველაფერზე და ეს ძალიან დიდ ძალაუფლებრივ [ასიმეტრიას] იწვევს“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი /გარემოსდამცველი)

წინააღმდეგობის უგულებელყოფა, როგორც მეთოდი

იგნორისა და შეუმჩნევლობის სტრატეგია, როგორც წესი, წინააღმდეგობის გაჩენისთანავე, მის საწყის ეტაპზე გამოიყენება. თუმცა, ის, შესაძლოა, უწყვეტად გასდევდეს წინააღმდეგობის მთელ პერიოდს ან პროტესტის სხვადასხვა ეტაპზე გახდეს ხელისუფლების პროტესტთან მიმართების წამყვანი ფორმა. უგულებელყოფის მეთოდი წინააღმდეგობის მონაწილეების მიერ აღიწერება, როგორც პროტესტის ადრესატის მხრიდან დროში განგრძობადი იგნორირება და დუმილი პროტესტის არსებობის ფაქტისა და მისი მოთხოვნების მიმართ. გამოცდილებები აჩვენებს, რომ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებები, როგორც წინააღმდეგობის მთავარი ადრესატები, ერთი მხრივ, საჯაროდ და ფორმალურად არ აღიარებენ პროტესტს, არ იმჩნევენ მის არსებობას და არ პასუხობენ უკმაყოფილებას. თუმცა, მეორე მხრივ, სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, კომპანიების ადგილობრივ საზოგადოებებთან მუშაობის გზით, ცდილობენ წინააღმდეგობის განვითარებისა და გაფართოების შეკავებას.

იგნორირება და დუმილი, როგორც მეთოდი, თავისთავად გამორიცხავს ნებისმიერ საჯარო შემხვედრ მოქმედებას, მხარეებს შორის შემდგარ კონფლიქტს თუ უთანხმოებას, რაც ამცირებს წინააღმდეგობის დინამიკასა და მის მიმართ საზოგადოების მგრძნობელობას. კვლევის მონაწილეები უთითებენ, რომ უგულებელყოფის სტრატეგია მიზნად ისახავს პროტესტის დასუსტებას და საბოლოოდ, მის ნელ და შეუმჩნეველ გაქრობას. ეს მიდგომა ეფუძნება ხელისუფლების დაშვებას, რომლის თანახმადაც, წინააღმდეგობის აღიარება თუ მასზე პასუხი გააძლიერებს წინააღმდეგობას და გააქტიურებს მის ირგვ-

ლივ არსებულ საინფორმაციო ველს. მეორე მხრივ, უგულებელყოფა მიზნად ისახავს წინააღმდეგობის მონაწილეების გამოფიტვას და მათი სამოქმედო არეალის დავიწროვებას, იმ მოლოდინით, რომ მეორე მხარის, მოპასუხის გარეშე დარჩენილი წინააღმდეგობა, დროში ხანგრძლივად ვერ შეინარჩუნებს გამძლეობას და ვერ მოიპოვებს საზოგადოებრივ მხარდაჭერას. ამდენად, საწყის ეტაპზევე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მთავარი ამოცანა ხდება გადატეხოს იგნორირების სტრატეგია და აიძულოს ხელისუფლება ვეღარ შეძლოს მისი არშემჩნევა და პროტესტის მოთხოვნების მიმართ ხანგრძლივი დუმილის შენარჩუნება.

წინააღმდეგობებზე დაკვირვება ასევე აჩვენებს, რომ იგნორირება, როგორც წამყვანი სტრატეგია, ხელისუფლების მიერ მიღებული გარკვეული გამოცდილებების შედეგად ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ ამგვარ მაგალითს წარმოადგენს ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ „რიონის ხეობის მოძრაობის“ პროტესტის საწყის ეტაპზევე გამოიყენა მათი აქციის დაშლის რეპრესიული და ძალადობრივი მეთოდი, რამაც გარკვეულწილად გააფართოვა პროტესტის შესახებ საინფორმაციო ველი და შესაბამისად, გაზარდა წინააღმდეგობის მიმართ მხარდაჭერაც. ამ მოვლენას ლიტერატურა „რეპრესიის პარადოქსის“ სახელით იცნობს, რაც გულისხმობს მცირე ჯგუფისადმი რეპრესიული მეთოდის გამოყენებას მისი განეიტრალებისა და დანარჩენ საზოგადოებაში შიშის მსუსხავი ეფექტის შექმნის მიზნით, რაც პარადოქსულად დასუსტების ნაცვლად, მოძრაობის გაძლიერებას და მხარდაჭერის ზრდას იწვევს.[30] ეს გამოცდილება ხელისუფლებამ იმავე მოძრაობის მიერ ორგანიზებული მეორე გარემოსდაცვითი პროტესტის დროს გაითვალისწინა, რომელიც მიმართული იყო რაჭის ტყეების უკანონოდ იჯარით გადაცემის წინააღმდეგ. რაჭის ტყეების დაცვისთვის გამართულ აქციებს, რომლებიც, თავდაპირველად, ონის მუნიციპალიტეტთან საპროტესტო კარვების მობილიზებისა და ფიზიკური წინააღმდეგობის ფორმით მიმდინარეობდა, თვეების მანძილზე არ პასუხობდა არცერთი პასუხისმგებელი უწყება.

30 Kurtz L.R., Smithey L. A., (2018) The Paradox Of Repression And Nonviolent Movements. https://works.swarthmore.edu/fac-soc-anth/179. pp.2-4.

„როგორ აკეთებენ იცი, შენ რომ განდევნილი იყო ამ ველიდან ბოლომდე… ეს ამბავი არ არსებობს, ეს ხალხი არ არსებობს, იმიტომ, რომ როგორც კი შეგიმჩნევს, ცუდად შემჩნევაც კი არის შენი საქმე და ეს აქვთ ნასწავლი. ადრე იყო მაგალითად, რომ ცუდად გიმჩნევდნენ და თვლიდნენ რომ ეს საქმეს აკეთებდა, მაგრამ დღეს აღარ თვლიან. ამიტომ იგნორირების პოლიტიკა არის ჩვენთან მიმართებაში აყვანილი [მაღალ] ხარისხში. როგორ გაგრძნობინონ თავი იცი, კედელს ელაპარაკები, არავინ არ არის იქეთ მხარეს. რაჭის შემთვევაში ეგ იყო ცხადზე ცხადი…ეს პოლიტიკა არის არჩეული, რომ ეს ხალხი არცერთ შემთხვევაში არ უნდა შევიმჩნიოთ, ჩვენ რაღაცა ტიპის აქტორად არ უნდა ჩაგვთვალოს ვიღაცამ. ეს კედელი არის აშენებული".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

უგულებელყოფას ყველაზე უკეთ აღწერს ქ. თბილისის მერიის მიმართება იპოდრომის პარკის დაცვისთვის მიმდინარე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობისადმი. ქ. თბილისის მერია, მისი პირდაპირი პასუხისმგებლობის მიუხედავად, მუდმივ და უწყვეტ დუმილს ინარჩუნებდა მოძრაობისადმი „იპოდრომი უბეტონო მხარე", რომელიც 2021 წლიდან იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცენტრალური პარკის პროექტს აპროტესტებდა.

„გვაიგნორებდნენ..ამ შემთხვევაში ჩვენს წინააღმდეგ აირჩიეს ეგ ხერხი, რომ ანუ რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, იჭიჭყინონ, ჩვენ ამათ ყურადღება აღარ უნდა მივაქციოთ. ყოველ შემთხვევაში ეს ყურადღების მიქცევა აღარ უნდა ჩანდეს, საჯარო არ უნდა იყოს. „ჰაიპი" რომ არ აწეულიყო და უფრო ხმაურიანი რომ არ გამხდარიყო ეს სტრატეგია აირჩიეს… დღემდე ისე ჩანს ეს ჩვენი პროტესტი, რომ ერთ მხარეს ჩვენ ვართ და რაღაცას ჩვენთვის ვაპროტესტებთ და ანუ მეორე მხარეს არავის არ ესმის, არანაირი პასუხი, არც საჯაროდ, არც მედიაში".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ცალკეულ შემთხვევებში, ეს არშემჩნევის სტრატეგია პროტესტთან მიმართების მთავარი ინსტრუმენტი მოგვიანებით გახდა. ამგვარი გამოცდილება უკავშირდება პროტესტებს, რომელთა განეიტრალების მიზნით გამოყენებული სხვა მეთოდები უშედეგოდ ამოიწურა და პროტესტის იგნონირება ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის დაღლის და მილევის იმედით შეირჩა. ამგვარია ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთსა და მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალდაში მიმდინარე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის გამოცდილებები, რომელთაც პროტესტის სხვადასხვა ეტაპზე, დიდი ძალისხმევის საპასუხოდ, ხელისუფლება გამოეხმაურა. თუმცა, როგორც კი ცხადი გახდა პროცესის მოჩვენებითობა, უშედეგობა და მხარეებს შორის კომუნიკაცია ფაქტობრივ ჩიხში შევიდა, ხელისუფლება სრული დუმილის მეთოდს დაუბრუნდა ორივე პროტესტის მიმართ (რასაც თან ახლავს წინააღმდეგობებზე ზეგავლენის მოხდენის პარალელური არაფორმალური მეთოდები). ორივე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობა ასეულობით დღეა, ფიზიკური ფორმით სოფლების შუაგულში გაშლილ კარვებში დღემდე უწყვეტად გრძელდება. ერთ-ერთი გარემოსდამცველი ბალდის კანიონის კერძო კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხზე, ხელისუფლების წარმომადგენელთან გამართულ დიალოგს ასე იხსენებს:

„ვეკითხები, რა გაქვს სტრატეგია ეს კონფლიქტი როგორ უნდა მოგვარდესთქო...ეხლა კიდევ ერთხელ ჩავალთ და თუ არადა ბოლო-ბოლო ხო ვნახეთ რომ სხვა შემთხვევებშიც როგორ მოხდა, როდემდე გაძლებენო, როდემდე იჯდებიან...მივხვდი რომ ინსტრუქცია აქვთ ესეთი, სცადე, არ გამოვიდა, გაჩერდი,..აი შუქრუთში...როგორი ქვის კედელია, ფაქტიურად გეუბნებიან რომ ადამიანი არ ხარ, საერთოდ არ მოვალ შენთან, არაფრად არ აგდებენ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი /გარემოსდამცველი)

„აქ არ იკადრეს. კარგი, გვესმის არ მოვიდნენ აქ, არ ჩამოვიდნენ, არ შეგვხვდნენ უშუალოდ და ჩვენიდან არ მოისმინეს ჩვენს რეალობაში არსებული პრობლემები. ჩვენ ჩამოვედით, საკანონმდებლო ორგანოსთან ვიყავით და იქაც კი არ იკადრეს რომ მოსულიყვნენ და უშუალოდ ჩვენიდან მოესმინათ ის, თუ რა რეალობაში გვიწევდა ცხოვრება და რა ხდებოდა ჩვენ გარშემო“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

უგულებელყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაქრობით და კერძო კომპანიების მოპასუხედ მონიშვნით

უგულებელყოფის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკუთარ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა და წინააღმდეგობის მოპასუხედ კერძო კომპანიის მონიშვნა, რაც პროტესტის დეპოლიტიზებისა და მისი გამრუდებულ პროცესში შეყვანის გზაა. კვლევის არაერთი მონაწილე იხსნებს გამოცდილებას, როდესაც სახელმწიფო იგნორის ამგვარ ფორმას მიმართავდა და სრულად იხსნიდა პროცესებზე პასუხისმგებლობას. ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლების ამ მიდგომას იზიარებდნენ კერძო კომპანიები, რადგან ისინი ხედავდნენ ამ მეთოდის სარგებლიანობის მნიშვნელობას წინააღმდეგობის დასუსტებისთვის და თავად იღებდნენ ინიციატივას პროტესტთან კომუნიკაციაზე. მეტიც, რამდენიმე შემთხვევაში პროტესტის მონაწილე საუბრობს, მისი ვარაუდით პირდაპირ არაფორმალურ კავშირზე სახელმწიფო უწყებებსა და ადგილზე მომუშავე კერძო კომპანიებს შორის.

„სახელმწიფო ყოველთვის იწევდა [გვერდზე], ტოვებდა მოსახლეობას კომპანიასთან პირისპირ. ეს იყო ცენტრალური, მთავარი ტაქტიკა, სტრატეგია, რომ არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო არ მონაწილეობს. აგერ არის კომპანია, აგერ თქვენ მოილაპარაკეთ".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„განცხადება შევიტანეთ და პასუხი მოგვივიდა, რომ ჩვენო, არ ვართ კომპეტენტურებიო. მერიის სამსახურის ოფიციალური პასუხი მაქვს, კომპეტენტურები არ ვართო და ამ გადაწყვეტილებას ჩვენ ვერ მივიღებთო. პროექტს აწარმოებს „ფონდი ქართუ" და მასთან გადაგამისამართებთო….მითუმეტეს ტერიტორია უკვე მერიის ბალანსზე იყო და საჯარო სარეკრეაციო სივრცეზეა ლაპარაკი და არა ვიღაცის კერძო სახლზე...მაშინვე მივხვდი რომ რაღაც ისეთ პრობლემთან მოგვიწევდა შეჯახება".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„რომ რეკავ ცხელ ხაზზე, აი როგორც კი დარეკე, მანქანები აღარ მოძრაობენ, ინსპექტირება უნდა მოვიდეს, არ მოძრაობენ...

[ადგილზე უკანონო საქმიანობები] იყო ორგანიზებული, იმ მხრივ...რომ იღებდნენ ინსრტრუქციებს, მე ასე მგონია, რომ აი, მოდი ეხლა სატვირთოები არ მოვიდნენ ცოტა ხანი შეაჩერეთ, იმიტომ რომ აქ ინსპექტირება არის გამოძახებული, ძალიან მალე მიეწოდებოდათ ეს ინფორმაცია".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა არც კი განასხვავებს მათთან მიმართებაში სახელმწიფოსა და კომპანიის საკომუნიკაციო ენას და მეტიც, მათ გადაჯაჭვულობაზე, შეზრდასა და პირდაპირ დაკავშირებულობაზე მიუთითებს. ეს მოცემულობა, რომელიც პროტესტების აბსოლუტურ უმრავლესობაში ერთნაირია, არ აღწერს მხოლოდ პროტესტთან კომუნიკაციის სტრატეგიას. ის მიუთითებს პოლიტიკური ძალაუფლებისა და გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფების შერწყმასა და სახელმწიფოს, როგორც ნეიტრალური, საჯარო ინტერესის დამცველის გაქრობაზე. რესპონდენტების გამოცდილების ანალიზით, ხელისუფლება სისტემურად ამბობდა უარს საჯარო ფუნქციის შესრულებაზე და მის ნაცვლად, ზურგს უმაგრებდა კერძო კომპანიებს, ღიად ატარებდა მათ ინტერესებს და კერძო ინტერესის დაცვისთვის სრულად იყენებდა სახელმწიფოს მმართველობით და მართლმსაჯულების სისტემას.

„[საწყისი ეტაპის შემდეგ] აღარც მერი და არც სახელმწიფო რწმუნებული ამ პროტესტში მოპასუხე მხარე არ ყოფილა, დაიბანეს ხელები და ძალიან აგრესიული მოპასუხე მხარე გახდა კომპანია…სახელმწიფოსა და კომპანიის ქორწინების კი არა, ეს უკვე მაფიოზურ სქემას ჰგავდა. მე შევესწარი პირადად, როგორ იყო კომპანიის წარმომადგენელი უბრალოდ ფიზიკურად ხელშეუხებელი [პოლიციის მხრიდან].

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„[ფონდი "ქართუ" და მერია] მაგას აღნიშვნაც არ ჭირდება. არათუ ურთიერთობა [აქვთ], ერთი მთლიანობასავით არიან, ერთი მთლიანობა არიან".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„თითქოს კომპანიას ეუბნება ხელისუფლება, მე მხარდაჭერას გაგიკეთებ, სრული მხარდაჭერა გექნება და შენ როგორც გინდა ისე დაალაგე. მე ძალიან თამამად და პირდაპირ შემიძლია ვთქვა რომ [სასამართლო] მართლა ინსტრუმენტია კომპანიიის და ხელისუფლებისთვის...კომპანია სხვანაირად ალაგებს და მერე ხელისუფლება ამას ეთანხმება".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ამ აზრით განსაკუთრებულია ინდუსტრიული ქალაქების, წიაღისეული რესურსების მომპოვებელი რეგიონების გამოცდილება, სადაც სახელმწიფო სრულად გამქრალია და კერძო სექტორს ჰყავს ჩანაცვლებული, რაც პირდაპირ აისახება და ვლინდება ხელისუფლებისა და კომპანიის მიმართებაში გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ.

„ჭიათურის შემთხვევაში უფრო მეტად იკვეთება სახელმწიფო ორგანოების გაქრობის მიდგომა, როდესაც საერთოდ არ ჩანან...ჭიათურა არის [ადგილი] სადაც არაფერი [სამართალი] არ მოქმედებს და ყველაფერი არის კომპანიის ხელში. სახელმწიფო არის გამქრალი ხშირად ოფიციალურადაც...მეორე მხრივ ჩვენ ვხედავთ რომ ეს არის მოსახერხებელია ძალიან, რომ შეატოვო კომპანიას ადგილობრივები".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

წინააღმდეგობის აღიარება და მოლაპარაკებების ილუზია

მნიშვნელოვანია, რომ წინააღმდეგობების მიერ უგულებელყოფის სტრატეგიის გადატეხვის შემდეგ, ხელისუფლებამ არაერთ შემთხვევაში მიმართა წინააღმდეგობის აღიარების და მისი ცრუ მოლაპარაკებებში შეყვანის მეთოდს. შესწავლილი შემთხვევების დიდ ნაწილში, ეს გულისხმობდა მოლაპარაკების, შეხვედრის, მსჯელობის არაეფექტიანი ფორმატის გაჩენას, პროტესტისადმი ამგვარ შეთავაზებებს ან მოძრაობის ლიდერებთან პირდაპირი მოლაპარაკების მცდელობებს.

კვლევაში გამოკითხული რესპონდენტები საუბრობენ კომუნიკაციის პროცესის იმ განზომილებებზე, რაც ამ შეხვედრებს მოჩვენებითი პროცესის, ერთგ-

ვარი ილუზიის შექმნის მცდელობად აფორმებდა. მათი დაკვირვებების ანალიზით, ამგვარი ცრუ მოლაპარაკებების ფორმატის შექმნის თუ შეთავაზების შემთხვევებს რამდენიმე მახასიათებელი ახლავს თან.

(1) ხელისუფლება მუდმივად ცდილობს მოლაპარაკებებში მის მხარეს, რეალური გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირების ნაცვლად, კერძო კომპანიის წარმომადგენლები, უწყების საშუალო რგოლის მენეჯმენტი ან გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობის არმქონე პირები წარმოადგენდნენ. ასეთ რგოლს, უმეტესად, ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლები ასრულებენ; კვლევაში მონაწილეთა შეფასებების მიხედვით, ამგვარი შეხვედრების მიზანი არის პროტესტის მონაწილეთა მოტყუება, შეცდომაში შეყვანა და მათ შეკითხვებზე პასუხად ცრუ ან დამაბნეველი ინფორმაციის მიწოდება.

(2) შეხვედრის დროის, შეხვედრაში მონაწილე პირთა მკაცრი კონტროლი, რაც არაერთ შემთხვევაში გულისხმობდა შეხვედრის დანიშვნას იმგვარ ვადებში, რაც შეუძლებელს ხდიდა ან ართულებდა წინააღმდეგობაში ჩართული პირების თუ მათი მხარდამჭერების, პროფესიული წრეების მობილიზაციას. ასევე, ხელისუფლებამ არაერთ შემთხვევაში გამოიყენა წინააღმდეგობის მონაწილეთა ან მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და მეცნიერების გაფილტვრის, სელექციის მეთოდი, როცა შეხვედრის გამართვის პირობას, კონკრეტული ადამიანების შეხვედრის მიღმა დატოვება წარმოადგენდა;

(3) შეთანხმებული შეხვედრის გადადება ან მოულოდნელი გაუქმება, პასუხისმგებელი პირების მიერ შეხვედრის დატოვება ან შეხვედრის მათთვის არასასურველი სცენარით წარმართვის შემთხვევაში მისი დესტრუქცია და ჩაშლა;

(4) შეხვედრის დახურვა ხელისუფლების მხრიდან, როგორც წესი, მთავარი მოთხოვნა იყო ამგვარი შეთანხმების მიღწევის გზაზე. რამდენადაც წინააღმდეგობის მონაწილეთა სტრატეგია უმეტესად გულისხმობდა შეხვედრის პირდაპირ ეთერში გადაცემას ან მინიმუმ, მისი ჩაწერის გარანტიების მიღებას, ხელისუფლება ამ მოთხოვნას, როგორც წესი, შეხვედრის დახურვის, მისი არაფორმალურად და პრივატულ სივრცეში გამართვის შეთავაზებით პასუხობდა;

(5) საჯაროდ გამართული შეხვედრების ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე კანონით განსაზღვრული საჯარო შეხვედრების/განხილვების დინამიკის კონტროლი, ერთ-ერთ გამოცდილ მეთოდს წარმოადგენს. ეს სტრატეგია

ცალკეულ შემთხვევებში გულისხმობს შეხვედრის მონაწილეთა მიმართ დამცირების, პასუხის არგაცემის, მსჯელობის არსებითი საკითხის სხვა საკითხით შეცვლის სტრატეგიებს. ცალკეულ შემთხვევებში შეხვედრის მონაწილეები იხსენებენ მეორე მხარის წარმომადგენლებს შორის როლების გადანაწილების ხილვად შემთხვევებს, პროცესის წარმართვას ერთგვარი თეატრალიზებული, მართული დისკუსიის მეთოდით, სადაც შეხვედრაში მონაწილე კონკრეტულ პირებს აქვთ დავალება სხვადასხვა მეთოდით გამოიწვიონ მეორე მხარის ემოციური წონასწორობის დარღვევა თუ ჩაშალონ მნიშვნელოვანი მსჯელობა.

(6) მოლაპარაკებების გზით მიღწეული შეთანხმების დარღვევა ან შეხვედრის შედეგების ფართო საზოგადოებისთვის განსხვავებული ინტერპრეტაციით მიწოდება.

(7) წინააღმდეგობასთან კომუნიკაციის ილუზიის შექმნა, იმგვარი შეხვედრების გამართვის გზით, რაც თავიდანვე არ ატარებს მოლაპარაკების, პრობლემების მოსმენის, აღიარებისა და გადაწყვეტის მიზნებს. რამდენიმე შემთხვევაში ამგვარი როლი საქართველოს პარლამენტის გარემოსდაცვითმა კომიტეტმაც შეასრულა.

(8) ხელისუფლების სტრატეგიებში, თავად მოლაპარაკებები ან ადგილობრივი საზოგადოების თანხმობა შეიძლება წარმოადგენდეს მოდელირების საგანს. წინააღმდეგობის მონაწილეები საუბრობენ შემთხვევებზე, როდესაც ხელისუფლება ქმნიდა პროტესტთან მოლაპარაკებების ილუზიას, თუმცა, ის რეალურად ხვდებოდა სხვა სოციალურ ჯგუფს, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი გარემოსდაცვით წინააღმდეგობასთან. ხელისუფლება ამგვარ შეხვედრებს იყენებდა სადავო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყების თუ შეთანხმების ილუზიის შესაქმნელად. ასევე, არაერთ შემთხვევაში ხელისუფლებამ გამოიყენა ადგილობრივი საზოგადოების თანხმობის ინსცენირების მეთოდი, რაც გულისხმობდა პროექტის მხარდამჭერ მიმართვებსა თუ მემორანდუმებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვებას, მათი მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთან პირდაპირი კომუნიკაციის ან მიმართების გამოცდილება რამდენიმე გარემოსდაცვითი, უმეტესად ურბანული წინააღმდეგობის შემთხვევაში, შუალედური მიღწევებით დასრულდა. ამგვარია, წინააღმდეგობების გამოცდილება დიღმის ჭალების გადარჩენისთვის, ქ. ფოთში ჰაერის მონიტორინგისა და ზეგავლენის არეალიდან მოსახლების განსახლებისთვის ბრძოლის, ქ. რუსთავში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის, გლდანის ტბის გადარჩენისა და გურიაში ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი რამდენი-

მე კარიერისა და მცირე ჰესის შემთხვევებში. მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგები უმეტეს შემთხვევაში შუალედურია და პროტესტის მონაწილეთა მხრიდან გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებად არ მიიჩნევა. თუმცა, საინტერესოა, რომ წინააღმდეგობის მონაწილეთა შეფასებებში მიღწეული შედეგები სხვადასხვა ფაქტორს დაუკავშირდა. მათი აზრით, მდგრადი და ეფექტიანი წინააღმდეგობების შექმნის გარდა, რაც ამ შუალედური შედეგებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო, ასევე დამატებით გარე ფაქტორებად სახელდება კონკრეტული თანამდებობის პირების მიერ შესრულებული დადებითი როლი, საერთაშორისო აქტორების მხარდამჭერი როლი და ცალკეულ სივრცეებში ხელისუფლების მხრიდან ელექტორალური მხარდაჭერის მობილიზაციის ინტერესი. თუმცა, გადამწყვეტ გარე ფაქტორად მიიჩნევა უთანხმოების მეორე მხარეს მდგარი კონკრეტული კერძო კომპანიების/ფიზიკური პირების კაპიტალის დაცვის დაბალი ინტერესი მმართველი კლასისთვის.

კვლევისას გამოკითხული სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ ამგვარი კომპრომისების მიღწევა შეუძლებელია შემთხვევებში, როდესაც გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მოთხოვნები სახელმწიფოსთან შეზრდილ ან პოლიტიკურ ძალაუფლებასთან კავშირში მყოფი დიდი კაპიტალის ინტერესებს უპირისპირდება. აქ იგულისხმება კომპანიები, რომლებიც ან პირდაპირ წარმოადგენენ მმართველი კლასის წევრების ინტერესებს ან გარიგებულნი არიან პოლიტიკურ ძალაუფლებასთან და პოლიტიკურ პროცესებში ფინანსური კონტრიბუციების სანაცვლად, კორუფციული გზებით იღებენ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტების ნებართვებს, მსხვილ სახელმწიფო შესყიდვებს და სხვა.

„წარმატებული ქეისები ცოტაა, მარა ბევრი კომპონენტი დაემთხვა ერთმანეთს. [წარმატების შემთხვევებში] ძალიან ძლიერი არ არის კერძო ინტერესი...ეს არის ჩემი დაკვირვების შედეგი. რამდენიმე [კარგ] პროექტზე მიდიოდა მუშაობა.. მაგრამ უცებ ჩაიხსნა და შემობრუნდა პროცესი..რაღაც ძალიან ძლიერი წნეხი იყო კერძო სექტორისგან. როგორც კი ეჯახებიან კერძო ინტერესს, ეს ინიციატივები მალე იფუშება..რასაც ვუყურებ თბილისის შემთხვევაში, ტერიტორიებად აქვთ დანაწილებული.. ფეოდალური ქალაქი გვგონება [თბილისი] საკუთრებას რომ შეხედო. ეს ივანიშვილის ტერიტორიები, იქ ზარალას ტერიტოროები, იქ ვიღაცა ენუქიძის ტერიტორიებია დეპუტატის, ესეა დანაწილებული ეს ქალაქი“.

(გარემოსდამცველი)

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების შედეგად დიდი პროექტების შეჩერების გამოცდილება კი, კვლევის მონაწილეთა აზრით, როგორც წესი, უკავშირდება არა ხელისუფლების შემხვედრ კომპრომისს, არამედ ძლიერ საზოგადოებრივ მობილიზაციას, რომელთა ძალისხმევის შედეგად გარემოსდაცვითი საკითხი რეგიონული თუ ეროვნული მნიშვნელობის საყოველთაო წინააღმდეგობად იქცა, რამაც შეუძლებელი გახადა პროექტების კონკრეტული ფორმით აღსრულება. ცალკეულ შემთხვევებში, პროექტების შეჩერების პროცესში, ასევე დამატებითი როლი ითამაშა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გასაჩივრების მექანიზმების ეფექტიანმა გამოყენებამ.

საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია და პრობლემის აღმოფხვრის ილუზიის შექმნა

წინააღმდეგობასთან ილუზორული მოლარაკებების კვალდაკვალ და ხშირად მის პარალელურად, ხელისუფლების მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გარემოსდაცვითი პრობლემის გადაწყვეტის შესახებ მანიპულაციური და მცდარი ინფორმაციის გავრცელება. ეს მეთოდი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას, უთანხმოების საკითხის გადაჭრილად წარმოჩენას და ამ გზით მოძრაობის მხარდამჭერების დემობილიზაციას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად რთულ გამოწვევად ისახება მოძრაობებისთვის, რომელთაც ისედაც რთულ საინფორმაციო ველში, უხდებათ მანიპულაციის გაქარწყლებისა და შეცდომაში შეყვანილი საზოგადოების მხარდაჭერის შენარჩუნება.

ამ სტრატეგიას ხელისუფლებამ არაერთელ მიმართა. 2022 წლის 6 თებერვალს თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ, „მოძრაობა შქმერისთვის“ მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა, სოფელ შქმერში წიაღისეულის მოპოვების თაობაზე გაცემული ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნით. იმავე დღეს, მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ მანიპულაციური განცხადება გაავრცელა, სალიცენზიო პირობების დარღვევის გამოვლენისა და მის ფარგლებში საქმიანობებების შეჩერების შესახებ, რაც არ გულისხმობდა უშუალოდ ლიცენზიის გაუქმებას. თუმცა, საინფორმაციო ველზე ხელისუფლების ეს ნაბიჯი ლიცენზიის გაუქმებად და წინააღმდეგობის მოთხოვნების დაკმაყოფილებად ითარგმნა.[31]

31 განცხადება შქმერში მანგანუმის მოპოვების შეჩერების შესახებ მანიპულაციურია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თებერვალი, 2022.

„მთავრობის გზავნილები წინასწრებით მომზადდა, რომ ამ აქციას დადევნებოდა უკან და ერთგვარად განეიტრალება მომხდარიყო თემის, რომ თითქოს ლიცენზიები გაუქმდა. როგორც კი დასრულდა აქცია, ერთ საათში თუ 2 საათში, გამოდის ღარიბაშვილი და აკეთებს განაცხადს... ეს იყო აბსოლუტური ტყუილი. ჩვენ მაშინვე დავწერეთ რომ ეს არის მანიპულაციური განცხადება და არ შეესაბამება სიმართლეს და ნუ რაღაც დოზით იმუშავა".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ანალოგიურია ბალდის კანიონის დასაცავად მიმდინარე გარემოსდაცვითი პროტესტის გამოცდილებაც. პროტესტის ერთ-ერთი ადრესატი, დაცული ტერიტორიების სააგენტო, მას შემდეგ რაც ჩიხში შედის, აკეთებს განცხადებას ბალდის კანიონში ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რაც პროტესტის მოთხოვნის დაკმაყოფილებად და შესაბამისად, წინააღმდეგობის შეწყვეტის წინაპირობად წარმოჩინდება. თუმცა, პროტესტის მოთხოვნა უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებას გულისხმობდა და არა უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩატარებას.

„დაცული ტერიტორიები აკეთებს ეგეთ რაღაცას, რომ ჩვენ არ გვქონდა ვალდებულება, მაგრამ რახან კაი ტიპები ვართ, ჩვენ ამ კვლევას ჩავატარებთ. მაგრამ როდის ჩაატარებ, უკვე ნახევარი სამუშაოები თითქმის შესრულებული გაქვთ. ბეტონი ჩასხმული გაქვთ, ხეები მოჭრილი გაქვთ, კლდეები ჩამოთლილი გაქვთ და ბეტონის ქვეშ როგორ დაადგენ რამდენი ხე მოჭერი? თან ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს ბალდის მოსახლეობა ითხოვს კვლევის ჩატარებას, ჩვენ ეს კვლევა ჩავუტარეთ და მერე დაიწყებს უკვე ამაზე აპელირებას. [არადა] ჩვენ რეალურად ვითხოვთ ამის გაუქმებას".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

მსგავსი გამოცდილებაა „რიონის ხეობის მოძრაობის“ შემთხვევაშიც, რომელიც რაჭის ტყეების კერძო პირზე იჯარით გადაცემას და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაუქმებას მოითხოვდა. მოძრაობის მიერ დედაქალაქში აქციის გადმოტანის გადაწყვეტილების მიღებას, თან სდევდა ხელისუფლების მანიპულაცია, რომ ის აპირებდა ლიცენზიის გაუქმებას, რასაც მათივე მტკიცებით, ადასტურებდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ლიცენზიანტის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის თაობაზე დაწყებული წარმოება. თუმცა, ეს მტკიცება არსებითად მცდარი იყო, რამდენადაც ამგვარი წარმოების შედეგი იმთავითვე არ გულისხმობდა ლიცენზიის გაუქმებას.[32] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეს განცხადება წინააღმდეგობის მოძრაობის შეფასებით, მიზნად ისახავდა, შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და დაესუსტებინა თბილისში დაგეგმილი მათი აქციები, რამაც გარდამტეხი როლი ითამაშა ლიცენზიის გაუქმებაში.

„[თბილისში აქციის გადმოტანისას] დაგხვდნენ აგრესიით.. თან ამათაც უკვე შექმნილი ჰქონდათ წინასწარ ეგ ნარატივი – რა უნდათ ამ ხალხს, რაზე მოდიან, ხო ვაუქმებთ, ეგ ისედაც უქმდებოდა…ამით უნდა რომ გამოგაცალოს საფუძველი პროტესტის”

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციის შემთხვევას იხსენებს იპოდრომის შენარჩუნებისთვის მიმდინარე წინააღმდეგობის მონაწილე.

32 სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს გარემოს დაცვის სამინისტროს, გააკეთოს განმარტებები რაჭის ტყეებთან დაკავშირებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნოემბერი, 2023.

„ჩვენ რომ პროტესტი დავიწყეთ, მაშინ კალაძემ განაცხადა, რომ „ქართუ ფონდმა" იპოდრომის მთელი ტერიტორია გადასცა თბილისის მერიასა და აქ პარკი უნდა გაშენდესო. როგორც კი გადავამოწმე, მაშინვე ვნახე, რომ ეგ არ იყო მართალი ინფორმაცია, იმიტომ რომ ტერიტორიის ნაწილი 8 ჰექტარი დარჩა „ქართუ ფონდის" მფლობელობაში და ეს 8 ჰექტარი იყო ტყის ნაწილის ტერიტორია. ეს ძაან უცნაური იყო იმიტომ, რომ თუკი ჩვენ გვინდა, რომ პარკი გავაკეთოთ…მაშინ ტერიტორიის ყველაზე უფრო პარკივით ნაწილი რატომ უნდა დავიტოვო კერძო მფლობელობაში და ჩემთვის შესაბამისად გააჩნია ეჭვი, რომ როგორც კი აქეთ ნაწილს პარკად დაარეგისტრირებენ ასე ვთქვათ, ამ ტყის ნაწილს მერე უკვე გამოიყენებენ სამშენებლოდ. [ასეც მოხდა] საკრებულომ ძალიან მალევე უჩუმრად კენჭი უყარა [ტყიანი ნაწილისთვის] სარეკრეაციო ზონის ცვლილებას და მხარი დაუჭირა მშენებლობის წამოწყებას".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების ლოკალიზების სტრატეგია

ბუნებრივი და საარსებო გარემოს დაცვისთვის გამართულ საზოგადოებრივ პროტესტებს ხელისუფლება ხედავს არა როგორც სოციალურ უკმაყოფილებას, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არამედ როგორც პრობლემას, რომელიც უნდა აღმოიფხვრას ან იმართოს. საზოგადოებრივი უკმაყოფილების პრობლემად მონიშვნის ეს ხედვა, მუდმივად ააქტიურებს ხელისუფლების შიშს, არ გაფართოვდეს და არ გართულდეს პრობლემის მართვა და ამდენად, ის არ იქცეს საფრთხედ. ხელისუფლება ამგვარი საფრთხის პრევენციის და პროცესების კონტროლიდან გასვლის რისკების შემცირების მთავარ გზად, სოციალური უკმაყოფილებების ლოკალიზებას, მის ადგილობრივ საკითხად დარჩენას ხედავს.

ჩვენს გამოცდილებაში, როგორც ურბანულ ისე რურალურ სივრცეებში წარმოქმნილ გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს, ყოველთვის ახასიათებს „ადგილობრივობა", სოციალური პროტესტის კონკრეტულ ადგილთან, საჯარო სივრცესთან, შენობასთან, უბანთან, სოფელთან, მდინარესთან, კანიონთან თუ ხეობასთან დაკავშირებულობა და მისი შემოსაზღვრა ამ ფიზიკურ სივრცეებთან დაკავშირებული სოციალური ველით. წინააღმდეგობების მი-

ერ დასმული ფართო გარემოსდაცვითი თუ სოციალური საკითხების და მათი ამგვარი საზოგადოებრივი მნიშვნელობების მიუხედავად, გარემოსდაცვითი პროტესტები მუდმივად დგანან კონკრეტულ ფიზიკურ, სოციალურ თუ საინფორმაციო სივრცეებში ჩაკეტვის გამოწვევის წინაშე. უკმაყოფილების ლოკალიზებას ახასიათებს როგორც სივრცული, ისე დისკურსული, ენობრივი, შინაარსობრივი თუ სოციალური განზომილებები. ამდენად, წინააღმდეგობის გაფართოება, როგორც მისი საპირისპირო პროცესი, გულისხმობს როგორც პროტესტის არეალის ფიზიკურ განვრცობას, ასევე, პროტესტის ენის და შინაარსის გაფართოებას, უკმაყოფილების საერთო სოციალურ საკითხად დასმასა და ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და კონსენსუსის მოპოვებას.

გამოცდილება აჩვენებს, რომ პროტესტის გაფართოების თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს თამაშობს პროტესტის შინაარსის საერთო საჯარო ველში შეტანა და მისი გამყარება სამეცნიერო, სამართლებრივი თუ პოლიტიკური არგუმენტაციით. ყველა იმ პროცესში, სადაც წინააღმდეგობამ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება შეძლო ან მინიმუმ გააფართოვა პირვანდელი საინფორმაციო ველი, გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფესიული წრეების, აქტივისტური ჯგუფებისა და მედიების მხარდაჭერამ. ამას აჩვენებს ბათუმის, ზემო-სვანეთის, გურიის, ჭიათურის, რიონის ხეობის და სხვა წინააღმდეგობების ისტორიები, რომელთა გამოცდილებებში პროტესტის გაძლიერება, ცალკეული სოციალური ჯგუფების ან უკეთეს შემთხვევაში, ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას უკავშირდება. თუმცა, კვლევა ასევე აჩვენებს შემთხვევებს, როდესაც წინააღმდეგობებმა ამგვარი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რამაც დიდწილად განსაზღვრა კიდეც მათი მარცხი.

„ალბათ, იშვიათი შემთხვევა არის, როცა მოვახერხეთ, რომ საზოგადოების დიდი ჩართულობა გამოვიწვიეთ. ამ შემთხვევაში ბევრს წყვეტს დედაქალაქი. თუ თბილისი დაგვიჭერს მხარს, თუნდაც სამოქალაქო აქტივისტები ან მედია, ეს დიდ გავლენას ახდენს ხოლმე გადაწყვეტილებაზე, და მე მგონი ერთ-ერთი დამნაშავე ამ ყველაფერში თბილისი არის, რაც ბათუმში ხდება".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„იურისტი იქნება თუ სეისმოლოგი იქნება თუ გარემოსდამცველი რიგითი თუ ეკოაქტივისტი, რომელსაც რაღაცა ცოდნები აქვს, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ანუ ეს ყველაფერი არის კონკრეტული მიმართულებებით, კონკრეტული ცოდნებია...ამდენი ხალხი, რომელიც ამაში ჩაერთო და აზრს გამოთქვამს, ამან გააფართოვა მნიშვნელობა, ამ პროტესტის ენა, სათქმელი, კომუნიკაცია, ლექსიკურად გაზარდა. ყველას მიწვდა".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ადგილობრივი წინააღმდეგობისა და პროფესიული თუ აქტივისტური წრეების შეკავშირების, ამ ორი განსხვავებული შესაძლებლობის და პოტენციალის გაერთიანების საფრთხე ხელისუფლებამ განსაკუთრებულად ცხადად დაინახა ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმდინარე პროტესტში, როდესაც სწორედ ამგვარმა ერთობლივმა ძალისხმევამ მნიშვნელოვნად გაზარდა წინააღმდეგობა და მას განსაკუთრებული ზეგავლენის პოტენციალი შესძინა. კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ნამახვანჰესთან დაკავშირებული გამოცდილებიდან გამომდინარე ამბობს, რომ *„ეს ტანდემი, სამეცნიერო და ქუჩის პროტესტის, არის ჯამში [ხელისუფლებისთვის] საშიში".*

„მე მგონია რომ [ნამახვანჰესზე მიმდინარე პროტესტის დროს] ბევრად უფრო ნაკლებად სერიოზულად აღიქვამდნენ [პროფესიული და აქტივისტური წრეების მხარდაჭერას], ვიდრე დღეს, როცა ნებისმიერი ესეთი პროტესტი, როგორიც არის შუქრუთის პარლამენტთან ყოფნა, ბალდა ან [სხვა].. მანდ ხედავენ მთავარ საფრთხეს… მაშინ მე მგონია, ამაზე დიდად არ მუშაობდნენ და ვერც აღიქვამდნენ რომ ეს შეიძლება საფრთხე გახდეს".

(გარემოსადაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ნომერ პირველი სტრატეგია არის პირდაპირ ხელისუფლების, რომ არსებული პრობლემები არ გასცდეს იმ ადგილს, სადაც ის პრობლემები არის, რადგანაც ამათ ეშინიათ, რომ ფართო მასებისთვის არ გახდეს ის საშინელი მდგომარეობები ცნობილი, რასაც სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სოფელში ჩადიან და აკეთებენ".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ცენტრის მოფრთხილება ყველაზე თვალსაჩინო იყო რაჭის ტყეების პროტესტის ფარგლებში, აქ [თბილისში] რაც მოაწყვეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო, ყველანი გაოგნებულები ვიყავით..ანუ რამდენად იცავდნენ ამ თავის ილუზიას რომ ყველაფერი კარგადაა, ანუ რამდენად ძლიერი იყო მაგათი ნება, რომ ცენტრში არ გაებედა სოციალურ პროტესტს ფეხის მოკიდება“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ბალდაზე რასაც ვხედავ დღიდან დაწყებისა დღევანდლამდე არის მაგის გაგრძელება..აი, სტრატეგია აქვთ არჩეული, თითქოს ეგ ისწავლეს ..ამათმა ისწავლეს რომ მთავრობა თუ გიწევს წინააღმდეგობას, შენ იზრდები, ფართოვდები, ლოალურობა, ცნობადობა გეზრდება, ხალხი უფრო მეტად ხდება მობილიზებული.. ძალიან მყარად დგანან ბალდაში მაგ პოზიციაზე“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ამ გამოცდილების შემდეგ, ხელისუფლებისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს, ადგილობრივი ჯგუფებისთვის ამგვარი მხარდამჭერების ჩამოშორების, მათ შორის დაპირისპირების შექმნის, ნდობისა და სოლიდარობის რღვევის ტაქტიკები, რასაც კვლევის არაერთი მონაწილე აღწერს. ამ პროცესს ხელს უწყობს სამოქალაქო ორგანიზაციების ე.წ. ენჯეოების მიმართ შექმნილი ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ნარატივი, რაც შემდეგ თავებში დამატებით იქნება განხილული. კვლევის მონაწილეები უთითებენ, რომ ბოლო წლებში ეს ნარატივი განსაკუთრებით ძლიერდება და კონკრეტულ შემთხვევებში წინააღმდეგობის მხარდამჭერებში შეკითხვებისა და შიშების სახით იწყებს არსებობას.

„ადგილობრივი ჯგუფი, რომელიც არის [ზემოქმედების ქვეშ] და მას აქვს ყველა საფუძველი იმისა, რომ ხმა ამოიღოს...მეორე მხრივ არის ენჯეო, რომელიც სამართლებრივად აძლიერებს და არგუმენტებს აძლევს, ეხმარება რაშიც ადგილობრივი შეიძლება სუსტი იყოს, ეს არის „მომაკვდინებელი“ კომბინაცია..[ამის] ეშინიათ. მაგიტომაა, რომ ენჯეობის ჩამოშორებას ცდილობენ და ეს მთელი პროცესი „რუსული კანონის“ იქნება თუ ზოგადად წლების განმავლობაში ენჯეობის დისკრედიტაციის, არის მაგის გამო რეალურად, რომ არ უნდათ დამოუკიდებელი აქტორები, რომლებიც ადგილობრივ ჯგუფებს გააძლიერებენ. ჩვენს მიმართაც ეგ ჩანს. ეგ ჩანს როგორც ცენტრალურ დონეზე რიტორიკაში, მაგალითად თანამდებობის პირების განცხადებაში, ისე ჩანს ადგილზე, მათი წარმომადგენლების, დაბალი რანგის ჩინოვნიკების თუ კომპანიასთან დაკავშირებული პირების ქმედებებში. ცდილობენ, რომ გამოგთიშონ პროცესიდან, გამოგრიყონ, არ შეგიშვან შეხვედრაზე, ან ეცადონ რომ... ეჭვი გააღვივონ და დაშალონ ეს ერთობა და ამ სოლიდარობას ძირი გამოაცალონ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

ცალკეული გარემოსდაცვითი მოძრაობის წევრები საუბრობენ ხელისუფლების ამ ტაქტიკის წარუმატებლობაზეც და აღწერენ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლებამ მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო გარემოსდაცვით წინააღმდეგობასა და მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და მედიებს შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის დაზიანება. თუმცა, ამავდროულად მათთან საუბარი აჩვენებს პროტესტების დასუსტების ამ მცდელობის ირიბ გავლენას, რომელიც განსაკუთრებით რეგიონებში წარმოქმნილ მოძრაობებზე თვითშეზღუდვის სახით იწყებს მოქმედებას. მაგალითად, მიუხედავად მნიშვნელოვანი ფინანსური საჭიროებებისა, რაც გააძლიერებდა და გააფართოვებდა გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის შესაძლებლობებს, მოძრაობის ლიდერები უარს ამბობენ საერთაშორისო გრანტის ფორმით დაფინანსების მიღებაზე, რაც ზღუდავს მოძრაობის რესურსებს და მას მოძრაობის წევრების თუ მათი მხარდამჭერების მცირე პირად შემოწირულობებზე დამოკიდებულს ხდის.

„მე რომ ეხლა ავმდგარიყავი და რომელიმე ენჯეოსთვის მეთხოვა დახმარება, მატერიალური კუთხით ვიძახი…აი, გრანტი რო აგვეღო რაღაცა, ძაან წინ ვიქნებოდით რეალურად. თუნდაც ინფორმაციის გამოტანის კუთხით, უფრო მეტს ეცოდინებოდა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ძაან დაგვაზარალებდა შიგნით..ანუ არ ვიღებთ ფულს და მაინც ვიღაცეებზე მუშაობს ეგ და რომ ავიღო ხო წარმოგიდგენია რა მოხდება".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი ასევე უთითებს, რომ განსაკუთრებით რეგიონებში და რურალურ სივრცეებში წარმოქმნილ წინააღმდეგობებში, პროტესტების ლოკალიზების მეთოდს, ირიბად და ხშირად პირდაპირ აძლიერებს მეინსტრიმ ე.წ. ოპოზიციური სატელევიზიო მედიის პასიური როლი, რომელიც არ ინტერესდება ან ხშირად დიდი ძალისხმევისა და წინააღმდეგობის გაძლიერების შემდეგ იწყებს რეგიონებში მიმდინარე პროტესტების გაშუქებას. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც პროტესტები სატელევიზიო მედიების მიერ გაშუქდა, მათი მოსაზრებით, ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა საკითხის ირგვლივ ფართო საზოგადოებრივი მობილიზაციის შესაქმნელად. თუმცა, რესპონდენტები ასევე იხსენებენ ამავე სატელევიზიო მედიების მიერ პროტესტის დაზიანების გამოცდილებებს. ამ აზრით, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტი და ოპოზიციური პარტიების დაბალი მგრძნობელობა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართ, რომლებიც კვლევის მონაწილეების აზრით, ხშირად იზიარებენ კიდეც ხელისუფლების მიერ პროტესტისა და გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის მებრძოლი ჯგუფების უგულებელყოფის სურვილს.

ამ რთულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და საინფორმაციო ველზე, კვლევის მონაწილეებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აქტივისტური ჯგუფის, ონლაინ მედიაგამოცემისა და რამდენიმე სატელევიზიო გადაცემის მხარდაჭერა, რომელთა ძალისხმევამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხელისუფლების სტრატეგიის წარუმატებლობაზე, პროტესტი მისი წარმოქმნის სივრცეში „ჩაეკეტა" და ამ გზით დაესუსტებინა წინააღმდეგობა.

კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობების დასუსტებისათვის და მათი სამოქმედო არეალის დავიწროებისთვის, ასევე გამოყენებულა პროექტის დანაწევრების მეთოდიც, რომლის პირველადი მიზანი კანონით დადგენილი მოთხოვნებისთვის თავის არიდება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივებაა. თუმცა, ეს სტრატეგია დამატებით მიზნად ისახავს სხვადასხვა სოფლებსა თუ არეალებში მცხოვრები საზოგადოებების წინააღმდეგობების დანაწევრებასაც. ამ შემთხვევაში ერთი პროექტის სხვადასხვა ეპიზოდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თუ მისი განხორციელების პროცესი სხვადასხვა დროს წარიმართება, რის გამოც სხვადასხვა ადგილებში მყოფი საზოგადოებები ვერ ახერხებენ შეკავშირებას და წინააღმდეგობის ერთიანი პროცესის ფორმირებას.

„[პროექტის ეპიზოდებზე მუშაობის პროცესები] სხვადასხვა დროს მიდის ხოლმე. როდესაც ერთი ჯგუფი არის აქტიური და იქ რაღაცა ხდება [და ხელისუფლებისთვის კარგად] არ წავა პროცესი, აჩერებენ ესე, მიაძინებენ პროცესს“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

6. საპოლიციო რეპრესია და სისხლისსამართლებრივი დევნა გარემოსდამცველთა მიმართ

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების ლიდერების, მისი მონაწილეებისა და მხარდამჭერების რეპრესია და დევნა, მათ შორის, საპოლიციო რეპრესია, შევიწროვება, დაშინება, თვალთვალი, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა, უკანონო სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული დაკავებები თუ სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ გამოყენებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია, რაც როგორც წესი, უგულებელყოფის სტრატეგიის მარცხის შემდეგ, სრული სიმძლავრით იწყებს ამოქმედებას. კვლევა ავლენს, რომ პროტესტებზე და მის კონკრეტულ მონაწილეებზე პირდაპირი ზემოქმედების გარდა, საპოლიციო რეპრესიის გამოყენებული ფორმები, ასევე მიზნად ისახავს „მსუსხავი ეფექტის“ გამოწვევას პროტესტის სხვა მონაწილეებისა თუ პოტენციური მხარდამჭერების მიმართ და მიზნად აქვს მათი ჩართულობის შემცირება.

წინააღმდეგობის მონაწილეები რეპრესიის, როგორც ძირითადი ტაქტიკის გამოყენებას, პირდაპირ უკავშირებენ ადგილობრივი საზოგადოების მიერ უგულებელყოფის, მოტყუების, დარწმუნების თუ ილუზორული მოლაპარაკებების პროცესის დასრულების პერიოდს. მათ მეხსიერებაში რეპრესია მძლავრად ჩნდება მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობის საწყის ეტაპზე არსებული სირთულეების მიუხედავად, პროტესტი ახერხებს გააგრძელოს კოლექტიური მობილიზება, აქციებისა თუ შეკრებების ფორმით, რაც ხელისუფლებისთვის მათთან მიმართების ახალი ეტაპის დაწყების საფუძველი ხდება. კვლევა აჩვენებს, რომ ეს გამოცდილება არაერთი წინააღმდეგობის შემთხვევაში მეორდება. ამ პროცესს ამგვარად აღწერს კვლევის ერთ-ერთი მონაწილე:

„[ადგილზე მცირე აქციის ორგანიზების დღიდან] აბსოლუტურად გადის ნებისმიერი უწყება და რჩება მხოლოდ უშიშროება. მაგრამ უშიშროება იმას კი არ აკეთებს, რომ რაღაც არ გაფუჭდეს სახელმწიფოსი, ამიტომ კი არ მოდის უშიშროება, მთლიან პროცესს უშიშროება იღებს იმიტომ, რომ თუ ვინმე ხმას ამოიღებს, ის ხმაამოღებული როგორ გააშავონ, როგორ დააშინონ, როგორ შეზღუდონ, ანუ მთელი პროცესი [პროექტზე] მუშაობის დაწყებიდან დღემდე უშიშროებას უჭირავს აქ. სხვა უწყებები არაფერ შუაში არ არის“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

კვლევა აჩვენებს, რომ გარემოსდამცველთა დევნისა თუ რეპრესირების პროცესში მონაწილეობს მართლმსაჯულების მთლიანი სისტემა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და საერთო სასამართლოების ჩათვლით. რესპონდენტების დაკვირვებით, გარემოსდამცველთა დევნის, შევიწროვების, დაშინების, თვალთვალისა და წინააღმდეგობების დისკრედიტაციის პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხშირად პროექტის განმახორციელებელ კერძო კომპანიებთან სავარაუდო პირდაპირი თანამშრომლობით.

წინამდებარე თავი შეეცდება აღწეროს ის პრაქტიკები და გამოცდილებები, რაც გარემოსდამცველთა რეპრესირების მიზნით მართლმსაჯულების სისტემის მიერ გამოიყენება, ხოლო კვლევის შემდეგი თავები პროტესტებთან მიმართებით უსაფრთხოების სამსახურების ფორმალურ თუ არაფორმალურ მუშაობას შეეხება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპოლიციო რეპრესია და მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან გარემოსდამცველთა დევნის შემთხვევები წამყვან მეთოდად არ იკვეთება ურბანული წინააღმდეგობების შემთხვევაში, რაც არსებითაც განსხვავდება რეგიონებში მიმდინარე გარემოსდაცვითი პროტესტების გამოცდილებისგან.

საპოლიციო რეპრესია და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა

საპოლიციო რეპრესია და შეკრებისა და მანიფესტაციის თუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტია, რომელსაც წინააღმდეგობების სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებული ფორმებითა და ინტენსივობით, კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად, პროტესტის რეპრესირების მიზნით ხელისუფლება მიმართავს.

2020 წლიდან დღემდე, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ გამოყენებული ყველაზე მასშტაბური, ინტენსიური და განმეორებადი საპოლიციო ღონისძიებების პრაქტიკა და მოძრაობის წევრების სისხლისსამართლებრივი დევნა, „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ მოძრაობასა და სოფელ შუქრუთის გარემოსდაცვით წინააღმდეგობებს უკავშირდება. თუმცა, კვლევა აჩვენებს რომ არაპროპორციული საპოლიციო ძალა თუ სისხლისსამართლებრივი დევნა ასევე გამოიყენეს სხვა გარემოსდაცვითი პროტესტების მონაწილეების რეპრესირების მიზნით.

გარემოსდამცველთა შეკრებებისა და მანიფესტაციების უკანონო და დაუსაბუთებელი შეზღუდვა/დაშლა

საპოლიციო რეპრესიის გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს სამართალდამცავი სისტემის მხრიდან გარემოსდაცვითი შინაარსის მქონე შეკრებების უკანონო, დაუსაბუთებელი, არაპროპორციული საპოლიციო ძალის გამოყენებით დაშლის/შეზღუდვის ტენდენცია, რამაც არაერთ შემთხვევაში უხეშად დაარღვია დემონსტრანტების უფლება შეკრებასა და მანიფესტაციაზე. კვლევა აჩვენებს, რომ უფლებაში ამგვარი უხეში ჩარევა გამორიცხავდა უფლებით სათანადო სარგებლობას და ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდიდა პროტესტის მიზნის მიღწევას – აქციის მონაწილეებმა ძირითადი უფლებების რეალიზაციის გზით შეძლონ, ზეგავლენა მოახდინონ პროტესტის ადრესატზე.

მაგალითად, არაპროპორციული საპოლიციო ძალა გამოიყენეს 2020 წლის 14 ნოემბერს, სოფელ ჟონეთში, ნამახვანჰესის წინააღმდეგ გამართული აქციის ძალადობრივი დაშლისას, რაც ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ პროტესტის მონაწილეების შეკრების თავისუფლებაში უკანონო და დაუსაბუთებელ ჩარევად და საპოლიციო რეპრესიის გზით ადგილობრივების პრო-

ტესტის ჩახშობის მცდელობად შეფასდა.[33] ასევე, 2021 წლის 11 აპრილს საპოლიციო რეპრესიას მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტრომ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ მოძრაობის მიერ სოფელ ნამოხვანში გაშლილი კარვების უკანონო და ძალადობრივი დაშლისას, რითაც აქციის მონაწილეებს შეეზღუდათ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის უფლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საპროტესტო კერის/კარვების დაშლის საფუძვლად მითითებული განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგო და არადამაჯერებელი იყო, რაც არ დასტურდებოდა არცერთი ობიექტური მტკიცებულებით.[34]

გარემოსდაცვითი დემონსტრაციების უკანონო დაშლის კვალდაკვალ, მოძრაობების გამოცდილებებში ასევე ვხვდებით საპოლიციო ძალებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების იმგვარი გამოყენების პრაქტიკას, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობის საპოლიციო ძალების მობილიზებას. საპოლიციო ძალების ადგილზე დემონსტრირების ეს ფორმა მიზნად ისახავს შეკრების მონაწილეებში შიშის, უძლურების განცდის გამოწვევას და წინააღმდეგობის შესუსტებას. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალის დემონსტრირების ამგვარ ფორმას 2023 წელს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრისას მიმართა, როდესაც ყაზბეგის რაიონში კამარა ჰესის სკოპინგის ანგარიში განიხილებოდა. საჯარო შეხვედრისას სამინისტროს მიერ დიდი რაოდენობით სპეცდანიშნულების რაზმებისა და საპოლიციო ძალების განლაგებამ ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც საბოლოოდ, საჯარო განხილვის ჩაშლით და კამარა ჰესის პროექტის შეჩერებით დასრულდა.[35]

გარემოსდაცვითი დემონსტრაციების გამართვის ფორმის, ადგილისა და მონაწილეთა გადაადგილების უკანონო შეზღუდვა

საკვლევ პერიოდში ასევე ჩანს სამართალდამცავი სისტემის მიერ გარემოსდაცვითი პროტესტის ფორმის, პროტესტის ადგილისა და მისი მონაწილეების გადაადგილების კონტროლის ტენდენცია, რაც ასევე მოიცავს პროტესტისთვის აუცილებელი ატრიბუტების: კარვების, წვიმისგან თავის დაცვის კონსტრუქციების თუ გენერატორის გამოყენების უკანონო აკრძალვას.

33 ხელმომწერი ორგანიზაციები ეხმაურებიან ნამახვანი ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა აქციის საპოლიციო ძალის გამოყენებით დაშლას, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნოემბერი, 2020.

34 საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს (3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენების ანალიზი), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მაისი, 2021.

35 დაპირისპირება კამარა ჰესის მშენებლობის გამო, Formula News, დეკემბერი, 2023.

ეს მიდგომები სამართალდამცავი სისტემის მიერ არაერთხელ იქნა გამოყენებული „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ მოძრაობის, ასევე სოფელ შუქრუთის გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ, როგორც რაჭა-ლეჩხუმსა და ჭიათურაში, ასევე ამ მოძრაობების მიერ თბილისში გამართული შეკრებებისას. სამართალდამცავი სისტემის მიერ დამკვიდრებული ეს პრაქტიკა, რომელიც უკანასკნელ წლებში არა მხოლოდ გარემოსდაცვითი შინაარსის, არამედ სხვა ტიპის მოთხოვნების თუ წუხილების ირგვლივ ორგანიზებული შეკრებების მიმართაც ინტენსიურად გამოიყენებოდა, არაერთხელ გამხდარა საქართველოს სახალხო დამცველისა და ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი.

მაგალითად, 2021 წლის აპრილის დასაწყისში, რიონის ხეობაში ჰესის სამშენებლო სამუშაოები, კომპანია „ენკა რინიუებლზ“-მა დიდი საპოლიციო ძალების მობილიზების ფონზე განაახლა, რაც ასევე გულისხმობდა ხეობაში შესასვლელი გზების გადაკეტვას და დემონსტრაციის მონაწილეების გადაადგილების უფლების შეზღუდვას. ამ მოვლენას წინ უსწრებდა ხეობაში ნამახვან ჰესის პროექტის ახალი მენეჯერის, მერაბ ლომინაძის პოლიციის თანხლებით მისვლა, რითიც ხელისუფლებამ დაარღვია პროტესტის მონაწილეებისადმი მიცემული პირობა, რომლის თანახმადაც, მათ შეკითხვებზე პასუხების გაცემამდე არ განახლდებოდა ჰესის სამშენებლო სამუშაოები.[36] საქართველოს სახალხო დამცველმა რიონის ხეობაში პოლიციის მიერ ბლოკპოსტების აღმართვისა და აქციის მონაწილეთა გადაადგილების თავისუფლების განგრძობადი შეზღუდვის ფაქტი, შეკრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის ფაქტობრივ ჩამორთმევად შეაფასა. ომბუდსმენი მაშინ უთითებდა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, გადაადგილების შეზღუდვით მოქალაქეებს პრაქტიკულად ჩამოერთვათ შეკრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გაუვრცელებია დასაბუთებული ინფორმაცია იმ რეალური და მყისიერი საფრთხეების შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ხდებოდა უფლებაში ჩარევა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც წინასწარ გაცხადებული იყო მშვიდობიანი შეკრების ჩატარების შესახებ და მისი მონაწილეები არ აჟღერებდნენ ძალადობრივ ზრახვებს”.[37]

36 დაუყოვნებლივ დატოვოს პოლიციამ რიონის ხეობა და შეწყდეს ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2021.

37 სახალხო დამცველი მოუწოდებს შსს-ს არ გამოიყენოს ძალა ნამახვან ჰესის საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, საქართველოს სახალხო დამცველი, აპრილი, 2021.

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების უხეში დარღვევით, პოლიციამ არაერთ შემთხვევაში შეზღუდა პროტესტის მონაწილეების უფლება – კარვის გაშლის ფორმით გაეგრძელებინათ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობა.

მაგალითად, რაჭის ტყეების კერძო კომპანიისთვის გადაცემის საკითხზე მიმდინარე გარემოსდაცვითი პროტესტი, რომელიც ონის მერიის მიმდებარედ კარვების გაშლის ფორმით ცდილობდა შეკრების ორგანიზებას, 2023 წლის 19 ოქტომბერს პოლიციამ უკანონოდ შეზღუდა – აქციის მონაწილეების კარვის, ძალის გამოყენებით დაშლისა და გატაცების გზით.[38] მოძრაობის მიმართ 2023 წლის ნოემბრის თვეში პოლიციამ იგივე მეთოდი გამოიყენა და აქციის მონაწილეებს არ მისცა შესაძლებლობა, ქ. თბილისში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეზოში გაეშალათ კარავი. პოლიციამ აქციის მონაწილეებს მხოლოდ სამინისტროს ეზოს გარეთ მცირე კარვის გაშლის და პოლიეთილენის პარკების გამოყენების უფლება მისცა წვიმისგან თავდასაცავად, თუმცა, ღამის განმავლობაში, პოლიციამ აქციის მონაწილეებს წვიმისგან დასაცავად პლედების გამოყენების შესაძლებლობაც კი შეუზღუდა. სახალხო დამცველმა პოლიციის ქმედება ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის უხეშ დარღვევად შეაფასა, რამდენადაც, მისი აზრით, უკანონოდ და დაუსაბუთებლად შეიზღუდა პროტესტის მონაწილეების უფლება, თავად განესაზღვრათ პროტესტის გამოხატვის ადგილი და ფორმა, რაც გულისხმობს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის კარვების განლაგების უფლებას.[39]

ანალოგიურია, 2024 წელს პარლამენტის წინ გამართული მშვიდობიანი აქციისას სოფელ შუქრუთის მოსახლეობის გამოცდილება, რომელთაც არ მიეცათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ კარავი, საძილე ტომრები და ხანგრძლივი და სტატიკური აქციის ორგანიზებისთვის აუცილებელი სხვა ატრიბუტები.[40] აქციის მონაწილეთა შიმშილობის ფაქტისა და გაუარესებული ამინდის მიუხედავად, პოლიცია მუდმივად აკონტროლებდა კარვისა და აქციისთვის მნიშვნელოვანი სხვა საშუალებების არგამოყენებას, რაც შეკრების მონაწილეთა

38 გაუქმდეს რაჭის ტყეებზე გაცემული სამონადირეო ლიცენზია და უზრუნველყოფილი იყოს პროტესტის მონაწილეთა მშვიდობიანი შეკრების უფლება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ნოემბერი, 2023.

39 სახალხო დამცველი შეკრების მონაწილეებისთვის კარვის გაშლის შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი. ნოემბერი, 2023.

40 სახალხო დამცველი შეკრების მონაწილეებისთვის კარვის გაშლის შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი, სექტემბერი 2024.

რეპრესირების განგრძობად და მძიმე ფორმას წარმოადგენდა და სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით, სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა.[41]

სოფელ შუქრუთის მოსახლეობის მიმართ უპრეცედენტო რეპრესიის მაგალითია კომპანია „მაღაროელის“ (კომპანია „ჯორჯიან მანგანეზთან“ აფილირებული კომპანია) მიერ პროტესტის მონაწილეთა მიმართ წამოწყებული სამართლებრივი დავა და მისი შედეგები.[42]

2024 წლის 8 აგვისტოს კომპანია „მაღაროელმა” მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს და სასამართლოს გზით მოითხოვა პროტესტის მონაწილეთა შეკრების შეზღუდვა (მიმდინარე აქციის მაღაროების შესასვლელებთან აკრძალვა), მათი მტკიცებით, მაღაროების შესასვლელებთან უწყვეტი აქციის ორგანიზება შეუძლებელს ხდიდა მაღაროების ფუნქციონირებას. კომპანია მიუთითებდა, ამ მოქმედებების შედეგად, მისთვის 5.5 მილიონის ლარის მიყენებულ ზარალზე. მიმართვიდან მეორე დღეს, 9 აგვისტოს, რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა, რადგან სარწმუნოდ მიიჩნია მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლომ დაადგინა, რომ შეკრების უფლების შეზღუდვა (ფაქტობრივად აკრძალვა) უარყოფითად არ იმოქმედებდა პროტესტის მონაწილეების სამართლებრივ ინტერესებზე, მიუხედავად იმისა რომ სასამართლომ არ იმსჯელა პროტესტის მონაწილეთა შეკრების და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევის მიზანშეწონილობაზე. მეტიც, 20 აგვისტოს კომპანიამ დამატებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა პროტესტის მონაწილეების მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კომპანიის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ 3 სექტემბერს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების გზით, დააყადაღა 30 ადამიანის უძრავი ქონება (სოფელ შუქრუთსა თუ შუქრუთს გარეთ არსებული),[43] რაც დღემდე ძალაშია.

41 პოლიციის მიერ შუქრუთელების შეკრების უფლების ხელშეშლა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ოქტომბერი, 2024.

42 ეს საქმე თავისხმრივ ე.წ. SLAPP (Strategic Lawsuit Against Public Participation) კატეგორიის საქმეს მიეკუთვნება, რამდენადაც ის პროტესტის მონაწილეებზე ზემოქმედების გზით, გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილეებისა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თვითშეზღუდვას ისახავდა მიზნად.

43 Complaint on the Environmental Defenders from the Village Shukruti Submitted to the Special Rapporteur on Environmental Defenders by Social Justice Center, 2025.

„ყველა ადამიანს აბსოლუტურად პროტესტში მონაწილე ვინც არის, ყველა ქონებაზე ყადაღა გვადევს და ასევე ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ [პროტესტში], დაწყებული 2019 წლიდან დამთავრებული დღევანდელ დღემდე. 12 ადამიანია ეგეთი [რომლებიც] ასევე დააჯარიმა [სასამართლომ] იმიტომ რომ ჩვენი ოჯახის წევრები არიან ესე რო ვთქვათ, დააჯარიმა და მათი ქონებებიც დააყადაღა. ზოგი გათხოვილია, საერთოდ არანაირი შემხებლობა არა აქვთ ამ პროტესტთან, მაგრამ ამათი ქონებებიც დაყადაღებულია“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

ეს საქმე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის დასჯის მძიმე შემთხვევაა, რაც აჩვენებს სოფელ შუქრუთში მიმდინარე პროტესტზე სახელმწიფო სისტემის რეპრესიის სიმძაფრესა და ავლენს ხელისუფლებისა და კერძო კომპანიის ინტერესების გადაჯაჭვულობის მანკიერ პრაქტიკას. ეს შემთხვევა გარემოსდამცველთა რეპრესირების მიზნებისთვის სასამართლო სისტემის გამოყენების, მისი დაქვემდებარებულობის ინდიკატორიცაა. ეს კვლევა ადასტურებს გარემოსდამცველთა მიმართ მართლმსაჯულების უფლების სისტემურ უგულებელყოფას, რაც საერთო სასამართლოების მიერ გარემოსდაცვითი დავების უკიდურეს გაჭიანურებასა თუ გარემოზე ზიანის თავიდან აცილების მიზნით, მხარის მიერ დროებითი ღონისძიების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობაში გამოიხატება.

გარემოსდაცვითი პროტესტებისას არაერთხელ გამოყენებულა პროტესტის ლიდერებისა და მისი მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და დაჯარიმების პრაქტიკა,[44] რაც შეკრების მონაწილეთა უფლებებს ზღუდავდა და დაუსაბუთებელი იყო.[45] ასევე, წინააღმდეგობების მონაწილეები ჰყვებიან, აქციების უკანონო და ძალადობრივი დაშლისას, გარემოსდამცველებისა და აქციების მონაწილეების მიმართ გამოყენებული უხეში ფიზიკური მოპყრობისა და დაზიანებების შემთხვევებზე. პოლიციელთა მხრიდან აგრესიული და უხეში მოპყრობის გარდა, პროტესტის მონაწილეები ასევე აღწერენ „პოლიციის უძლურების“ შემთხვევებს, როდესაც ადგილზე გამოძახებული პო-

44 საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს (3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენების ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მაისი, 2021. გვ. 12-13.

45 რაჭის ტყის დაცვის აქციაზე დაკავებული 11 პირი პატიმრობაში რჩება, New Press, ნოემბერი, 2023.

ლიცია დემონსტრაციულად არ იღებედა შესაბამის ზომებს ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებაში შესული კერძო კომპანიის წარმომადგენლების მიმართ. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიასთან დაკავშირებულ პირებს პირდაპირ აძლევდა უკანონო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, რაც რესპოდენდენტების აზრით, კერძო კომპანიის ინტერესების გატარებისთვის საპოლიციო სისტემის ინსტრუმენტალიზებაზე მიუთითებს.

გარემოსდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნა

გარემოსდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან მომდინარე წნეხი, გარემოსდამცველთა რეპრესირების ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ფორმაა. კვლევა აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი პროტესტების ლიდერებისა და მისი მონაწილეების სისხლისსამართლებრივი დევნის გზით, ხელისუფლება ღიად სჯის გარემოსდამცველებს და დევნის გარემოსდაცვით პროტესტებსა და წინააღმდეგობებს.

სისხლისსამართლებრივი დევნა მშვიდობიან გარემოსდაცვით წინააღმდეგობაში მონაწილეობის გამო

მშვიდობიან გარემოსდაცვით წინააღმდეგობაში მონაწილეობის გამო სისხლისამართლებრივი დევნის შემთხვევა უკავშირდება ჭიათურაში სოფელ შუქრუთში მიმდინარე გარემოსდაცვით პროტესტს, რომლის მონაწილეების, გიორგი ნეფარიძის, რომან მეგრელიშვილისა და მალხაზ ლაბაძის[46] მიმართ 2024 წლის ივლისში საქართველოს პროკურატურამ სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო.[47] პროკურატურამ შუქრუთის მაცხოვრებლებს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით წაუყენა ბრალი, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა. დანაშაული ჯარიმას ან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სასამართლომ სამივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობის გირაო დააკისრა.[48] ადგილობრივები უთითე-

46 რომან მეგრელიშვილი და მალხაზ ლაბაძე ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელმა კომპანიამ 2024 წელს სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლა.

47 სასამართლომ შუქრუთელებს მაღაროებთან პროტესტი აუკრძალა – აქცია ჭორვილაში გადაინაცვლებს, მთის ამბები, აგვისტო, 2024.

48 მოსამართლემ პროტესტის მონაწილეებს აღკვეთა პროკურორის მოთხოვნის გარეშე შეუფარდა, მთის ამბები, აგვისტო, 2024.

ბენ, რომ წინააღმდეგობის მონაწილეები, სოფელ შუქრუთის მაღაროების შესასვლელის სიახლოვეს აქციებს რამდენიმე თვის მანძილზე, სრულიად მშვიდობიანი ფორმით მართავდნენ. სისხლის სამართლებრივი საქმე მიმდინარეა, თუმცა, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მშვიდობიანი ფორმით, საწარმოებისა და ობიექტების სიახლოვეს დემონსტრაციის ორგანიზება, მათ შორის, საწარმოს საქმიანობის შეფერხება, როგორც შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობის თანმდევი ეფექტი, შესაძლოა, უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნებოდეს.[49] სოფელ შუქრუთში მიმდინარე გარემოსდაცვით წინააღმდეგობასთან კავშირში, სისხლის სამართლის კოდექსის იგივე მუხლის (226-ე მუხლი) საფუძველზე 2023 წელს მოხდა სოფელ შუქრუთის მკვიდრის გიორგი ხახიშვილის მსჯავრდება.[50]

გარემოსდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა შემთხვევები

საკვლევ პერიოდში მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან გარემოსდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნის იმგვარ შემთხვევებსაც ვხვდებით, რომლებსაც არ აქვს უშუალო ფაქტობრივი შემხებლობა პირის გარემოსდაცვით დემონსტრაციაში მონაწილეობასთან. საუბარია შემთხვევებზე, როდესაც გარემოსდამცველთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სხვა ფაქტებთან დაკავშირებით იწყება, თუმცა, კვლევაში განხილულ ყველა შემთხვევაში, გარემოსდამცველები მათ მიმართ დაწყებულ სისხლისამართლებრივ დევნას გარემოსდაცვით საქმიანობას უკავშირებენ.

წინა ქვეთავში განხილული 2024 წელს დაწყებული სისხლისასამართლებრივი დევნის გარდა, სოფელ შუქრუთის გარემოსდაცვითი აქციების მონაწილე ორი პირის, მათ შორის, გიორგი ნეფარიძის მიმართ ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტზე 2020 წელსაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. რესპონდენტის მონათხრობის მიხედვით, ღამის 4 საათზე, 30-მდე პოლიციის თანამშრომელი სოფელ შუქრუთში მცხოვრებ 6 ოჯახში, მათ შორის გიორგი ნეფარიძის სახლში შევიდა, რის შედეგადაც ერთი ადამი-

49 სახელმწიფო ცდილობს რეპრესიული გზებით ჩაახშოს ადგილობრივების პროტესტი შუქრუთში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აგვისტო, 2024. Forst, M. (2024) UN Special Rapporteur on Environmental Defenders under the Aarhus Convention, Postion Paper, State Repression of Environmental Protest and Civil Disobedience: A Major Threat to Human Rights and Democracy. pp. 4-6.

50 ხახიშვილმა აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განაცხადით მიმართა, მის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევის მტკიცებით; KHAKHISHVILI v. GEORGIA, Application no. 234/25; https://hudoc.echr.coe.int/?i=001-243097; ბოლოს ნანახია (25.07.2025);

ანი დააკავეს. კვლევის მონაწილე აღნიშნავს, რომ პოლიციის მიერ სოფელში შემოსვლის ეს ფორმა, საგანგებოდ იყო შერჩეული და პროტესტში ჩართულ მოსახლეობაში შიშის გაჩენას ემსახურებოდა. საპოლიციო ღონისძიებისას დაკავებული მოქალაქე მალევე გაათავისუფლეს და მეორე დღეს, დააკავეს შუქრუთში საპროტესტო აქციაზე მყოფი გიორგი ნეფარიძე (რომელიც წინა ღამეს ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების დროს სახლში არ იმყოფებოდა) და მისი თანასოფლელი. გიორგი ნეფარიძის დაკავება ფორმალურად უკავშირდებოდა ჟურნალისტების მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტს, თუმცა, კვლევის რესპონდენტის მიხედვით, დაკავება, რეალურად, გარემოსდაცვით პროტესტში მის მონაწილეობას უკავშირდება. მისი თქმით, აღნიშნულს, პოლიციის შენობაში მასთან საათების განმავლობაში მიმდინარე კომუნიკაცია ადასტურებს, სადაც, მისგან გათავისუფლების სანაცვლოდ წინააღმდეგობის შეწყვეტას მოითხოვდნენ. ნეფარიძემ და მისმა თანასოფლელმა 72 საათი გაატარეს წინასწარი დაკავების იზოლატორში და მოგვიანებით, 3000 (მეორე შემთხვევაში 4000) ლარით განსაზღვრული გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ. ამ საქმეზე გიორგი ნეფარიძის მიმართ 2023 წელს გამამართლებელი განაჩენი დადგა.

„72 საათი ვიყავი დაკავებული და იქ დამლაგებელი რომ დამლაგებელია რომ მოდიოდა ჩემს კამერასთან, ისიც კი მეუბნებოდა, მიეცი კომპანიას მუშაობის შესაძლებლობა და დღესვე გაგიშვებენ აქედან...საბოლოოდ 28 სასამართლო პროცესის ჩატარების შემდგომ, მტკიცებულებების არარსებობის გამო დადგა ჩემზე გამამართლებელი განაჩენი“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

სოფელ შუქრუთის წინააღმდეგობის ლიდერი გიორგი ნეფარიძე ამ კვლევის გამოცემის მომენტში დაკავებულია – მის მიმართ დაწყებული მესამე სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში. გიორგი ნეფარიძე 2025 წლის აპრილში საპროტესტო კარავში დააკავეს და დღემდე წინასწარ პატიმრობაშია ჭიათურაში მიმდინარე შრომით და გარემოსდაცვით დემონსტრაციებში მონაწილე სამ პირთან, მერაბ სარალიძესთან, არჩილ ჭუმბურიძესთან და თენგიზ გველესიანთან ერთად. მათ შუქრუთის მაღაროს დირექტორის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას ედავებიან.[51]

51 ჭიათურაში მაღაროელების აქციის 4 მონაწილე დააკავეს, მთის ამბები, აპრილი, 2025.

სისხლისსამართლებრივ დევნას მის საქმიანობას უკავშირებს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე, რომლის მიმართაც გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის პროცესში, საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა, ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ ძალადობის მუხლით დაიწყო. კვლევის მონაწილე ამბობს, რომ ერთ პირთან მის არაძალადობრივ კონფლიქტს, ძალადობის კვალიფიციკაცია განზრახ მიანიჭა პროკურატურამ და საბოლოოდ, საქმე ორზე მეტ პირზე ძალადობის მუხლით აღძრა, რაც ფაქტობრივ მოცემულობასაც კი არ შეესაბამებოდა. ბრალის ამგვარი დამძიმება მის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენების საფრთხეს ქმნიდა, რის გამოც ის იძულებული გახდა ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია.

„პროექტის დაწყებიდან ორი წლის თავზე, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ჩემზე, დამაბრალეს, რომ ორი [პირი] ვცემე..ბოლოს ყველაფერი ვქენი იმისთვის რომ..ყველაფერი ვაღიარე..მოსამართლეს ისიც კი ვუთხარი კენედიც მე მოვკალი- მეთქი ბატონო მოსამართლე..სულ ყველა ვცემე-მეთქი, ვისაც აქვს დაწერილი მაგ ფურცელზე რომ ვცემე, ყველა ვცემე-მეთქი. ორია, ოთხია, ყველა ვცემე- მეთქი...ბოლოს იმ ზომამდე მივედი რა... იმიტომ, რომ ვეღარ უძლებდა განსაკუთრებით დედაჩემი ამ სიტუაციას.“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

რესპონდენტი ამბობს, რომ მისთვის მძიმე და დამღლელ ტვირთად იქცა საქმის წარმოებისას გამართული გამოკითხვები თუ სასამართლო პროცესები. მისი თქმით, სისხლისსამართლებრივმა დევნამ და დაუსრულებელმა სამართლებრივმა პროცესმა, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გავლენა იქონია მის გარემოსდაცვით აქტიურობაზე.

„მე კვირას ისე არ გავუშვებდი ადგილზე არ მენახა ობიექტი. სად მუშაობდნენ, როგორ მუშაობდნენ ანუ რა ჩამოანგრიეს, რა დაანგრიეს..მე ინტერესი მქონდა გარემოზე როგორ ზემოქმედებდნენ, რა გაჭრეს, რა მოჭრეს..ამის მერე მე ფიზიკურად დრო არ მქონდა, კვირაში ერთხელ ან გამომძიებელთან ვიჯექი ან პროკურორთან ვიჯექი“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

გარემოსდაცვითი პროტესტის მონაწილის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის შემთხვევაა სოფელ ბალდის მცხოვრები ინდიკო ბჟალავას მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი საქმეც. ინდიკო ბჟალავა 2024 წლის 12 ივნისს, საპროტესტო კარავზე შეიარაღებული პირების თავდასხმის დღეს, პოლიციამ დააკავა კომპანიასთან დაკავშირებული პირის მეუღლის მიმართ მუქარის ბრალდებით.[52] ინდიკო ბჟალავამ წინასწარ პატიმრობაში რამდენიმე თვე გაატარა და ის 19 სექტემბერს სენაკის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა. სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში ინდიკო ბჟალავას ინტერესებს იცავს, „საქმეში არსებული გარემოებებით და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ ინდიკო ბჟალავას ხსენებული დანაშაული არ ჩაუდენია".[53] სასამართლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს თვეებში გამოიტანს.

ბალდის წინააღმდეგობასთან კავშირში მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან მომდინარე დამატებით წნეხზე საუბრობს კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც აღწერს წინააღმდეგობის მონაწილეების პოლიციის განყოფილებაში დაბარების და გამოკითხვის ათეულობით შემთხვევას, რაც კომპანიის წარმომადგენლების ან მასთან დაკავშირებული პირების მიერ პოლიციაში მათ წინააღმდეგ წარდგენილ აბსურდულ განცხადებებს უკავშირდება. რესპოდენტი უთითებს, რომ ამ პრაქტიკით, კომპანია და სახელმწიფო ერთობლივად ცდილობენ მუდმივი წნეხი შექმნან წინააღმდეგობის მონაწილეებზე, რასაც რესპონდენტი „დაღლის სტრატეგიას" უწოდებს და პროტესტის დასუსტების ამოცანებით ხსნის.

„[კომპანიის თანამშრომელი] მიდის პოლიციაში და წერს საჩივარს. მერე ამაზე მიძახებენ.. .უნდა მიხვიდე, სხვა გზა არ არის. როგორი აბსურდულიც არ უნდა იყოს. პოლიციამაც კი იცის ეს, მაგრამ უნდა მიხვიდე. საქმეს ვერ იწყებენ, მაგრამ გაწუხებენ. თავიდან იყო ძირითადად ჩემზე დაწოლა, მე მარბენინებდნენ პოლიციაში. სადღაც რვა მახსოვს, დათვლილი მაქვს თავიდან, როცა მარტო მივდიოდი და მერე უკვე ყველას დაბარებები რომ დაგვიწყეს, იქ შევწყვიტე თვლა".

(გარემოსდაცითი წინააღმდეგობის მონაწილე)

52 პოლიციამ ბალდის კანიონზე მშენებლობის მოწინააღმდეგე დააკავა, რადიო თავისუფლება. ივნისი, 2024.

53 სოციალური სამართლიანობის ცენტრი ინდიკო ბჟალავას გათავისუფლებას ეხმაურება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სექტემბერი 2024.

აქტიურ გარემოსდაცვით საქმიანობას უკავშირებს მის მიმართ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სეისმოლოგი თეა გოდოლაძე, რომელიც ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკისა თუ არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის მიმართ წლების მანძილზე მწვავე და კრიტიკულ მოსაზრებებს ხმამაღლა აფიქსირებდა. მან 2022 წელს პარტნიორის მხრიდან მასზე თავდასხმის გამო, თავად მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ოჯახში ძალადობის საქმეზე დაზარალებულად ცნობა მოითხოვა. თუმცა, ამავე საქმის ფარგლებში ის თავად გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი, რასაც ის ნამახვანჰესთან და მოგვიანებით, შოვში მომხდარ ტრაგედიასთან კავშირში, მის ღიად გამოხატულ კრიტიკულ პოზიციებს უკავშირებს. თეა გოდოლაძემ ამ საქმეზე უკანონო მსჯავრდებისა და საპატიმრო სასჯელის დაკისრების მოლოდინის გამო, რამდენიმე თვის წინ დატოვა ქვეყანა.[54] მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, თეა გოდოლაძის წინააღმდეგ მიდიოდა უწყვეტი პროფესიული და პერსონალური დისკრედიტაციის კამპანია, რომელშიც ე.წ. „სამთავრობო მედიებთან“ ერთად, ქვეყნის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებიც მონაწილეონდნენ (ამ საკითხს ვრცლად კვლევის შემდეგი თავი შეეხება).

სოფელ შქმერისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში (ხადას ხეობაში საავტომობილო გზის პროექტთან) მიმდინარე გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილეები, მათი თანასოფლელების სისხლისსამართლებრივი დევნის სხვაგვარ შემთხვევებსაც აღწერენ, რაც მიწის უკანონოდ რეგისტრაციის ფაქტებზე დაწყებულ საქმეებს გულისხმობს. ეს გამოცდილება სოფელ შქმერის და სხვა სოფლების მაგალითზე, განვითარების პროექტებთან კავშირში მიწაზე საკუთრების უფლების კრიმინალიზების აღწერილ ტენდენციას უკავშირდება.[55]

კვლევა აჩვენებს, რომ სოფელ შქმერში, წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის არეალის ფარგლებში მოქცეულ მიწებზე, მათი უკანონოდ რეგისტრაციის საფუძვლით, რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო.[56] შქმერის პროტესტის მონაწილე ასე იხსნებს ამ შემთხვევებს:

54 თეა გოდოლაძემ ქვეყანა დატოვა, ნეტგაზეთი, იანვარი, 2025.

55 ქეთი გუჯარაიძე, ამნისტია – ჰუმანური აქტი თუ მიწის მიტაცება?, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისის ოფისი, სამხრეთ კავკასია. თბილისი, 2024. (https://ge.boell.org/ka/2024/01/31/amnistia-humanuri-akti-tu-micis-mitatseba; (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

56 შქმერში მანგანუმის მოპოვება სურთ – გაიზიარებს თუ არა ზემო რაჭა ჭიათურის ბედს, მთის ამბები, ივლისი 2021. როგორ მოიპოვებენ მანგანუმს შქმერში შქმერელების ნების წინააღმდეგ — დეტალურად, ნეტგაზეთი, ნოემბერი 2021.

„[სოფელში] დამხვდა უფრო მეტი ინფორმაცია 14 ოჯახის შესახებ, რომელსაც პროკურატურის მიერ ჩამოერთვა მიწები, მიესაჯათ პირობითი მსჯავრები, სხვადასხვა სახის სანქციები, ფინანსური სანქციები დაუწესდათ, თითქოს მათ თაღლითური წესით მოახდინეს ნაკვეთების გაფორმება, ამ ნაკვეთების უმრავლესობა იყო ძირძველი წინაპრების, ეს შეუძლია დაადასტუროს სოფლის ძალიან ბევრმა ხანდაზმულმა მცხოვრებმა, რომ არანაირ თაღლითობას არ ჰქონია ადგილი… უბრალოდ, ადამიანები აღმოჩნდნენ მიტოვებულები სახელმწიფოს მიერ და ზეწოლის ქვეშ".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„როდესაც საქმე ეხება კონკრეტულად მიწას, მიწის საკითხებს..[სახელმწიფო] ახდენს მათ კრიმინალიზებას და კრიმინალური პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვს მიწის დათმობას.. დაიჭირეს ადამიანები, კრიმინალური პასუხისმგებლობა დააყენეს ამ ადამიანების. მერე მიიღეს კანონი, მოახდინეს ამნისტია. ამნისტიის პირობაში ჩადეს, რომ ამნისტირებული იქნები იმ შემთხვევაში თუ მიწას დათმობ ან გადაიხდი ამ მიწის სანაცვლოდ. ეს არის პირდაპირი იარაღი ადამიანების წინააღმდეგობის ჩასახშობად".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი, გარემოსდამცველი)

7. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დისკრედიტაცია, მარგინალიზაცია და გარემოსდამცველთა სოციალური იზოლაცია

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მიმართ სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს პროტესტების დისკრედიტაცია და მარგინალიზაცია. კვლევა აჩვენებს, რომ ეს ინსტრუმენტი 2020 წლიდან მიმდინარე თითქმის ყველა გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის შემთხვევაში არის გამოყენებული და მიემართება, როგორც თავად მოძრაობების შინაარსებსა და ამოცანებს, ასევე მოძრაობის ლიდერებს, მის წევრებს, მხარდამჭერ სამოქალაქო თუ მედია ორგანიზაციებს, ექსპერტებსა და მეცნიერებს. წინააღმდეგობების ან მათი წევრების დისკრედიტაცია სხვადასხვა დროს იწყება. ზოგიერთ შემთხვევებში ის მოძრაობების საწყის ეტაპზევე ჩნდება და პროტესტის მთელ პროცესს გასდევს. თუმცა, მისი ინტენსიურად გამოყენება უმეტესად უკავშირდება პროტესტის განვითარებისა და გაძლიერების ფაზებს, როდესაც ხელისუფლებისთვის ცხადი ხდება რომ მოძრაობამ გაარღვია ადგილობრივი საინფორმაციო საზღვრები ან გაუმკლავდა მის წინააღმდეგ მიმართულ უგულებელყოფის, რეპრესიისა თუ ზეწოლის სხვადასხვა მეთოდს.

წინააღმდეგობებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დისკრედიტაციის მიზნით შექმნილი პოლიტიკური დისკურსი და საინფორმაციო ველი სხვადასხვა წყაროებით, გზებით, ფორმებითა და მნიშვნელობებით იწარმოება. ერთი მხრივ, სახეზეა გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების და მათი ამოცანების დისკრედიტაციის ოფიციალური სახელისუფლებო ნარატივი, რომელიც საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულად კონსოლიდირდება და ახალ ფორმებს იძენს. მეორე მხრივ, სახეზეა საინფორმაციო ველში წარმოებული დისკრედიტაციული ნარატივები და დეზინფორმაცია, რომელიც ხშირად კონკრეტულ გარემოსდაცვით წინააღმდეგობებთან მიმართებით „საინფორმაციო ომის" ფორმას იღებს, ეყრდნობა და აფართოებს სახელისუფლებო ნარატივს და მას საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გავლით, მასშტაბურად აწარმოებს.

ნიშანდობლივია, რომ დისკრედიტაცია, გარემოსდამცველთა ინდივიდუალური მარგინალიზაცია და სოციალური იზოლაცია ჩანს როგორც ურბანული, ისე რურალური წინააღმდეგობების შემთხვევაში. თუმცა, ის გაცილებით ინტენსიურია რეგიონებში მიმდინარე პროტესტებისა და იმ მოძრაობების მიმართ, რომელთაც მოახერხეს და კონკრეტული გარემოსდაცვითი საკითხი საერთო საზოგადოებრივ დღის წესრიგში შემოიტანეს.

გარემოსდამცველთა დისკრედიტაციის სახელისუფლებო ნარატივი

გარემოსდამცველთა დისკრედიტაციისთვის შექმნილი პოლიტიკური დისკურსი, რომელიც უშუალოდ ოფიციალური საჯარო პირებისა თუ სახელმწიფო ინსტიტუტების გავლით იქმნება, საანგარიშო პერიოდში ახალ შინაარსებს და მასშტაბებს იძენს. 2020 წლიდან გარემოსდამცველთა მიმართ გამოყენებული ამგვარი მადისკრედიტირებელი ნარატივები, როგორც წესი, რამდენიმე ცნების/იმიჯის ირგვლივ აიგებოდა. ამდენად, შესაძლებელია მათი დაჯგუფება შინაარსის მიხედვით.

გარემოსდაცვითი პროტესტების „განვითარების მოწინააღმდეგედ", „ჩამორჩენილად" მონიშვნა

ხელისუფლების მიერ 2020 წლამდეც და მის შემდეგაც ფართოდ გამოყენებული შინაარსი წინააღმდეგობაში ჩართული ჯგუფების „ჩამორჩენილებად", „განვითარების მოწინააღმდეგედ",[57] „შესაბამისი ცნობიერების თუ განათლების არმქონედ" მონიშვნას გულისხმობს. ეს მიდგომა ნაკლებად ჩანს ურბანული წინააღმდეგობების შემთხვევაში. საპირისპიროდ, მის გამოყენებას ხშირად ვხვდებით იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც რეგიონებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების კანონიერებასა და მიზანშეწონილობას უსვამენ კითხვებს და რომელთაც, უმეტესად, მარგინალურობა და პერიფერიულობა მიეწერებათ.[58] საინტერესოა, რომ პროტესტების მიმართ ამ სახელდებების გამოყენება იმ შემთხვევებშიც კი ძლიერია, როდესაც წინააღმდეგობები სახელმწიფოს დემოკრატიულ ჩარჩოში დაბრუნების, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნებიდან ამოდიან.

მოძრაობის „რიონის ხეობის გადარჩენისთვის" მიმართ ხშირად იყენებდნენ „ჰომოფობიისა" და „ქსენოფობიის" სახელდებებს, რაც, როგორც მეინსტრიმული და სოციალური მედიის, ისე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების საჯარო განცხადებების გავლით იქმნებოდა.[59]

57 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები, შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები, 2017, გვ.172-173. https://socialjustice.org.ge/ka/products/kvleva-tsinaaghmdegobis-politika-gamotsdileba-da-perspektivebi#; (ბოლოს ნანახია 27.03.2025);

58 ლელა რეხვიაშვილი, რიონის ხეობის ბრძოლა, პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ველში: სადავო ინფრასტრუქტურები და განვითარების პოლიტიკა, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2022, გვ. 48-52. https://ge.boell.org/sites/default/files/2022-12/rioni_valley_struggle.pdf; (ბოლოს ნანახია 27.03.2025);

59 თურნავას თქმით, ნამახვანჰესის ინვესტორის მიმართ ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებები ისმის, On.ge, მარტი, 2021.

„[მიზანი იყო] მარგინალებად რომ შეერაცხათ...ანუ წარმოჩენილიყო ჯგუფად, რომელიც აბსოლუტურად ვერაფერს ვერ ხვდება, არის ველური, არ შეიძლება ამათ აზრი ჰქონდეთ ისეთ მასშტაბურ პროექტზე როგორიც ნამახვანია...ამის პარალელურად სულ იყო განვითარების მოწინააღმდეგეების [იარლიყი]".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

მადისკრედიტირებელი ნარატივი გარემოსდამცველთა ეროვნული ინტერესებისა და ენერგოდამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ იმ გარემოსდაცვითი მოძრაობებისა თუ ორგანიზაციების მიმართ, რომელთა პროტესტი დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას ან სხვა დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მიემართებოდა, 2020 წლამდეც ხდებოდა „ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფის" იარლიყის გამოყენება. ამგვარად იხსნებს 2020 წლამდე გამოცდილებას ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი:

„სახელმწიფოს ჰქონდა რეალურად ორი მესიჯი, რის პროპაგანდასაც ეწეოდა. ძირითადი ეს იყო ენერგოუსაფრთხოების ნაწილი, რომ არიან რაღაცა ჯგუფები, რომლებიც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას ებრძვიან...მაშინ რუსებს ძაან თამამად ახსენებდნენ ხოლმე, ანუ ესენი [გარემოსდამცველები] არიან რუსეთის აგენტები, რუსები დგანან ამათ უკან, ებრძვიან ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას და უნდათ რუსული დამოკიდებულება და რუსული გავლენები".

საკვლევ პერიოდში მნიშვნელოვნად ძლიერდება ეს დისკურსი, რაც გარემოსდაცვით მოძრაობებსა და მათ მხარდამჭერ უფლებადაცვით ორგანიზაციებს „ეროვნული ინტერესების", „ქვეყნის სუვერენიტეტის", „ენერგეტიკული დამოუკიდებლობის", „ენერგეტიკული უსაფრთხოების" საფრთხედ მონიშნავს.[60]

60 ნამახვაჰესის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები კომპანიისა და სახელმწიფოს მხრიდან ცილისმწამებლურ კამპანიას ეხმიანებიან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2021.

„ენერგოდამოუკიდებლობა [ამ ნარატივის წარმოება] მერე დაიწყო. ქსენოფობიით და ჰომოფობიით ვეღარ ახერხებდნენ [დისკრედიტაციას]. იმიტომ რომ ამ მსჯელობებმა სხვადასხვა შრეებში რომ შეაღწია, აღარ იყო საკმარისი [ეგეთი] ლოზუნგები. ვეღარ აკმაყოფილებდა [დისკრედიტაციის მიზნებს].

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

მეტიც, 2021 წელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამსახური ნამახვანჰესის მშენებლობასთან კავშირში გაჩენილ წინააღმდეგობაზე, მისი პირდაპირი სახელდების გარეშე, თუმცა, ცხადად მასზე აპელირებით, რბილი ძალისა და ფარული ოპერაციების ქვეთავში მსჯელობს და მის საქმიანობას ეროვნული უსაფრთხოებისთვის გამოწვევად ასახელებს: *„2021 წელს ერთ-ერთ ასეთ საკითხად გამოიკვეთა საქართველოში ჰიდროელექტოსადგურების მშენებლობა, რომლის თობაზე მოსახლეობის პოლარიზების აქტიურ მცდელობებს გარე აქტორების მხრიდან სხვადასხვა წლებშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. დაინტერესებულმა ძალებმა საკითხის კრიტიკულ ნიშნულამდე გასამწვავებლად აქტიურად გამოიყენეს დეზინფორმაცია-პროპაგანდის, ფარული ოპერაციებისა და ე.წ. რბილი ძალის ინტრუმენტები. აღნიშნული პროცესები ცალსახად გასცდა თვითორგანიზებულ სამოქალაქო პროტესტს და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას".*[61]

ხელისუფლების მიერ გაცხადებული ამგვარი მიდგომა აძლიერებს გარემოსდაცვითი მოძრაობებისა და ორგანიზაციებისადმი უსაფრთხოების მზერის გამოყენებას და სოციალური მოძრაობების მიმართ უსაფრთხოების პარადიგმის ლეგიტიმიაციასა და კონსოლიდაციაზე მიუთითებს.

მოძრაობებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების „უცხო ქვეყნის აგენტად" და „მტრად" მონიშვნა

მესამე და მნიშვნელოვანი დისკრედიტაციის ხაზი გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის მებრძოლი ჯგუფების და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების „უცხო ქვეყნის აგენტად" და „მტრად" შერაცხვას გულისხმობს, რაც

61 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2021, თბილისი, გვ. 25. https://ssg.gov.ge/page/info/reports; (ბოლოს ნანახია 27.03.2025);

პირდაპირ უკავშირდება უკანასკნელ წლებში ავტორიტარიზმის გაძლიერების ტენდენციას. ეს მიდგომა სამიზნედ აქცევს დასავლური სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებულ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს და მათ „აგენტის", „უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლის" სახელწოდების ქვეშ აერთიანებს. ეს პოლიტიკური დისკურსი და მისი თანმდევი სამთავრობო რიტორიკა, ქვეყანაში მოქმედ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, გამოკვეთილ ადრესატად გარემოსდაცვით ორგანიზაციებსა და მოძრაობებს ნიშნავდა. 2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ", ე.წ. „აგენტების კანონის" იგივე „რუსული კანონის" მიღების საჭიროების დასაბუთებისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს, ის სახალხო პროტესტები და უფლებადამცველი ორგანიზაციები წარმოადგენდა, რომლებიც გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის უკანასკნელ წლებში აქტიურ წინააღმდეგობაში იყვნენ ჩართულნი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებით, *„კონკრეტული „ენჯეოები" იყვნენ ჩართული სტრატეგიული ეკონომიკური პროექტების ჩაგდებაში, რის გამოც უკვე მიადგა ზიანი ჩვენი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესს. კონკრეტული „ენჯეოები" იყვნენ აქაც ჩართული. აქაც მგონია, რომ ყოფილიყო კანონი „გამჭვირვალობის შესახებ", „ენჯეოებს" გაუჭირდებოდათ, ასე თავხედურად ემოქმედათ ჩვენი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგ".*[62]

„უამრავი სხვა შტურმი იყო მაღალი თანამდებობის პირებისგან, მათ შორის კალაძისგან, რომ ეს კრიმინალური დაჯგუფებაა – ჩვენზე. ეს დაჯგუფებაა, რომელიც ენერგოუსაფრთხოებას ებრძვის, ესენი რუსულ ინტერესებს ატარებენ, სანამდე რუსეთის ხსენება შეეძლოთ, მანამდე რუსულ ინტერესებს ვატარებდით, ანუ ესეთი ეპითეტები სულ იყო, რომ ჩვენ ვართ ქვეყნის მტრები, რომ ჩვენ პატარა ჯგუფი ვართ და ვებრძვით ქვეყნის განვითარებას, იყო მუდმივად…[ე.წ. „აგენტების კანონის" მიღების შემდეგ] ეს უკვე…პიარკამპანია შენს წინაამღდეგ აღარ არის, უკვე ძალიან კონკრეტულია როდესაც შენ ქვეყნის მტრად გააცხადებენ.. ამას სხვა შედეგები ექნება".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

62 ირაკლი კობახიძე – კონკრეტული „ენჯეოები" ჩართული იყვნენ ეკონომიკური პროექტების ჩაგდებაში, რომ ემოქმედა გამჭვირვალობის კანონს, გაუჭირდებოდათ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, პირველი არხი, აპრილი, 2024.

კოორდინირებული დისკრედიტაცია და მარგინალიზაცია

გარემოსდაცვითი პროტესტების წინააღმდეგ დისკრედიტაციას უმეტესად კამპანიური, კოორდინირებული ფორმა აქვს, რომლის სიმძლავრე და ინტენსივობა, დისკრედიტაციის ამოცანებსა და სამიზნეებზეა დამოკიდებული. საინტერესოა, რომ მიუხედავად საერთო ტენდენციების არსებობისა თუ ცნებებისა, რომელსაც ეყრდნობიან მადისკრედიტირებელი კამპანიები, ჩანს, რომ ამ შინაარსების შერჩევა ყველა მოძრაობის თუ გარემოსდამცველის მიმართ ინდივიდუალურად ხდება. ეს აჩვენებს ხელისუფლების და მასთან დაკავშირებული კერძო აქტორების მიერ გაწეულ ძალისხმევას დისკრედიტაციის მიზნების მიღწევაში, რომელიც ითვალისწინებს პროტესტის გაშლის არეალს თუ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც წარმოიქმნა ან ვრცელდება წინააღმდეგობა. პროტესტების დისკრედიტაციის პროცესს, როგორც წესი, თან გასდევს საინფორმაციო ველში შექმნილი დადებითი ნარატივი იმ პროექტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რასაც პროტესტი აკრიტიკებს.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღწერენ კვლევის მონაწილეები უარყოფითი საინფორმაციო შინაარსების წარმოების ინფრასტრუქტურას. გარდა თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან მომდინარე დისკრედიტაციასა, კვლევა აჩვენებს კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ სამუშაოს, რომელშიც კვლევის მონაწილეების დაკვირვებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები და მათთან დაკავშირებული სუბიექტები არიან ჩართული. ამ პროცესში, პირდაპირ და ზოგჯერ წამყვან როლს ასრულებენ პროექტების განმახორციელებული კერძო კომპანიები და მათი წარმომადგენლები, ასევე ფინანსური ინტერესების მქონე ჯგუფები, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციების, ექსპერტებისა თუ მეცნიერების სტატუსით პოზიციონირებენ, თუმცა, კერძო ინტერესს ატარებენ და რეალურად, ხელისუფლებისა და კომპანიების პოზიციებს წარმოადგენენ. რესპონდენტები, წინააღმდეგობებისა და მისი წევრების ადგილობრივ საზოგადოებებში დისკრედიტაციის მიზნით წარმოებულ სამუშაოებში, პირდაპირ ხედავენ ადგილობრივი უწყებების, კერძო კომპანიებისა და განსაკუთრებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების, ხშირად, კოორდინირებული და ერთობლივი მუშაობის კვალს.

რესპონდენტებთან ინტერვიუები ასევე აღწერს დისკრედიტაციის პროცესში ე.წ „სამთავრობო მედიისა" და სოციალური მედიის მნიშვნელოვან გამოყენებას. ამ გზებით დეზინფორმაცია ინტენსიურად ვრცელდებოდა შედარებით დიდ პროექტებთან თუ დიდი ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებებთან მიმართებით

დაწყებული შედარებით მძლავრი პროტესტების დროს.[63] მასშტაბური მადისკრედიტირებელი თუ დეზინფორმაციის გამავრცელებელი საინფორმაციო ველის შესაქმნელად „სამთავრობო მედიის" პარალელურად, გამოიყენებოდა ციფრული მედია, როგორც საეჭვო რეპუტაციის ონლაინ გამოცემების, ასევე სოციალური მედიაში შექმნილი ყალბი გვერდების შექმნის გზით. რესპონდენტთა თქმით, ამ გვერდების ნაწილი თავს მოძრაობის მხარდამჭერად აცხადებდა და პროტესტთან თვითაფილირებისა და საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების კვალდაკვალ, შეფარულად ცდილობდა ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.[64]

კვლევა ცხადყოფს, რომ სოციალურ ქსელებში ინფორმაციის მიმოცვლა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დეზინფორმაციის სრულიად უკონტროლო და ინტენსიურ გავრცელებაში. ეს ამოცანა ყალბი სოციალური გვერდების შექმნის გარდა, ასევე მიიღწეოდა ყალბი პერსონალური ანგარიშების ე.წ. ტროლების და ბოტების კოორდინირებული და ინტენსიური მუშაობით. რესპონდენტები უთითებენ მათ ეჭვებს ცალკეული სოციალური ქსელების ანგარიშების უსაფრთხოების სამსახურების თუ კერძო კომპანიების მხრიდან მართულობასთან დაკავშირებით. ამასთან, მათთვის ცხადია საეჭვო სუბიექტების მხრიდან ნეგატიური ნარატივების გავრცელების დაგეგმილი და კოორდინირებული ბუნება.

დეზინფორმაციის გავრცელება და დისკრედიტაცია ნაკლებად მასშტაბური, უფრო წერტილოვანი ფორმით გამოიყენებდა ქალაქებში წარმოქმნილი ურბანული ტიპის მოძრაობების შემთხვევაში. რესპონდენტები ამ მოვლენას ხელისუფლების მხრიდან მათი პროტესტის „ნაკლებ საფრთხედ" დანახვას უკავშირებენ.

ორმაგი დისკრედიტაციისა და არეალით შემოსაზღვრული დისკრედიტაციის სტრატეგია

დისკრედიტაციას ორმაგი ბუნება ჰქონდა იმ მოძრაობებთან კავშირში, რომელთა შესახებ ინფორმაციამ თუ საპასუხო მხარდაჭერამ ბევრ სოციალურ შრეში შეაღწია. დისკრედიტაციის ეს ფორმა გულისხმობს ერთი და იმავე წინააღმდეგობის შესახებ სრულიად განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ნარატივების გავრცელებას, რომლებიც სხვადასხვა ადრესატს – განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს მიემართება.

63 ''ქართული იდეის'' კოორდინირებული ქსელი Facebook-ზე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ივნისი, 2021.

64 ვინ და რატომ გიმტკიცებთ, რომ ვარლამ გოლეთიანი დავით აღმაშენებელია? რადიო თავისუფლება, ივნისი, 2021.

მაგალითად, ორმაგი მარგინალიზების სტრატეგია, რომელიც რამდენიმე დიდი პროტესტის შემთხვევაში გამოიყენეს, შესაძლოა, გარემოსდაცვით წინააღმდეგობას ნიშნავდეს, ერთი მხრივ, განვითარების მოწინააღმდეგე ჯგუფად, რომელიც ქვეყნის ეროვნული ამოცანების დასუსტებისთვის უცხო ქვეყნის ინტერესების ქვეშ მოქმედებს (აქ როგორც წესი რუსეთის ფედერაცია მოიაზრებოდა). მეორე მხრივ, ამავე მოძრაობასთან კავშირში პარალელური საინფორმაცია ველი, შესაძლოა, გაჯერებული იყოს ნარატივით, რომელიც გარემოსადაცვით წინააღმდეგობას დასავლური ფონდებიდან ან მათგან დაფინანსებული ორგანიზაციების მხარდაჭერილად ნიშნავს და ამ გზით ცდილობდეს მის დისკრედიტაციას. ორივე შემთხვევაში, დისკრედიტაციის სამიზნედ სოციალურად თუ კულტურულად განსხვავებული აუდიტორებია შერჩეული, რაც ხსნის მის წინააღმდეგობრივ ბუნებას.

კვლევა ასევე ავლენს ორმაგი დისკრედიტაციის ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროტესტის მიმართ გამოყენებული ურთიერთგამომრიცხავი სახელდებები სხვადასხვა სივრცობრივ ველს, ადგილობრივსა და ეროვნულს მიემართება. კერძოდ, შესაძლოა, პროპაგანდისტული ნარატივი მოძრაობის შესახებ, რომელიც ფართოდ ხელმისაწვდომი სოციალური ჯგუფების თუ გვერდების გავლით იქმნება, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ პროპაგანდისტული შინაარსისგან, რომელიც მოძრაობის შესახებ რეგიონთან, კონკრეტულ ქალაქთან თუ ადგილთან დაკავშირებულ სოციალურ ქსელებში თუ სოციალურ სივრცეებში ჩნდება.

კერძოდ, იმ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების შემთხვევაში, რომელთა გაშლის არეალი ლოკალურია, მათი საპასუხო დისკრედიტაცია მკაცრად ამ სივრცულ ფარგლებს მიყვება, რაც გარდა იმისა, რომ კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიაზე მუშაობს, ასევე აზღვევს იმას, რომ ამ პროპაგანდისტულმა შინაარსმა უნებურად არ გააფართოვოს ცოდნა წინააღმდეგობის შესახებ. ამის მაგალითია, სოფელ ბალდის წინააღმდეგ მიმდინარე დისკრედიტაციის კამპანია, რომელიც უმეტესად რეგიონული მნიშვნელობის ციფრულ პლატფორმებს მოიცავს და სოფელ ბალდის პროტესტის ინტენსიური დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

დისკრედიტაციული შინაარსის გავრცელების ფარგლების შეზღუდვაზე საუბრობენ ასევე თბილისში საჯარო სივრცეების დასაცავად შექმნილი გარემოსდაცვითი მოძრაობების წევრები. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ასეთი შემთხვევები არა ფართოდ მისაწვდომ სოციალურ ანგარიშებს, არამედ ლოკალურად, უშუალოდ მათი მოძრაობის გვერდებზე ან მოძრაობასთან დაკავშირებულ სოციალური მედიის ჯგუფებს უკავშირდება, რაც ასევე გულისხმობს პროტესტის შესახებ თუნდაც ნეგატიური შინაარსის ინფორმაციის გავრცელების არეალის კონტროლს. თუმცა,

მათი თქმით, პროტესტების შინაარსთან და მიზნებთან დაკავშირებული დისკრედიტაციის ფორმები მათ შემთხვევაში იშვიათად ყოფილა გამოყენებული. ურბანული მოძრაობების გამოცდილებაში, მეტად გამოყენებად ფორმად იკვეთება პროტესტის ლიდერების თუ მისი აქტიური წევრების პერსონალური დისკრედიტაციის პრაქტიკა, რაც როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე მათ საცხოვრებელ ქალაქებში თუ უბნებში, რეალურ ფიზიკურ სივრცეებში ხდებოდა.

გარემოსდამცველთა კოლექტიური და პერსონალური დისკრედიტაცია და თანმდევი სოციალური იზოლაცია

ზემოთ განხილული შინაარსების/ცნებების გარდა, დამატებით იკვეთება რამდენიმე მთავარი ხაზი, რის ირგვლივაც აიგებოდა გარემოსდამცველთა კოლექტიური თუ ინდივიდუალური მარგინალიზაცია, როგორც საინფორმაციო ველში, ასევე ადგილობრივი საზოგადოებების შიგნით მუშაობის გზით. ამ უკანასკნელს რესპონდენტები მათ შესახებ „ხმების გავრცელებას“, „ჭორების დაყრას“ უწოდებენ და ამ ტიპის სამუშაოს გაწევისას უსაფრთხოების სამსახურის წამყვან როლზე მიუთითებენ.

(1) მარგინალიზაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმად პროტესტების დიდ უმრავლესობაში გამოიყენებოდა ნარატივი წინააღმდეგობის წევრების „გაყიდულობის“ შესახებ;

(2) განსაკუთრებულად ხშირია ინფორმაციის გავრცელება წინააღმდეგობების წევრების მერკანტილურობისა და ანგარებიანობის შესახებ, რაც მოძრაობაში ჩართულობას ფულის, წილის თუ სხვა პირადი სარგებლის მიღებას, მეტიც კომპანიებისგან „ფულის გამოძალვის“ მცდელობას, უკავშირებდა.

(3) განსაკუთრებით რეგიონებში გამართული პროტესტებისას, მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენდა ადგილობრივი მოძრაოებების „ენჯეობთან“ დაკავშირებულობაზე ან მათგან „მართულობაზე“ მითითება, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ უფრო ინტენსიურად გამოიყენება.

(4) არაერთ შემთხვევაში ხდებოდა პროტესტის მონაწილეთა მონიშვნა „რადიკალურ“, „მცირე“ და „დესტრუქციულ“ ჯგუფად, რომელთაც არ აქვთ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის რეალური ინტერესი.

ზემოთ აღწერილი მარგინალიზაციის ფორმების ერთგვარ კომპილაციას და თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჭიათურაში მოქმედი მომპოვებელი კომპანიის Chiatura Management Company-ს ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე,

2024 წლის 26 სექტემბერს გავრცელებული განცხადება. კომპანიამ განცხადება სოფელ შუქრუთის პროტესტის მიერ ქ. თბილისში, პარლამენტის წინ გამართული აქციებისის მიმდინარეობისას გამოაქვეყნა:

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე კვირაა საქართველოს პარლამენტის შენობასთან ჭიათურის სოფელ შუქრუთის რამდენიმე მცხოვრები საპროტესტო აქციას მართავს და ითხოვს თანხას, რომელიც კომპანიას მათი უმრავლესობისათვის უკვე გადახდილი აქვს….ცალსახაა, რომ ადამიანთა ამ ჯგუფის მიერ კომპანიის მიმართ წარმოებული ქმედებები გასცდა ურთიერთობის ცივილურ ფორმებს და სახეზეა ღია შანტაჟი, ხოლო მომიტინგეებისა და მათთვის დავალებების მიმცემი ადამიანების მიერ, ყოველდღიურად გავრცელებული ცრუ ინფორმაცია უკვე კომპენსირებული შუქრუთელების მიმართ ემპათიას იწვევს.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია საზოგადოების ინფორმირების მიზნით კიდევ ერთხელ ნათელი მოვფინოთ არსებულ მდგომარეობას.

ადამიანთა რადიკალური ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს სოფელ შუქრუთში მიმდინარე დესტრუქციულ პროცესს, ასევე პარლამენტის შენობასთან მართავს აქციას, ვფიქრობთ, სრულად არის მართული ეგრეთ წოდებული სამოქალაქო სექტორის მიერ. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მათ უკან დგანან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ასევე რადიკალურ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც თავის მხრივ, საპროტესტო აქციებს საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის იყენებს.

უფრო კონკრეტულად, რამდენიმე მომიტინგეს ზურგს უმაგრებს რიგი საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციების აქტივისტები, როგორებიც არიან „სოციალური სამართლიანობის ცენტრი", „მაუწყებელი", „მწვანე ალტერნატივა", „მთის ამბები", „ხმა" და სხვა. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ყველა ეს ორგანიზაცია არის პოლიტიკური აფილიაციის მქონენი და გამოირჩევა რადიკალური ქმედებებით და რადიკალური ქმედებების წახალისებით". [65]

65 ჭიათურაში მოქმედი მომპოვებელი კომპანიის Chiatura Management Company-ს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდით, 2024 წლის 26 სექტემბერს გავრცელებული განცხადება, https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0w8oxMs5Wb2d6rYsnLRxmxW4srvPGCTVxmUCkEBWavtEDmAPQuTUFyZk1FZQSDV3zl&id=61557098790132&rdid=oeus2QN2AcoK30cg# (ბოლოს ნანახია, 10. 05.2025).

დისკრედიტაციას, ხშირად, პერსონიფიცირებული და ინდივიდუალიზებული ფორმაც აქვს, რაც წინააღმდეგობის ლიდერის ან მოძრაობის წევრის თუ მხარდამჭერის პერსონალურ „გაშავებას" გულისხმობს. ამ ტიპის დისკრედიტაცია, როგორც წესი, ადგილობრივ დონეზე, ფიზიკურ და სოციალურ სივრცეებში, გარემოსდამცველის უშუალო სოციალურ თუ პროფესიულ გარემოცვაში ხდება და მიზნად ისახავს, მის მიმართ პერსონალური უნდობლობის გაჩენას და სოციალურ იზოლაციას. ეს მეთოდი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც წინააღმდეგობას გამოკვეთილი ლიდერი ყავს, რომლის მარგინალიზებასაც, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს წინააღმდეგობის განეიტრალებისთვის.

ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ ინდივიდუალურ დისკრედიტაციას სხვადასხვა შინაარსი აქვს, რასაც გარემოსდამცველის სქესი, მისი საცხოვრებელი სივრცე და სხვა მახასიათებლები განსაზღვრავს. კვლევის მონაწილეები იხსნებენ საკუთარი მცირე სოციუმებიდან გარიყვის, განდევნისა და უარყოფის მძიმე პერსონალურ გამოცდილებებს, რომლებიც მათ უშუალო სოციალურ გარემოში მათ შესახებ „ჭორების", სხვადასხვა შინაარსის ყალბი ამბების თუ ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობდა. მათი თქმით, ადგილობრივ სოციალურ ქსოვილში შეღწევა ლოკალური საკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის, „ბირჟების", სამუშაო ადგილების თუ სოციალიზაციის სხვა სივრცეების გავლით ორგანიზებულად ხდებოდა.

„მტკივნეულად გადავიტანე ეს პროცესი მაგრამ ნუ, რაღას შევცვლი. ერთი დასაფლავება მახსოვს, რომ მივედი და გარეთ გამოვიდა ხალხი, სადაც დავდექი კაციშვილი არ გაჩერდა, ყველა გავიდა, ამ აქციიდან დაახლოებით ერთ თვეში ალბათ".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ჩემთან ურთიერთობით ვიღაცეებს „აშეიმინგებენ" [არცხვენენ]...ზოგი კი არა უმრავლესობა ჯერ-ჯერობით მერიდება, საკუთარი ნათესავები მერიდებიან".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

გარკვეულწილად განსხვავებულია თბილისსა და ბათუმში ურბანულ პროტესტებში ჩართული ადამიანების და რამდენიმე რეგიონში მცხოვრები ქალი გარემოსდამცველის გამოცდილება, რომელთაც უმეტესად საჯარო (სოციალურ) სივრცეებში თუ პირად შეტყობინებებში მიღებული შეურაცხმყოფელი კომენტარებისა და შეტყობინებების, ასევე გენდერულ როლთან მათი ქცევის შეუსაბამობაზე თუ არანორმატიურ გარეგნობაზე მითითების ფორმა აქვს.

ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, პერსონალური და პროფესიული დისკრედიტაციის მიზანმიმართული კამპანია მეცნიერისა და გარემოსდამცველის თეა გოდოლაძის მიმართ.[66] მისი თქმით, პროფესიული დისკრედიტაციის კამპანიის დასაწყისი ნამახვანის ჰესის პროექტის წინააღმდეგ მოძრაობის პერიოდს უკავშირდება, რაც შოვის ტრაგედიისას მის მიერ ხელისუფლების მიმართ გამოხატული მწვავე კრიტიკის ფონზე, განსაკუთრებულად მძიმე ფორმებს იღებს. მისი პროფესიული მარგინალიზების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები თუ ხელისუფლებასთან აფილირებული პროფესიული ჯგუფები. ამ ტიპის თავდასხმები გოდოლაძის მიმართ ე.წ. „სამთავრობო მედიების“, საეჭვო ონლაინ მედიებისა და სოციალური ქსელის გავლით ხდებოდა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2022-2023 წლებში ოთხ საქმეზე დაადგინა სხვადასხვა მედია საშუალების მხრიდან ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევა თეა გოდოლაძის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებსა და გავრცელებულ სიუჟეტებში.[67]

66 თეა გოდოლაძე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი გეოფიზიკის მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

67 საქმეებში „რუსთავი 2“-ის არადენტიფიცირებადი ჟურნალისტის, ჟურნალისტი თამარ ლეფსვერიძის მიერ (სტატია გამოქვენდა ipress-ზე), გამოცემა „ბანკები და ფინანსების“ არადინტიფიცირებადი ჟურნალისტისა და commersant.ge-ს არაიდენტიფიცრებადი ჟურნალისტის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევა დადგინდა. კერძოდ, საქმეებში დადგინდა ქარტიის პირველი: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და მე-11 პრინციპის („ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება“) დარღვევა. „რუსთავი 2“-ს არაიდენტიფიცირებადი ჟურნალისტის შემთხვევაში დამატებით დადგინდა ქარტიის მე-5 და მე-10 პრინციპების დარღვევა. წყარო: ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებები.

8. გარემოსდამცველთა შევიწროვება, ზეწოლა, თვალთვალი და დევნა (უსაფრთხოების სამსახურის, კერძო კომპანიებისა და არაფორმალური ძალაუფლების როლი)

კვლევა ავლენს უსაფრთხოების სამსახურებისა და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ქსელების ცენტრალურ როლს გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დასუსტებისა და განეიტრალების მიზნით გაწეულ სამუშაოებში, რაც მოიცავს გარემოსდამცველთა ინდივიდუალური დევნის, შევიწროვების, დაშინების, თვალთვალის, მუქარის, ფიზიკური ანგარიშსწორების და სხვა პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის პრაქტიკებს. აღნიშნული ასევე გულისხმობს ადგილობრივი საზოგადოების დაშინების, გაჩუმების და მის შიგნით დაპირისპირებების შექმნის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. ამ ტიპის პროტესტებზე უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის მასშტაბი ადასტურებს გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების უსაფრთხოების მზერით დანახვის პარადიგმას, რაც იმთავითვე პრობლემურია. თუმცა, ველზე გამოვლენილი ფაქტები ამავე დროს აჩვენებს უსაფრთხოების სამსახურების მიერ წინააღმდეგობების მოთვინიერების მიზნით გამოყენებულ ირიბ, შეფარულ, კანონმდებლობისა და მმართველობითი სივრცის მიღმა არსებულ მეთოდებს არაფორმალური და უკანონო პრაქტიკების სახით.

წინამდებარე ქვეთავში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება კვლევის მონაწილეთა აღქმას, წინააააღმდეგობის პროცესში უსაფრთხოების სამსახურის შესაძლო მონაწილეობის ფორმების და მათი ზეგავლენების შესახებ. რესპონდენტთა ეს დაკვირვებები თითქმის ყველა შემთხვევაში მეორდება, რაც მყარი ტენდენციის დანახვის შესაძლებლობას იძლევა და მნიშვნელოვანს ხდის მათ სახელდებას და აღწერას. საპოლიციო რეპრესიის მსგავსად, ასეთ რეალობას ნაკლებად ვაწყდებით ურბანული წინააღმდეგობების შემთხვევაში. ამდენად, ამ ქვეთავში აღწერილი გამოცდილება არსებითად შეეხება რეგიონებში მიმდინარე გარემოსდაცვით პროტესტებს.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები უსაფრთხოების სამსახურის წამყვან როლს ორი მიმართულებით ხედავენ. პირველ რიგში, ეს გულისხმობს წინააღმდეგობების დისკრედიტაციის მრავალ ფორმას, რაც ასევე მოიცავს ამ

ამოცანებით ადგილობრივ სოციალურ ქსოვილში შეღწევას (ამ პრაქტიკებს კვლევის მე-7 თავი დეტალურად აღწერს). მეორე მხრივ, ეს გულისხმობს წინააღმდეგობების დაზიანების მიზნით ადგილზე გაწეულ მნიშვნელოვან და მრავალფეროვან სამუშაოს, რაც მიემართება ადგილობრივი წინააღმდეგობის ადგილებს, პროტესტის ლიდერებს, მის მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და პროფესიულ ჯგუფებს. რესპონდენტები, უმეტეს შემთხვევაში, მათთან თუ წინააღმდეგობასთან მიმართებით ამგვარ მუშაობას უსაფრთხოების სამსახურების პირდაპირი მონაწილეობით ხსნიან. თუმცა, არაერთ შემთხვევაში ისინი საუბრობენ ამ პროცესებში კერძო კომპანიების წარმომადგენლების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მაღალი თანამდებობის პირებისა და ადგილობრივი პოლიციის ღია ჩართულობაზე, რაც სახელმწიფოსა და ეკონომიკური თუ სხვა ტიპის ძალაუფლებრივი ჯგუფების გადაჯაჭვულობასა და ერთგვარ თანამზრახველობას აჩვენებს.

კვლევაში მონაწილეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით, წინააღმდეგობის დასუსტებისა და მასზე ზეგავლენის მიზნით, უსაფრთხოების სამსახურების ჭარბი გავლენები ადგილებზე სამი ტიპის პრაქტიკას მოიცავს. ესენია: (1) წინააღმდეგობის ადგილებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური კონტროლი და დაშინება, მათი წინააღმდეგობის პროცესიდან გამოთიშვის მიზნით; (2) წინააღმდეგობების ადგილებზე, ასევე მოძრაობებისა თუ მათი მხარდამჭერების შიგნით დაპირისპირებისა და უნდობლობის გარემოს შექმნის მცდელობა; (3) ინდივიდუალური ზეწოლა წინააღმდეგობის ლიდერებზე, მათ ოჯახებსა და მხარდამჭერებზე.

რესპონდენტთა გამოცდილებების ანალიზი აჩვენებს, რომ ადგილებზე მიმდინარე ეს პროცესი გულისხმობს ინდივიდუალური მეთოდების შერჩევას კონკრეტული მაცხოვრებლების, შინამეურნეობებისა თუ თემის მიმართ, რაც ამ ტიპის მუშაობის ორგანიზებულ ბუნებაზე მეტყველებს.

ადგილობრივი საზოგადოებების სოციალური კონტროლი და დაშინება წინააღმდეგობის შეკავების მიზნით

რესპონდენტების აღწერით, ადგილობრივი საზოგადოებების კონტროლის მეთოდები წინააღმდეგობის გაჩენის პირველი ნიშნებისთანავე ჩნდება. თუმცა, ის ინტენსიურ ფორმას მას შემდეგ იღებს, რაც უკმაყოფილება კოლექტიურ ორგანიზებას ახერხებს. ეს შეიძლება გულისხმობდეს სოფლის/თემის შეკრებას, მცირე აქციის გამართვას, პეტიციისა თუ კოლექტიური განცხადებისთვის თემში ხელმოწერების შეგროვებას. ერთ-ერთ რეგიონში წინააღმდეგობაში

ჩართული რესპონდენტი, ამგვარად იხსენებს გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყებების სწრაფ ჩანაცვლებას უსაფრთხოების სამსახურით.

„ჩვენს შემთხვევაში როგორ იყო. აი ამ აქციამდე, სახელმწიფო მოდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით, მოდის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებით, მოდის ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებით, მოდის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებით. ანუ ეს ოთხი უწყება არის ჩართული ამ პროცესში. იმ დღის მერე როცა ჩვენ აქცია გავაკეთეთ, ეს ადამიანები უბრალოდ გაქრნენ. მოდის მხოლოდ უშიშროება და პოლიცია. ამ ორ უწყებას რჩება პროცესი. რო ვთქვა რომ პოლიცია აგრესიულ ნაწილში მოქმედებს არა, უფრო რჩება უშიშროება“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

კვლევის მონაწილეები აღწერენ მრავალფეროვან მეთოდებს, რომელთა ეფექტიანი ამუშავება ემყარება ადგილობრივ საზოგადოებებში არსებულ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას, მოქალაქეების პირდაპირ ეკონომიკურ და სოციალურ დამოკიდებულებას დასაქმების ადგილებზე თუ სოციალური დაცვის სისტემებზე, მოქალაქეების პერსონალურ ბიოგრაფიულ ეპიზოდებს, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებებს, ჯანდაცვის (მაგალითად, მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპია) პროგრამებზე დამოკიდებულებას და სხვა.

ამდენად, ადამიანების ღია თუ ირიბ დაშინებას სახელმწიფო სიკეთეებსა და სარგებელზე, მათ შორის, სოციალურ დამხარებაზე წვდომის შეზღუდვის, მათი ან მათი ოჯახის წევრების სამსახურიდან გათავისუფლების, მართლმსაჯულების სისტემის გავლით „პრობლემების შექმნის“ ან პირდაპირი მუქარის შინაარსები აქვს. ამ მეთოდების ერთობლივი ამოქმედება, ადგილებზე ხშირად ახერხებს საყოველთაო შიშისა და კონტროლის გარემოს შექმნას, რაც ადგილობრივების დიდ ნაწილს აიძულებს პროტესტებში მონაწილეობაზე თუ მის აქტიურ მხარდაჭერაზე უარის თქმას.

„ჩაერთო სუსი, [ასეულობით] ოჯახი ერთსულოვნად იდგა ყველა საპროტესტო აქციაზე თავიანთი სახლების, ოჯახის, იმ გარემოს, იმ მიწა-წყლის დასაცავად...როდესაც უკვე სუსი ჩაერთო საქმეში, წარმოიდგინეთ ღამის 3-4 საათზე ადამიანებს აკითხავდნენ სახლში და ეუბნებოდნენ, თქვენი შვილი ამა და ამ ადგილზე მუშაობს..ამა და ამ ადგილზე უწევს გადაადგილება... რატომ გინდათ რომ თქვენი ხმამაღალი საუბრის გამო [თქვენი ოჯახის წევრებს] რაღაც სამართლებრივი პრობლემები შეექმნას“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ადამიანებს ბანკის ვალები აქვთ, არამარტო სახელფასო, ზოგს სახლი, ყველაფერი ჩადებული ქონდათ. ამით მიდიოდა შანტაჟი...ასევე ბანკში, მერიაში, სკოლებში მასწავლებლად, ბაღებში დასაქმებულების მუქარა, შანტაჟი მიდიოდა. ესე რომ ვთქვათ დიდი ნაწილი ადამიანების სუსმა სადღაც 6 თვიან პერიოდში, გააჩუმა, დააშინა“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

დაშინების და ზეწოლის ამგვარი ფორმების გარდა, პარალელურად გამოიყენება მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სარგებელზე წვდომის მიცემის/შენარჩუნების, დასაქმების თუ სხვადასხვა სარგებლის მიღების შესაძლებლობის გაჩენა ან ამგვარი დაპირება, მოსახლეებისგან მიწის გამოსყიდვის შეთავაზება, მასზე ფასით ვაჭრობა და სხვა.

ზოგიერთი რესპონდენტი აღწერს, რომ პირდაპირი და ირიბი მოსყიდვის ეს პრაქტიკა მხოლოდ ინდივიდების და შინამეურნეობების მიმართ არ გამოიყენება და ხშირად ის გულისხმობს თემისთვის/სოფლისთვის სარგებლის მიღების დაპირებას ან კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სახელით თემებისთვის გაკეთებულ შეთავაზებებს. ეს, როგორც წესი, ირიბი მოსყიდვის ან მოსახლეების შეცდომაში შეყვანის ფორმას ატარებს. რესპონდენტების შეფასებით, ამგვარი მეთოდების წარმატებით გამოყენებას ხშირად ხელს უწყობს სოფლების უკიდურესად დაზიანებული ინფრასტრუქტურა ან თემებში ბაზისური ინფრასტრუქტურის არარსებობა/მოშლა. შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში ამ მეთოდების გამოყენება სოფლებსა და კომპანიებს შორის, თემისთვის გარკვეული, ხშირად მინიმალური სარგებლის მომტანი შინაარის მემორანდუმებით და შეთანხმებებით დასრულდა.

„4 თვე ნახევარი იმუშავა მთელმა სისტემამ და მიაღწიეს [სოფელთან მემორანდუმის გაფორმებას]“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

რესპონდენტებთან ინტერვიუები აჩვენებს ორი სოფლის/თემის შემთხვევას როდესაც, მათი აზრით, მცდელობების მიუხედავად, ხელისუფლების მიერ სხვა ადგილებში კარგად გამოყენებულმა კონტროლისა და დაშინების სისტემამ მარცხი განიცადა ადგილობრივ თემებთან ურთიერთობაში. ორივე რესპონდენტის თქმით, ეს უკავშირდებოდა ამ სოფლების მოსახლეობის შეკავშირებულობას, რაც, მათი აზრით, სოფლების მოსახლეობის მმართველობით, მათ შორის, სოციალური დაცვისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემებში, დაბალი ინტეგრირებულობით აიხსნება.

„ეს სოფელი არ არის დამოკიდებული ფინანსურად ან სოციალური დაცვის მექანიზმებით თვითმმართველობაზე ან სახელმწიფოზე...ყოველდღე მინიმუმ 50-დან 100-მდე კაცი ჩამოდის თბილისში, მუშაობს და....სოფლის ერთი ნაწილი დასაქმებულია სხვადასხვა სფეროებში იმ მხრივ, რო სამშენებლოებზე ჩამოდიან...ან არიან ხელოსნები....და დანარჩენი 30% სოფლის, დაკავებულია სოფლის მეურნეობით, მესაქონლეობით“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

სოციალური კონტროლისა და ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი ასევე მოიცავს ადგილებზე არსებული კავშირების, მათ შორის, ნათესაობის, მეზობლობის, თანასოფლელობისა და სხვა სოციალური კავშირების გამოყენებას, რაც ცალკეულ შემთხვევებში გულისხმობს „ანგარიშის გაწევისა“ თუ ურთიერთობების/სოციალური კავშირების დაზიანების შიშით წინააღმდეგობის აქტიურ მხარდაჭერაზე უარის თქმას.

წინააღმდეგობების თუ თემის შიგნით დაპირისპირების გაჩენის მცდელობები

ზემოთ აღწერილი ზეწოლისა და ზემოქმედების ფორმები, არაერთ შემთხვევაში იწვევს სოფლების, თემების თუ ადგილობრივი საზოგადოებების დიდი ჯგუფების გამოთიშვას პროცესიდან. წინააღმდეგობის პროცესში დარჩენილი მოქალაქეები, რომლებიც აგრძელებენ კოლექტიურ ორგანიზებას, როგორც წესი, ხელისუფლებისა და კერძო კომპანიების მიერ გამოყენებული დამატებითი მეთოდების სამიზნეები ხდებიან.

ეს მეთოდები უმეტესად გულისხმობს სხვადასხვა მოტივებით კონფლიქტებისა და დაძაბულობების შექმნას სოფლებისა თუ თემების შიგნით, რაც მიზნად ისახავს წინააღმდეგობის დაზიანებას და მის მორალურ გატეხვას. თემის შიგნით ამგვარი დაძაბულობის შექმნის მაგალითია სოფელ ბალდის შემთხვევა, როდესაც ხელოვნურად წარმოებულმა უთანხმოებამ სოფლის რამდენიმე მაცხოვრებლის მხრიდან გარემოსდაცვით წინააღმდეგობაში ჩართულ პირების მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულის ფორმა მიიღო.[68] ეს შემთხვევა ასევე აყენებს ხელისუფლების პირდაპირ პასუხისმგებლობას, რომელმაც მისი საჯარო როლის სრული გაქრობით და კერძო კომპანიის თვითნებობის მხარდაჭერით, წინააღმდეგობაში ჩართული მოქალაქეები და კერძო კომპანია ერთმანეთის პირისპირ უთანასწორო ბრძოლაში დატოვა და გაჭიანურებული პროცესის შიგნით, ამგვარი ინციდენტების წარმოქმნისთვის ნაყოფიერი ნაიდაგი შექმნა.

სოფლებსა თუ სოფლის მაცხოვრებლებს შორის წინააღმდეგობებისა და დაპირისპირების შექმნის პრაქტიკა ასევე უკავშირდება კომპანიების მცდელობას ადგილობრივ საზოგადოებაში არსებული ჯგუფების ინტერესები შეპირისპირებულად ან ერთმანეთისთვის ხელისშემშლელად წარმოაჩინოს. მაგალითად, ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელი კომპანია მის დასაქმებულთა მიმართ ფინანსური და სოციალური ვალდებულებების შეუსრულებლობის გასამართლებლად, მუდმივად მანიპულირებს შუქრუთში არსებული გარემოსდაცვითი პროტესტით და დაუსაბუთებლად უკავშირებს მის მიერ ვალდებულებების დარღვევას პროტესტის შედეგად შექმნილ მოპოვების „კრიზისს“, რითაც ქმნის გარემოსდამცველებსა და მაღაროებში დასაქმებულ მშრომელთა შორის სოციალური კონფლიქტის ნიადაგს.

68 ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა ბალდის კანიონზე მშენებლობის მოწინააღმდეგეზე თავდამსხმელს. რადიო თავისუფლება, მარტი, 2025.

რამდენიმე პროტესტის შემთხვევაში გამოყენებული მეთოდი გულისხმობდა, მოძრაობის მხარდამჭერებს შორის კონფლიქტების ხელოვნურად აგებას ღირებულებრივ თუ კულტურული მიკუთვნებულობის საკითხებზე, რაც მოძრაობების შიგნით ამ გამიზნულად განაყოფიერებული უთანხმოებების მუდმივი მართვისა და გადალახვის საჭიროებას აჩენდა.

ნდობაზე, ურთიერთმხარდაჭერისა და სოლიდარობის ქსელებზე ზემოქმედების მცდელობებს ასევე იხსნებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამხდარან ამ მეთოდის სამიზნეები, რაც, როგორც წესი, მარგინალიზაციისა და დისკრედიტაციის გავლით წარმოებს და მოძრაობის წევრებსა და მათ მხარდამჭერებს შორის ნდობის რღვევასა და დილემების გაჩენას იასახავს მიზნად.

გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების მონაწილეების დევნა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხაზს წარმოადგენს ადგილობრივი წინააღმდეგობის ლიდერებისა თუ აქტიური მხარდამჭერების დევნისა და შევიწროვების მრავალრიცხოვანი მეთოდები, რომელთაც არაერთი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის გამოცდილებაში ვხვდებით, რაც მათი სისტემურ გამოყენებაზე მიუთითებს. გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის ლიდერების და მათი აქტიური მხარდამჭერების პერსონალური და პროფესიული მარგინალიზაციის გარდა (რასაც წინა თავი შეეხება), კვლევა პროტესტების მონაწილეების შევიწროებისა და დევნის შემდეგ გამოცდილებებს აჩვენებს:

(1)პროტესტის მონაწილე არაერთი რესპონდენტი მის მიმართ ღია და ირიბი მუქარის არაერთ შემთხვევას იხსნებს, რაც გულისხმობს წინააღმდეგობის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა წყაროებითა და ფორმებით მიღებულ მუქარის შემცველ შეტყობინებასა და გზავნილებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გულისხმობდა ზოგადი შინაარსის ღია მუქარას ან მუქარის შემცველი შინაარსის „რჩევის“ ფორმით „გადაცემას“ ადრესატისთვის. კვლევის მონაწილეები ასეთ „რჩევებს“ უმეტესად ნათესავებისგან თუ ახლობლებისგან იღებდნენ, რაც როგორც ჩანს მუქარის შემცველი შეტყობინების გადაცემის ყველაზე უსაფრთხო და სანდო მეთოდს წარმოადგენს. თუმცა, არაერთ შემთხვევაში ღია თუ ირიბი მუქარა და დაშინების მცდელობა გულისხმობდა პირდაპირ კომუნიკაციას გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის ლიდერთან თუ მისი ოჯახის წევრთან. წინააღმდეგობის მონაწილეები ასევე საუბრობენ სოციალური ქსელებით, ხშირად ყალბი ანგარიშებით მიღებულ

მუქარის შემცველ შეტყობინებებზე, რომელიც მათ ან მათი ოჯახის წევრებს, მათ შორის შვილებს, მიემართებოდა.

„სუსი ჩაერთო მაშინ აქტიურად ჩემს წინააღმდეგ. ყველასთან მივიდა საკითხი, რომ თუ [პროტესტის მონაწილის სახელი] დაიწყებს [პროტესტის ადგილი] ასე აქტიურად ჩამოსვლას, მაგას დავიჭერთ...[შემოთვლა ხდებოდა] ჩემი ნათესავების მეშვეობით…ამ ადამიანებს მოჰქონდათ ინფორმაცია ოჯახის წევრებთან, ან მაგალითად სხვა ნათესავებს ეუბნებოდნენ და ისინი ეუბნებოდნენ ოჯახის წევრებს; მე პირადადაც მეუბნებოდნენ. მთავარი თემა რა იყო, ჩემი ოჯახის მეშვეობით ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო ჩემზეც, მათზეც".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

(2) წინააღმდეგობის ლიდერებისთვის გაგზავნილი შეტყობინებები მუქარის შემცველ შინაარსთან ერთად, ხშირად გულისხმობდა ღია თუ ირიბი მოსყიდვის მცდელობას. საინტერესოა, რომ მოსყიდვის მცდელობაზე საუბრობს კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, კერძო კომპანიების წარმომადგენლების მხრიდან ხდებოდა და „გაჩერების" სანაცვლოდ კონკრეტული თანხის, კერძო საკუთრების, დასაქმების, წილისა თუ სხვა მატერიალური სიკეთეების შეთავაზებას გულისხობდა. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო კომპანიების წარმომადგელების მხრიდან ღია მოსყიდვის მცდელობების ან „სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების" სახელით დაფინანსების შეთავაზებებს იღებდნენ პროფესიული თემის წარმომადგენლებიც, რაც მათი მხრიდან მოსყიდვისა და ლოიალობის ყიდვის მცდელობად ფასდება.

„მოვედი სახლში და დამხვდა რამოდენიმე ახლობელი, ნათესავი. პირდაპირ მითხრეს, რომ რა გინდა, რამდენი ადამიანი ხართ აქტიური, ციფრი დაგვისახელე...შეწყვიტეთ პროტესტი, დანარჩენი არ მოიკითხოთ,...ჩვენ მივხედავთ ყველას, ეს არის კომპანიის დანაბარებიო, კი ვიცოდი ვისი დანაბარებიც იყო".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

(3) ასევე მნიშვნელოვანია პროტესტის არაერთი მონაწილის გამოცდილება, რომლებიც აღწერენ უბანში, თემში, სოფელში, საკუთარ სახლში კერძო კომპანიასთან თუ სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირების ან ე.წ. „ქუჩის ბიჭების“ მისვლისა და „საქმის გარჩევის“ ფორმით კომუნიკაციის, სიტყვიერი შეურაცხყოფის და შევიწროვების სხვადასხვა ფორმებს, რაც დაშინებისა და ზეწოლის მიზანს ატარებდა. არაერთ შემთხვევაში ეს გულისხმობდა პროტესტის მონაწილეების ღია კონფლიქტში შეყვანის მცდელობას და მათი მხრიდან შემხვედრი საპასუხო ქცევის პროვოცირებას.

(4) პროტესტის მონაწილების და აქტიური მხარდამჭერების გადაადგილების კონტროლი, მოსმენა და თვალთვალი, რესპონდენტების აზრით, კონტროლის, დევნისა და შიშის გაჩენის მიზნით გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. ზოგიერთ რეგიონში ფიზიკური გადაადგილების კონტროლი იმდენად ინტენსიურია, რომ გარემოსდამცველებისთვის მათი ნებისმიერი მოქმედების თუ კომუნიკაციის ტოტალური, სრული ზედამხედველობის შთაბეჭდილებას ქმნის. წინააღმდეგობის ადგილზე ჩასვლისას, მათი გადაადგილების კონტროლის გამოცდილებას ასევე ყვებიან სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინააღმდეგობის თითქმის ყველა წევრში ასევე არსებობს სატელეფონო კომუნიკაციების მოსმენის ერთგვარი შეთანხმებული ცოდნა და განცდა. კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი ასევე აღწერს უსაფრთხოების სამსახურების სავარაუდო წარმომადგენლების მიერ, მათი შეკრებებისა თუ აქციების ფიზიკური კონტროლისა და ფოტო დოკუმენტირების პრაქტიკას, რაც ასევე გავრცელებული ფორმაა და ის მკვეთრად ჩანს ურბანული მოძრაობების გამოცდილებებშიც.

„აქციის დღეს მხვდება ესეთი რაღაც. ყველა გამოდის აქციაზე, იმ აქტიური [ადამიანების] გარდა რომლის სახლშიც მე ვიჯექი და ვგეგმავდი აქციას. მერე რო ვუთხარი შენ რატომ არ იყავი აქციაზე თქო, სამი უშიშროების მანქანა იდგა ჩემს კარებზეო და გამოსვლა ვერ შევძელიო“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

(5) მუდმივი საპროტესტო კერების არსებობისას, ასევე ვხვდებით გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების კერების ინფილტრაციის მცდელობებს, რაც უკავშირდებოდა ინფორმაციის გატანის, ადგილზე არსებულ განწყობებზე ზეგავლენის მოხდენის, პროტესტის მონაწილეების ნდობის მოპოვების და მათ-

ზე ზეგავლენის, ადგილზე კონკრეტული მიზნებით ინფორმაციის გავრცელების, იდეების შეთავაზებისა თუ სხვა ფორმებით მუშაობას.

საკვლევ პერიოდში ასევე ჩანს გარემოსადაცვითი პროტესტების ლიდერებსა და მის მონაწილეებზე ფიზიკური ანგარიშსწორების/ცემის რამდენიმე შემთხვევა. ბალდის მოძრაობის წევრების ცოტნე თვარაძისა და თაზო რუხაიას მიმართ ამგვარი ძალადობის ფაქტებს (რუხაიას შემთხვევაში ჯგუფური ძალადობის ფაქტს) ადგილი ჰქონდა კომპანიის წარმომადგენლების, მათ შორის, კანიონის ინვესტორი კომპანიის, „კანიონი 350“-ის დირექტორის მხრიდან. ცოტნე თვარაძის ცემის ფაქტზე კომპანიის დერექტორი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და პასუხისმგებლობის სახით 1000 ლარის ოდენობით ჯარიმა განსაზღვრა.[69] თაზო რუხაიას საქმეზე სასამართლო განხილვები ამ დრომდე მიმდინარეა.

ასევე ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც გარემოსდამცველები ძალადობისა და თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ დაუდგენელი პირების მხრიდან, რაც, სავარაუდოდ, მათ გარემოსდაცვით საქმიანობას უკავშირდებოდა. 2024 წელს ორი დღის შუალედით, უცნობი პირები ქუჩაში თავს დაესხნენ და სცემეს ორი გარემოსდამცველი აქტივისტი სოფელი ზოდიდან – კოტე აბდუშელიშვილი და ნიკო გაფრინდაშვილი. ფიზიკური თავდასხმის ორივე შემთხვევა სოფელ ზოდში მათ მიერ დაანონსებულ გარემოსდაცვით დემონსტრაციამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. პროტესტის მონაწილეები თავდასახმას მათ გარემოსდაცვით საქმიანობას უკავშირებენ.[70] პროტესტის მონაწილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევა ასევე უკავშირდება თანამდებობის პირის, კერძოდ, ყაზბეგის მერის მიერ „კამარა ჰესის' საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე პირის ფიზიკური ცემის ფაქტს.[71]

საპროტესტო არეალის ტერიტორიასთან გადაადგილებისას უცნობი ქალისაგან სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა ერთ-ერთი ურბანული წინააღმდეგობის მონაწილე ქალი, რომელიც ასე აღწერს ამ შემთხვევას:

69 ბალდის კანიონის ინვესტორი გიორგი მერკვილაძე მოქალაქის ცემის ფაქტზე 1000 ლარით დააჯარიმეს, cnews.ge. მარტი, 2025.

70 „ზურგიდან დამარტყეს", – აქტივისტს, რომელიც ჭიათურის სოფელში „ჯორჯიან მანგანეზის" ქმედებებს აპროტესტებს, სცემეს, რადიო თავისუფლება, ივნისი, 2024.

71 ყაზბეგის მერმა სცემა მოქალაქეს, რომელიც „კამარა ჰესის" მშენებლობას აპროტესტებს, მთის ამბები, ნოემბერი, 2023.

„მანამდე ეს ქალი ნანახი არ მყავდა. თვითონ როგორც ჩანს იცოდა ვინც ვიყავი…ნუ, მცემეს. ასაკოვანმა ქალმა, მასთან ერთად იყვნენ კაცებიც, ამ კაცებს ხელი არ დაურტყამთ მაგრამ..ამხნევდნენ ამ ქალს. ვიდეოც მაქვს რაღაც პატარა ნაწილი გადაღებული".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„რიონის ხეობის გადარჩენისთვის" მოძრაობისა და სოფელ შუქრუთის გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების შემთხვევაში ასევე ვხვდებით პროტესტის ლიდერებისა და მონაწილეების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევებს. 2022 წელს ქუთაისის ტრადიციული მუსიკის სკოლიდან გაათავისუფლეს ნამახვანჰესთან დაკავშირებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ გოლეთიანი, რომელიც მის გათავისუფლებას გარემოსდაცვით წინააღმდეგობაში მონაწილეობის ფაქტს უკავშირებს.[72] 2024 წელს სამუშაოდან გაათავისუფლეს სოფელ შუქრუთში წინააღმდეგობის მონაწილეები რომან მეგრელიშვილი, ჯუმბერ ცუცქირიძე, გიორგი ცარციძე, გიორგი ბიწაძე და მალხაზ ლაბაძე, რომლებიც მათ გათავისუფლებას აქციებში მონაწილეობას უკავშირებენ.[73] 2025 წელს საჩხერის რაიონულმა სასამართლომ პროტესტში მონაწილე ხუთივე დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო.[74] 2021 წელს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრობიდან გაათავისუფლების საბჭოს წევრები შოთა გუჯაბიძე და ნინო ინაიშვილი, რომლებიც საბჭოს ფარგლებში თუ მის გარეთ ღიად უპირისპირდებოდნენ კულტურული და ფიზიკური გარემოსადმი ზიანის მომტან გადაწყვეტილებებს.[75] გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკულ პოზიციებს უკავშირებენ კვლევაში გამოკითხული პროფესიული წრეების წარმომადგენლები დაფინანსების/შემოსავლის წყაროებზე წვდომის შეზღუდვას. კვლევის მონაწილეთა გამოცდილებაში ეს გულისხმობდა მათი პროფესიული/სამეცნიერო საქმიანობისათვის სახელმწიფო დაფინანსების წყაროების თვითნებურ შეზღუდვას თუ საერთაშორისო ფინანსური

72 ვარლამ გოლეთიანი ქუთაისის ტრადიციული მუსიკის სკოლიდან გაათავისუფლეს, მთის ამბები, 2022, ოქტომბერი.

73 Complaint on the Environmental Defenders from the Village Shukruti Submitted to the Special Rapporteur on Environmental Defenders by Social Justice Center, 2025.

74 სასამართლომ ხუთი მაღაროელის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო, მთის ამბები, ივნისი, 2025.

75 რატომ გაათავისუფლეს აქტივისტი შოთა გუჯაბიძე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოდან, პუბლიკა, იანვარი. 2021.

მხარდაჭერით განხორციელებულ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროექტებში მათი კონსულტანტის ფორმით დასაქმების შესაძლებლობების შემცირებას (როგორც წესი ამგვარ პროექტებში ჩართული, დაქირავებული პროფესიონალების კანდიდატების შერჩევისას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროექტის განმახორციელებელი უწყების თანხმობა კონკრეტულ კანდიდატთან დაკავშირებით).

კონტროლისა და დევნის ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

კვლევა აჩვენებს, რომ ადგილებზე სოციალური კონტროლის, დაშინების, წინააღმდეგობის მონაწილეების დევნის ინფრასტრუქტურა, როგორც წესი, გულისხმობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, პოლიციისა და ხშირად ადგილზე პროექტის განმახორციელებული კომპანიის მუშაობას, რაც უსაფრთხოების სამსახურების მუშაობასთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობაზე ძლიერი ზეწოლის წინაპირობებს ქმნის, რამდენადაც ის ადგილზე არსებული ყველა ძალაუფლებრივი სისტემიდან თანადროულად მომდინარეობს.

„ქუჩამაც იმუშავა და ანუ ერთად მუშაობს ქუჩა სუსის ხელით, ინვესტორი, [ცენტრალური უწყება] თავიანთი თანამშრომლების ხელით, მერია იმ ხალხის ხელით ვინც დასაქმებული ჰყავს და რაღაცას შვება. ყველამ ერთდროულად ესე შეთანხმებულად [იმუშავეს]. ამას რა თქმა უნდა საბოლოო ჯამში სუსი აორგანიზებს".

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

რესპონდენტების გამოცდილებები ასევე აღწერს იმ ადგილობრივ ქსელებსა და შესაძლებლობებს, რომელთა გავლით, პირდაპირი, ირიბი თუ არაფორმალური ზეგავლენის მეთოდები მოქმედებაში მოდის. კვლევის რამდენიმე მონაწილის აღწერით, რეგიონში უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა, პროექტის განხორციელების უშუალო ინტერესის მქონე საჯარო თუ კერძო სუბიექტების გარდა, ასევე ეფუძნება ადგილობრივ სოციალურ სხეულს და მასში სისტემის სანდო დასაყრდენების გავლით ფუნქციონირებს. რესპონდენტების აღწერით, სანდო ადგილობრივი ქსელი, შესაძლოა, მოიცავდეს როგორც ადგილობრივ ავტორიტეტებს, „ქუჩის" ე.წ. ძველი ბიჭების ადგილებზე არსებულ ადამიანურ რესურსს, რომლებიც მათდამი მიცემული დავალებების შესრულების სანაცვლოდ, წლების

განმავლობაში, სარგებლობენ მფარველობით, ხელშეუხებლობით, სოციალური და ეკონომიკური ბენეფიტებითა და გარანტიებით.

„უშიშროებას თავისი წარმომადგენლები ყავს, ინფორმატორებს რომ ეძახიან, ძირითადად არის ეს ავტორიტეტული საზოგადოება, ეგრეთ წოდებული. ამ ავტორიტეტების დახმარებით ამ ადამიანებმა ძალიან აქტიურად იმუშავეს...სოფლის მიმართულებთ თუ რამე პროექტი ხორციელდება, თუ რამე დაფინანსება მოაქვს სახელმწიფოს იგივე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ან სხვა ნებისიმერი მიმართულებით.. ჯერ ამათთან შედის, პირველები ესენი ღებულობენ..მაგალითად, 2016 წელს ხომ დაიწყო ეს პროექტი, მიწების რეგისტრაციისა, ანუ ყველას წაართვეს მიწა, გარდა [ამ ავტორიტეტული პირებისა] რომლებმაც ყველაზე მეტი მიიტაცეს, ყველაზე მეტი მიწის ნაკვეთი დაირეგისტრირეს“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

„ე.წ ძველი ბიჭების მოცემულობა ჩვენთან როგორია... ამ ადამიანებს აქვთ უკანონოდ ათვისებული სივრცეები, კომერციული ფართები ჩადგეს რაღაცეები და არავინ არ ეხებათ რა. ამუშავებენ, ფულს აკეთებენ და როგორც კი არჩევნები მოვა ან რაღაცა კრიტიკული მომენტი დაუდგება ხელისუფლებას ეგრეევე გამოყრიან ხოლმე ამ ხალხს...სახელმწიფო არ ეხება, სამაგიერთოდ ესენი ასრულებენ მათ დავალებებს“.

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

მოქალაქეთა კონტროლის ინფრასტრუქტურა მოპოვებით/ინდუსტრიულ ქალაქებში

უსაფრთხოების სამსახურების გადამწყვეტი როლის შესახებ იმ რეგიონებში მოქმედი გარემოსდამცველებიც საუბრობენ, სადაც ათწლეულების განმავლობაში წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ადგილებში მასობრივი სოციალური პროტესტების, ძირითადად, შრომითი უფლებების საკითხებთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამოცდილება არსებობს. ამ გამოცდილებებმა და შესაძლო მასობრივი წინააღმდეგობების გაჩენის „საფრთხემ“ ამ ქალაქებთან კავშირში უსაფრთხოების მზერის ამოქმედება და ამგვარი ძალაუფლების კონცენტრაციის საჭიროება ადრევე განსაზღვრა, რა-

მაც, საბოლოო ჯამში, ამ რეგიონებში მტკიცე და გამართული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა ჩამოაყალიბა.

კონტროლის ეს ინფრასტრუქტურა საჭიროების შემთხვევაში მარტივად და პირდაპირ გამოიყენება ინდუსტრიულ ქალაქებში გაჩენილი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების დროს, რომელიც უკვე არსებულ და სანდო გზებსა და ადგილზე გამოცდილ სამუშაო მეთოდებს ეფუძება. ორი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის შემთხვევაში, წინააღმდეგობის მონაწილეები აღწერენ უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის იმგვარ ქსელს, რომელიც პირდაპირ არის შეზრდილი ამ რეგიონებში მომუშავე დიდ მოპოვებით კომპანიებთან, ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებთან, პოლიციასთან თუ მუნიციპალიტეტში მოქმედ სხვა სუბიექტებთან, რომლებიც „ა(ა)იპ“-ების, „სსიპ“-ების თუ კერძო კომპანიების ფორმებით არსებობენ. მეტიც, კვლევის ფარგლებში გამოკითხული გარემოსდამცველი ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამოცდილებას ახასიათებს როგორც „უსაფრთხოების სამსახურებისა და კერძო კომპანიის სრულ შერწყმას“.

„სუსის თანამშრომლები...თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას და მათი ნებართვის გარეშე... ერთ ნაბიჯს ვერ დგამს, ვერც მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტარი, ვერც ქალაქის მერი, ვერც პოლიციის უფროსი და აბსოლუტურად ვერავინ, ერთ ნაბიჯსაც კი ვერ დგამს დამოუკიდებლად...უბრალოდ თავის თავს უწოდებენ კომპანიის უსაფრთხოების სამსახურს, თორე სუსის თანამშროლები არიან. „

(გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე)

დამატებით, კვლევა რამდენიმე შემთხვევაში ავლენს ე.წ. ქურდული სამყაროსგან მომდინარე ზეგავლენის შემთხვევებს და მცდელობას პირდაპირი ზეწოლა მოეხდინათ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის წევრებზე. მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მიმდინარეობისას მასზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების პირდაპირ მონაწილეობას გულისხმობდა, რაც მის „შეხვედრებზე დაბარებას“ და მისი მისამართით ირიბი მუქარას გაჟღერებას მოიცავდა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კვლევაში ნაკლებად ჩანს ადგილობრივი სასულიერო პირებისა თუ მაღალი სასულიერო იერარქების მხრიდან გარემოსდაცვით პროტესტებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები.

9. დასკვნა

კვლევა ცხადყოფს, რომ მის ფარგლებში შესწავლილი გარემოსდაცვითი წინააღმდეგობების სრულ უმრავლესობაში, პროტესტები და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტები წარმოიქმნებოდა ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის უფლებების ფუნდამენტური და სისტემური უგულებელყოფის საპასუხოდ და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. თითქმის ყველა შესწავლილ წინააღმდეგობასთან კავშირში სახეზეა გარემოსდაცვით პოლიტიკაზე პასუხისმგებელი მმართველობითი სისტემების დემონსტრაციული ჩავარდნა და ხშირად ხელისუფლების პირდაპირი გარიგება პროექტის განმახორციელებელ კერძო სუბიექტთან, რაც გარემოსდამცველთა მთელი რიგი უფლებების სისტემურ უარყოფაში, საჯარო ინტერესის არაღიარებასა და დათმობაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან საზოგადოების სრულ გამორიცხვაში გამოიხატებოდა.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ მმართველობითი სისტემა მუდმივად აჩენდა საზოგადოებრივ უნდობლობას, შიშს და გაუცხოებას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ და გარემოსდამცველთა მშვიდობიან პროტესტებს იმთავითვე კონტროლის, მოთვინიერებისა და განეიტრალების ობიექტად ხედავდა. ამდენად, ამ ამოცანის მიღწევას ემსახურებოდა სახელმწიფოს მიერ კოლექტიური მობილიზაციების მიმართ გამოყენებული მიდგომები, რაც უგულებელყოფას, რეპრესიას, დასჯასა და დისკრედიტაციას მოიცავს. სოციალური უკმაყოფილებების რეპრესირებისა და განდევნის ეს მიდგომა არ ტოვებდა სოციალური პროტესტის გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და პრაქტიკის ნაწილად დანახვის სივრცეს და დასაწყისშივე გამორიცხავდა მოძრაობების მოთხოვნების დიალოგზე დაფუძნებული, დემოკრატიული სივრცის შიგნით გადაწყვეტის შესაძლებლობას.

დანართი №1: ინტერვიუები რესპონდენტებთან

რესპონდენტი #	სტატუსი/როლი გარემოსდაცვით წინააღმდეგობაში	წინააღმდეგობის ადგილი (ქალაქი/ რეგიონი)	ინტერვიუ ჩაწერის დრო
რესპონდენტი # 1	სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი / გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	10. 08.2024
რესპონდენტი # 2	სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი / გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	30.08.2024
რესპონდენტი # 3	სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი / გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	03.09.2024
რესპონდენტი # 4	მეცნიერი/ გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	11.09.2024
რესპონდენტი # 5	სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი / გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	26.09.2024
რესპონდენტი # 6	ურბანისტი/ გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	27.09.2024
რესპონდენტი # 7	სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი / გარემოსდამცველი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	30.09.2024
რესპონდენტი # 8	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	04.10.2024
რესპონდენტი # 9	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	გურია	14.08.2024
რესპონდენტი # 10	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	გურია	14.08.2024
რესპონდენტი # 11	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ბათუმი	15.08.2024

რესპონდენტი # 12	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ფოთი	17.08.2024
რესპონდენტი # 13	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ბათუმი	27. 08.2024
რესპონდენტი # 14	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	თბილისი	28.08.2024
რესპონდენტი # 15	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	რაჭა-ლეჩხუმი	29.08.2024
რესპონდენტი # 16	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	რუსთავი	30.08.2024
რესპონდენტი # 17	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	თბილისი	02. 09.2024
რესპონდენტი # 18	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	თბილისი	12. 09.2024
რესპონდენტი # 19	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ქუთაისი	13. 09.2024
რესპონდენტი # 20	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	რაჭა-ლეჩხუმი	17.09.2024
რესპონდენტი # 21	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	სამეგრელო	18.09.2024
რესპონდენტი # 22	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	რაჭა-ლეჩხუმი	27.09.2024
რესპონდენტი # 23	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ყაზბეგი	27.09.2024
რესპონდენტი # 24	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	01.10.2024
რესპონდენტი # 25	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	თბილისი	01.10.2024
რესპონდენტი # 26	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	04.10.2024

რესპონდენტი # 27	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ჭიათურა	07.10.2024
რესპონდენტი # 28	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ინტერვიუ შეეხება რამდენიმე წინააღმდეგობას	07.10.2024
რესპონდენტი # 29	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ზემო-სვანეთი	21.10.2024
რესპონდენტი # 30	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	დუშეთი	14.02.2025
რესპონდენტი # 31	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ჭიათურა	14.02.2025
რესპონდენტი # 32	გარემოსდაცვითი წინააღმდეგობის მონაწილე	ქვემო-ქართლი	15.02.2025

ბიბლიოგრაფია

თეონა რეხვიაშვილი, გაბრიელ ჩუბინიძე, ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზა და წინააღმდეგობა საბჭოთა საქართველოში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2024, თბილისი, საქართველო;

ლელა რეხვიაშვილი, რიონის ხეობის ბრძოლა, პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ველში: სადავო ინფრასტრუქტურები და განვითარების პოლიტიკა, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2022, https://ge.boell.org/sites/default/files/2022-12/rioni_valley_struggle.pdf; (ბოლოს ნანახია 27.03.2025);

საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს (3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენების ანალიზი), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მაისი, 2021.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2021, თბილისი. https://ssg.gov.ge/page/info/reports; (ბოლოს ნანახია 27.03.2025);

საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2013, თბილისი, საქართველო;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (The Danish Institute for Human Rights) მიერ მომზადებული კვლევა, ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა, თბილისი, 2022. https://ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf; (ბოლოს ნანახია 10.05.2025)

საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომაროების შესახებ, https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf, (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომაროების შესახებ, https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf; (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები, შრომითი, კულტურის და ბუნებრივი გარემოს დაცვითი პროტესტები, 2017, თბილისი, საქართველო.

ქეთევან ვარდოსანიძე, ჩაბა ქისი, გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, საბაზისო შეფასება, ოქტომბერი 2023. https://www.undp.org/ka/georgia/publications/environmental-justice; (ბოლოს ნანახია 10.05.2025).

ქეთი გუჯარაიძე, ამნისტია – ჰუმანური აქტი თუ მიწის მიტაცება?, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისის ოფისი, სამხრეთ კავკასია. თბილისი, 2024. (https://ge.boell.org/ka/2024/01/31/amnistia-humanuri-akti-tu-micis-mitatseba; (ბოლოს ნანახია 10.05.2025

Amnesty Internationl, (2022), Any Tidal Wave Could Drown Us, Stories from the Climate Crisis.

Berglund, O., Franco Brotto, T., Pantazis, C. , Rossdale, C. and Pessoa Cavalcanti, R. (2024), Criminalisation and Repression of Climate and Environmental Protest, University of Bristol: Bristol. p.5.

Complaint on the Environmental Defenders from the Village Shukruti Submitted to the Special Rapporteur on Environmental Defenders by Social Justice Center, 2025.

Crackdowns on Peaceful Environmental Protests Should Stop and Give Way to More Social Dialogue, Commissioner for Human Rights, 2023.

Decision VII/9 on a Rapid Response Mechanism to Deal With Cases Related to Article 3 (8) of the Aarhus Convention, Meeting of the Parties to the Convention on Access to Information, Public Participation in Decision-making and Access to Justice in Environmental Matters, Geneva, 18–20 October 2021.

Earl J. , Maher, T.V., and Pan, J., (2022), The Digital Repression of Social Movements, Protest, and Activism: A Synthetic Review. Science Advances 9 Mar 2022 Vol 8, Issue 10.

European Parliament, JOINT MOTION FOR A RESOLUTION on the further deterioration of the political situation in Georgia, 12.2.2025 - (2025/2522(RSP)); https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-10-2025-0106_EN.html; (Accessed 24.03.2025)

Forst, M. (2024) UN Special Rapporteur on Environmental Defenders under the Aarhus Convention, Postion Paper, State Repression of Environmental Protest and Civil Disobedience: A Major Threat to Human Rights and Democracy. pp. 8-19.

Gordon, C. (2024): Criminalizing Care: Environmental Justice Under Political and Police Repression, Environmental Communication. pp. 2-4.

Kurtz L.R., Smithey L. A., (2018) The Paradox Of Repression And Nonviolent Movements. https://works.swarthmore.edu/fac-soc-anth/179. pp.2-4.

Hadjimatheou, K., (2023) Surveillance, Democracy, and Protest in a Time of Climate Crisis Hadjimatheou, Oxford University Press, pp.136-144.

Savolainen S., Saarinen, V.P., Yun Chen, T.H., (2024), Social Media Affordances Sustain Social Movements Facing Repression: Evidence from Climate Activism, Center for Open Science.

The Human Right to a Clean, Healthy and Sustainable Rnvironment: Resolution / Adopted by the General Assembly, A/RES/76/300, 2022-07-28.

გამოყენებული მედია წყაროები

ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა ბალდის კანიონზე მშენებლობის მოწინააღმდეგეზე თავდამსხმელს. რადიო თავისუფლება, მარტი, 2025.

ბალდის კანიონის ინვესტორი გიორგი მერკვილაძე მოქალაქის ცემის ფაქტზე 1000 ლარით დააჯარიმეს, cnews.ge. მარტი, 2025.

განცხადება შქმერში მანგანუმის მოპოვების შეჩერების შესახებ მანიპულაციურია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თებერვალი, 2022.

გაუქმდეს რაჭის ტყეებზე გაცემული სამონადირეო ლიცენზია და უზრუნველყოფილი იყოს პროტესტის მონაწილეთა მშვიდობიანი შეკრების უფლება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ნოემბერი, 2023.

დაუყოვნებლივ დატოვოს პოლიციამ რიონის ხეობა და შეწყდეს ნამახვანი ჰესის სამშენებლო სამუშაოები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2021.

დაპირისპირება კამარა ჰესის მშენებლობის გამო, Formula News, დეკემბერი, 2023.

ვარლამ გოლეთიანი ქუთაისის ტრადიციული მუსიკის სკოლიდან გაათავისუფლეს, მთის ამბები, 2022, ოქტომბერი.

ვინ და რატომ გიმტკიცებთ, რომ ვარლამ გოლეთიანი დავით აღმაშენებელია? რადიო თავისუფლება, ივნისი, 2021.

„ზურგიდან დამარტყეს", – აქტივისტს, რომელიც ჭიათურის სოფელში „ჯორჯიან მანგანეზის" ქმედებებს აპროტესტებს, სცემეს, რადიო თავისუფლება, ივნისი, 2024.

თეა გოდოლაძემ ქვეყანა დატოვა, ნეტგაზეთი, იანვარი, 2025.

თურნავას თქმით, ნამახვანჰესის ინვესტორის მიმართ ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებები ისმის, On.ge, მარტი, 2021.

ირაკლი კობახიძე – კონკრეტული „ენჯეოები" ჩართული იყვნენ ეკონომიკური პროექტების ჩაგდებაში, რომ ემოქმედა გამჭვირვალობის კანონს, გაუჭირდებოდათ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, პირველი არხი, აპრილი, 2024.

მესტიაში ქალები ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ გზაზე დაწვნენ და ტექნიკას არ უშვებენ. Reg info. მარტი, 2018.

მოსამართლემ პროტესტის მონაწილეებს აღკვეთა პროკურორის მოთხოვნის გარეშე შეუფარდა, მთის ამბები, აგვისტო, 2024.

ნამახვაჰესის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები კომპანიისა და სახელმწიფოს მხრიდან ცილისმწამებლურ კამპანიას ეხმიანებიან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2021.

ორად გახლეჩილი თემი – რის სანაცვლოდ დათანხმდნენ სვანეთში ჰესების მშენებლობას, მთის ამბები. მაისი, 2018.

პოლიციამ ბალდის კანიონზე მშენებლობის მოწინააღმდეგე დააკავა, რადიო თავისუფლება. ივნისი, 2024.

პოლიციის მიერ შუქრუთელების შეკრების უფლების ხელშეშლა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ოქტომბერი, 2024.

რას ეწინააღმდეგებიან პანკისში — ყველაფერი მოკლედ. On.ge. აპრილი, 2019.

რატომ გაათავისუფლეს აქტივისტი შოთა გუჯაბიძე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოდან, პუბლიკა, იანვარი. 2021.

რაჭის ტყის დაცვის აქციაზე დაკავებული 11 პირი პატიმრობაში რჩება, New Press, ნოემბერი, 2023.

როგორ მოიპოვებენ მანგანუმს შქმერში შქმერელების ნების წინააღმდეგ — დეტალურად, ნეტგაზეთი, ნოემბერი 2021.

საპოლიციო ღონისძიებების შეფასება ნამოხვანის პროტესტის დროს (3-11 აპრილის და შემდგომი მოვლენების ანალიზი), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მაისი, 2021.

სასამართლომ შუქრუთელებს მაღაროებთან პროტესტი აუკრძალა – აქცია ჭორვილაში გადაინაცვლებს, მთის ამბები, აგვისტო, 2024.

სასამართლომ ხუთი მაღაროელის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო, მთის ამბები, ივნისი, 2025.

სახალხო დამცველი მოუწოდებს შსს-ს არ გამოიყენოს ძალა ნამახვან ჰესის საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, საქართველოს სახალხო დამცველი, აპრილი, 2021.

სახალხო დამცველი შეკრების მონაწილეებისთვის კარვის გაშლის შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი. ნოემბერი, 2023.

სახალხო დამცველი შეკრების მონაწილეებისთვის კარვის გაშლის შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი, სექტემბერი 2024.

სახელმწიფო ცდილობს რეპრესიული გზებით ჩაახშოს ადგილობრივების პროტესტი შუქრუთში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აგვისტო, 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ინდიკო ბჟალავას გათავისუფლებას ეხმაურება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სექტემბერი 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს გარემოს დაცვის სამინისტროს, გააკეთოს განმარტებები რაჭის ტყეებთან დაკავშირებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნოემბერი, 2023.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ნამახვანი ჰესზე იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროს დასკვნების გასაჯაროებაზე უარს ასაჩივრებს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. მაისი.

სპეცრაზმი არ გადის და გზა კვლავ გადაკეტილია – ვითარება ხაიშში 18:00 საათისთვის. ნეტგაზეთი. ივლისი, 2018.

''ქართული იდეის'' კოორდინირებული ქსელი Facebook-ზე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ივნისი, 2021.

ყაზბეგის მერმა სცემა მოქალაქეს, რომელიც „კამარა ჰესის“ მშენებლობას აპროტესტებს, მთის ამბები, ნოემბერი, 2023.

შქმერში მანგანუმის მოპოვება სურთ – გაიზიარებს თუ არა ზემო რაჭა ჭიათურის ბედს, მთის ამბები, ივლისი 2021.

ჭიათურაში მაღაროელების აქციის 4 მონაწილე დააკავეს, მთის ამბები, აპრილი, 2025.

ჭიათურაში მოქმედი მომპოვებელი კომპანიის Chiatura Management Company-ს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდით, 2024 წლის 26 სექტემბერს გავრცელებული განცხადება;

ხელმომწერი ორგანიზაციები ეხმაურებიან ნამახვანი ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა აქციის საპოლიციო ძალის გამოყენებით დაშლას, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნოემბერი, 2020.